



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# წლიური ანგარიში 2012

საქართველოს ეროვნული ბანკი

წლიური ანგარიში  
2012



# სარჩევი

შესავალი.....	8
<b>1. მაკროეკონომიკური გარემო.....</b>	<b>17</b>
1.1 მსოფლიო ეკონომიკა.....	18
1.2 ეკონომიკური ზრდა.....	20
1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება.....	23
1.4 სახელმწიფო ფინანსები.....	27
1.5 საგარეო სექტორი და საგადასახდელი ბალანსი.....	31
<b>2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.....</b>	<b>40</b>
2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.....	41
2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.....	52
2.2.1 რეფინანსირების სესხები.....	52
2.2.2 ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები.....	53
2.2.3 ფასიანი ქაღალდები.....	54
2.2.4 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.....	57
2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა.....	58
<b>3. საბანკო სექტორი.....</b>	<b>64</b>
3.1 კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება.....	65
3.2 საბანკო სექტორის რისკები.....	66
3.2.1 მფლობელობის სტრუქტურა.....	66
3.2.2 საკრედიტო რისკი.....	66
3.2.3 ლიკვიდობის რისკი.....	73
3.2.4 საბაზრო რისკი.....	78
3.2.5 საოპერაციო რისკი.....	80
3.2.6 საბანკო სისტემის მომგებიანობა.....	83
3.2.7 კაპიტალის ადეკვატურობა.....	85
3.3 მომხმარებელთა უფლებების დაცვა.....	86
<b>4. არასაბანკო სექტორი.....</b>	<b>89</b>
4.1 სადაზღვევო სფერო.....	90
4.2 საპენსიო სქემები.....	99
4.3 ფასიანი ქაღალდების ბაზარი.....	99
4.4 სხვა ფინანსური ინსტიტუტები.....	106
<b>5. საგადასახდელი სისტემები.....</b>	<b>110</b>
<b>6. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება.....</b>	<b>118</b>
<b>7. შიდა აუდიტი და ბუღალტრული აღრიცხვა.....</b>	<b>121</b>
<b>8. საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია.....</b>	<b>123</b>
<b>9. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა.....</b>	<b>129</b>
<b>10. საქართველოს ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსების მართვა.....</b>	<b>132</b>
<b>11. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება.....</b>	<b>134</b>

12. სტატისტიკური საქმიანობა.....	137
13. სტატისტიკური ცხრილები.....	140
14. ფინანსური ანგარიშგება.....	169

## ჩანართები

ჩანართი N 1	პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა (FPAS).....	46
-------------	---	----

## ღიაბრამები

ღიაგრამა N 1.1	მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა მსოფლიოში.....	18
ღიაგრამა N 1.2	ინფლაცია მსოფლიოში.....	19
ღიაგრამა N 1.3	მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) ინფლაციები (2008-2012 წლები).....	23
ღიაგრამა N 1.4	იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია.....	24
ღიაგრამა N 1.5	ვაჭრობადი და არავაჭრობადი საქონლის ფასების ინდექსის დინამიკა 2011=100.....	25
ღიაგრამა N 1.6	წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის .....	27
ღიაგრამა N 1.7	ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი თანაფარდობა მშპ-თან.....	28
ღიაგრამა N 1.8	ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სახეების მიხედვით 2012 წელი.....	28
ღიაგრამა N 1.9	ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი თანაფარდობა მშპ-თან.....	29
ღიაგრამა N 1.10	ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა, 2012 წელი.....	29
ღიაგრამა N 1.11	ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და მშპ-თან თანაფარდობა.....	30
ღიაგრამა N 1.12	სახელმწიფო ვალი და მშპ-თან ფარდობა (1998-2012 წწ.).....	31
ღიაგრამა N 1.13	მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.....	31
ღიაგრამა N 1.14	ტურიზმის ექსპორტი და იმპორტი.....	32
ღიაგრამა N 1.15	მიმდინარე ანგარიშის ფარდობა მშპ-თან.....	33
ღიაგრამა N 1.16	მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები წმინდა (ფარდობა მშპ-სთან).....	34
ღიაგრამა N 1.17	უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011-2012 წწ.....	36
ღიაგრამა N 1.18	საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით.....	37
ღიაგრამა N 1.19	უმსხვილესი საიმპორტო საქონლის მოცულობის დინამიკა.....	38
ღიაგრამა N 1.20	საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით.....	39
ღიაგრამა N 2.1	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და მთლიანი ინფლაცია.....	41
ღიაგრამა N 2.2	დეპოზიტების ლარიზაცია, 2004-2012წწ.....	44
ღიაგრამა N 2.3	ბანკთაშორისი დეპოზიტების ბრუნვა.....	47
ღიაგრამა N 2.4	საპროცენტო განაკვეთების მერყეობა (1-თვიანი სტანდარტული გადახრა).....	48
ღიაგრამა N 2.5	ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დინამიკა.....	48
ღიაგრამა N 2.6	მთავრობის ფასიან ქალაქებზე საპროცენტო განაკვეთები.....	49
ღიაგრამა N 2.7	შემოსავლიანობის სპრედი პოლიტიკის განაკვეთთან შედარებით.....	50
ღიაგრამა N 2.8	სახაზინო ფასიანი ქალაქების და სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთების დინამიკა 1999-2012 წლებში.....	50
ღიაგრამა N 2.9	სახაზინო ფასიანი ქალაქების ნაშთები და საშუალო ვადიანობა.....	51
ღიაგრამა N 2.10	რეფინანსირების სესხების მოცულობა 2010-12 წლებში.....	53
ღიაგრამა N 2.11	სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2010-12 წლები.....	55
ღიაგრამა N 2.12	2012 წელს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელი.....	56

დიაგრამა N 2.13 მეორადი ბაზრის დინამიკა.....	56
დიაგრამა N 2.14 სარეზერვო ნორმა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით.....	58
დიაგრამა N 2.15 სავალუტო ბაზრის დინამიკა 2003-2012 წლებში.....	59
დიაგრამა N 2.16 გაცვლითი კურსის მერყეობა.....	59
დიაგრამა N 2.17 ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ.....	60
დიაგრამა N 2.18 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2003=100).....	61
დიაგრამა N 2.19 ოფიციალური სარეზერვო აქტივები (წლის ბოლო მაჩვენებელი).....	62
დიაგრამა N 3.1 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა.....	67
დიაგრამა N 3.2 საკრედიტო პორტფელის თვის განმავლობაში გაცემულ სესხებზე არსებული საშუალო შენიშნული საპროცენტო განაკვეთი სეგმენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	68
დიაგრამა N 3.3 საცალო პროდუქტების განაწილება.....	69
დიაგრამა N 3.4 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა.....	70
დიაგრამა N 3.5 მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა წმინდა ჩამონერილი სესხების აღდგენის ეფექტით.....	71
დიაგრამა N 3.6 სესხების ჩამონერა და ამოღება.....	71
დიაგრამა N 3.7 პრობლემური აქტივები.....	72
დიაგრამა N 3.8 დასაკუთრებული ქონება.....	72
დიაგრამა N 3.9 ლიკვიდური აქტივების დონე.....	73
დიაგრამა N 3.10 ლიკვიდობის კოეფიციენტები ვალუტების მიხედვით 2012 წელს.....	73
დიაგრამა N 3.11 ლიკვიდობის გეპი: 1 თვემდე აქტივების თანაფარდობა 1 თვემდე ვალდებულებებთან.....	74
დიაგრამა N 3.12 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა 2010-12 წლებში.....	74
დიაგრამა N 3.13 ვალდებულებების სტრუქტურა.....	75
დიაგრამა N 3.14 კლიენტების დეპოზიტები.....	75
დიაგრამა N 3.15 არარეზიდენტების დეპოზიტების წილი.....	76
დიაგრამა N 3.16 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2012 წლის დეკემბერი).....	77
დიაგრამა N 3.17 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან.....	77
დიაგრამა N 3.18 საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან.....	79
დიაგრამა N 3.19 საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა.....	80
დიაგრამა N 3.20 2012 წლის საოპერაციო დანაკარგების დინამიკა.....	81
დიაგრამა N 3.21 საშუალო საოპერაციო დანაკარგების დინამიკა – 2012 წელი.....	81
დიაგრამა N 3.22 2012 წლის მთლიანი დანაკარგების თანხობრივი გადანაწილება ბიზნეს ხაზების მიხედვით.....	82
დიაგრამა N 3.23 საოპერაციო დანაკარგები მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.....	82
დიაგრამა N 3.24 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე.....	83
დიაგრამა N 3.25 საპროცენტო სპრედი.....	84
დიაგრამა N 3.26 მომგებიანობის ზრდის დეკომპოზიცია.....	84
დიაგრამა N 3.27 საბანკო სისტემის წმინდა საოპერაციო მოგება.....	85
დიაგრამა N 3.28 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები.....	86
დიაგრამა N 3.29 სესხების მშპ-სთან თანაფარდობის გეპი.....	86
დიაგრამა N 3.30 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია.....	87
დიაგრამა N 4.1 მოზიდული პრემიის ოდენობის დინამიკა წლების მიხედვით.....	94
დიაგრამა N 4.2 მზღვევლების ფინანსური მდგომარეობა წლების მიხედვით და პროცენტული ზრდა.....	94
დიაგრამა N 4.3 სადაზღვევო შემოსავალი და დამდგარი სადაზღვევო ზარალი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში.....	95
დიაგრამა N 4.4 სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა მოზიდული პრემიის მიხედვით.....	96

დიაგრამა N 4.5	სადაზღვევო შემოსავალი და სადაზღვევო ზარალი წლების მიხედვით.....	97
დიაგრამა N 4.6	აქტივების სტრუქტურა.....	98
დიაგრამა N 4.7	მზღვეველების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2011-12 წლებში.....	99
დიაგრამა N 4.8	საბროკერო კომპანიების მთლიანი აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის მონაცემები 2007-2012.....	102
დიაგრამა N 4.9	ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 2007-2012.....	103
დიაგრამა N 4.10	საბირჟო და არასაბირჟო გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით.....	104
დიაგრამა N 4.11	დებონირებული ფასიანი ქაღალდები (2012 წ.).....	104
დიაგრამა N 4.12	ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდების ბრუნვა წლების მიხედვით (2008-2012).....	104
დიაგრამა N 4.13	დებონირებული ფულადი სახსრები (2012წ.).....	105
დიაგრამა N 4.14	ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრების ბრუნვა წლების მიხედვით (2008-2012).....	105
დიაგრამა N 4.15	კრებისთი ინფორმაცია 2012 წლის განმავლობაში დადებული გარიგების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებლის შესახებ ემიტენტების მიხედვით.....	106
დიაგრამა N 4.16	2012 წლის განმავლობაში არასაბირჟო გარიგებების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებელი ემიტენტების მიხედვით.....	106
დიაგრამა N 4.17	2012 წლის განმავლობაში სავაჭრო სესიებზე დადებული გარიგებების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებელი ემიტენტების მიხედვით.....	106
დიაგრამა N 4.18	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებების დინამიკა აქტივებთან მიმართებაში.....	107
დიაგრამა N 4.19	სესხების ზრდის დინამიკა აქტივებთან მიმართებაში.....	107
დიაგრამა N 4.20	მთლიანი პორტფელის სტრუქტურა.....	108
დიაგრამა N 4.21	ნასესხები სახსრების სტრუქტურა, არარეზიდენტი ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მოზიდული რესურსების დინამიკა.....	108
დიაგრამა N 4.22	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები (ROE, ROA).....	109
დიაგრამა N 5.1	RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2012 წელი).....	112
დიაგრამა N 5.2	RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2002-2012 წელი).....	112
დიაგრამა N 5.3	გადახდის ოპერაციები საგადახდო სისტემებისა და მათი შესრულების სხვა საშუალებების მიხედვით (2012 წ.).....	113
დიაგრამა N 5.4	უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიცირების საშუალებების მიხედვით, 2012 წელი.....	114
დიაგრამა N 5.5	გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა, 2007-2012.....	115
დიაგრამა N 5.6	გამოშვებული ბარათები საბარათე სისტემების მიხედვით.....	115
დიაგრამა N 5.7	საქართველოში გამოშვებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები წლების მიხედვით (2007-2012).....	116
დიაგრამა N 5.8	საგადახდო ბარათების მიმღები ობიექტების დინამიკა (2008-2012).....	116
დიაგრამა N 8.1	მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული (დეკემბერი, 2012).....	124
დიაგრამა N 8.2	ნაღდი ფული მიმოქცევაში (2011-2012 წლები).....	124
დიაგრამა N 8.3	ყალბი ლარის ბანკნოტები და მონეტები პროცენტულად.....	126
დიაგრამა N 8.4	2011-2012 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა.....	127
დიაგრამა N 8.5	2011-2012 წლებში გამოვლენილი ყალბი მონეტების რაოდენობა.....	127
დიაგრამა N 10.1	ეროვნული ბანკის თანამშრომლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები (სულ 311 თანამშრომელი).....	133

## ცხრილები

ცხრილი N 1.1	რეალური მშპ-ის ზრდა და სექტორული წვლილები 2010-2012 წწ.....	21
ცხრილი N 1.2	მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით.....	22
ცხრილი N 1.3	ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).....	26
ცხრილი N 1.4	საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა (2008-2012 წწ.).....	34
ცხრილი N 1.5	რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპები.....	36
ცხრილი N 1.6	უმსხვილესი საექსპორტო საქონლის განაწილება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით (%).....	37
ცხრილი N 1.7	უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით (%).....	39
ცხრილი N 2.1	რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება 2012 წელს.....	61
ცხრილი N 2.2	საქართველოს საერთაშორისო რეზერვები.....	62
ცხრილი N 3.1	მთლიანი საკრედიტო პორტფელი სემენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	67
ცხრილი N 3.2	სასესხო პორტფელი რისკ-სექტორების მიხედვით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	68
ცხრილი N 3.3	საცალო პროდუქტების განაწილება (2011, 2012), ცვლილება ერთწლიან პერიოდში.....	69
ცხრილი N 3.4	სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	70
ცხრილი N 3.5	საბითუმო დაფინანსების წყაროები და მისი დაფარვის გრაფიკი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	78
ცხრილი N 4.1	საბროკერო კომპანიების აქტივობა (2012წ).....	102
ცხრილი N 4.2	კრეზსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით (2011-2012 წწ).....	103

# შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის 2012 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვას და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. დოკუმენტში წარმოდგენილია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ქვეყნის ცენტრალური ბანკი ხელმძღვანელობდა. ანგარიშში ასახულია აგრეთვე ეროვნული ბანკის შეფასებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე იმ პროცესებზე, რომლებიც 2012 წლის განმავლობაში არსებით გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასა და ეროვნული ბანკის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაზე.

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომლის მიხედვითაც ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრისას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს ეყრდნობა. ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველო წარმოადგენს მზარდ ეკონომიკას და

მსგავსი ტიპის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი, 2013-2014 წლებისთვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების დოკუმენტით მიზნობრივი ინფლაცია განსაზღვრულია 6 პროცენტით, ხოლო 2015 წელს – 5 პროცენტამდე შემცირდება.

2012 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება რეალურ ეკონომიკაზე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება, მაშინ როდესაც მთლიანი ინფლაცია აღემატებოდა მიზნობრივ დონეს.

საქართველოში ინფლაციის შემცირების ტენდენცია 2011 წლის ივნისში დაიწყო, რაც უმთავრესად მიწოდების ფაქტორებით იყო განპირობებული. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო საბაზო ეფექტის გავლენა. 2011 წლის გაზაფხულიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების კლების ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, ფასები შემცირდა ნავთობსა და შაქარზე. რუსეთისა და უკრაინის მხრიდან ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს მოხსნამ კი პურპროდუქტების ფასების შემცირება განაპირობა და დამატებითი წვლილი შეიტანა ინფლაციის შემცირებაში. 2012 წლის ბოლოსთვის სურსათის დეფლაციის მაჩვენებელმა 4.1 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად სურსათის გაყიდვებმა წლიური დეფლაციის საერთო მაჩვენებელზე დაახლოებით 1.3 პროცენტულ პუნქტს შეადგინა.

მიწოდების ფაქტორებიდან აგრეთვე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, როგორცაა აზერბაიჯანი, სომხეთი,



უკრაინა და შედეგად იმპორტირებული საქონლის ინფლაცია 2012 წლის ბოლოს დაახლოებით -2 პროცენტს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ინფლაციის იმპორტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან საქართველოში დაბალი ინფლაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო 2012 წლის განმავლობაში, მისი წვლილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელში დაახლოებით -0.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსზე გავლენა მოახდინა სამომხმარებლო საქონელზე მარჟების შემცირებამ, რაც, თავის მხრივ, სავაჭრო სექტორის განვითარებისა და კონკურენციის ზრდით იყო გამოწვეული. ისეთ საქონელზე, როგორც არის კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, ფარმაცევტული პროდუქცია და სხვა, მარჟების შემცირება ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა, რაც 2012 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა. სულ ძირითად სამომხმარებლო საქონელზე მარჟების შემცირების წვლილი სამომხმარებლო ფასების ინდექსში 2012 წელს -0.5 პროცენტულ პუნქტს აღემატებოდა.

ინფლაციაზე მოთხოვნის მხრიდან მოქმედი გრძელვადიანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ბიუჯეტის დეფიციტი და გაცვლითი კურსის ცვლილება. ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია განხორციელდა, რაც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ს 6.5 პროცენტული პუნქტით შემცირებაში გამოისახა. აგრეთვე აღსანიშნავია ამავე პერიოდში გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია. კერძოდ, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 9 პროცენტით გამყარდა. აღნიშნული ფაქტორები ერთობლივ მოთხოვნაზე შესუსტების მიმართულებით მოქმედებდა. იმისათვის, რომ ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებისა და გაცვლითი კურსის გამყარების შედეგად ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებას არ გამოენვია საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა, ეროვნულმა ბანკმა 2011 წლიდან დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება, რაც უპირველეს ყოვლისა პოლიტიკის განაკვეთის შემცირე-

ბაში გამოისახა. პოლიტიკის განაკვეთი 2011 წლიდან ეტაპობრივად 2.75 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

2011-2012 წლებში მონეტარული პოლიტიკის შერბილება შეესაბამებოდა არსებულ პროგნოზებს, რომელთა მიხედვითაც ინფლაციის მაჩვენებელი 2012 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებდა ზრდას და 2013 წლის დასაწყისში მიზნობრივ დონეს გაუტოლდებოდა. თუმცა 2012 წლის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა საბანკო სესხებზე მოთხოვნის შემცირების ტენდენცია, რაც არჩევნებთან ბუნებრივად დაკავშირებული გაურკვევლობით იყო გამოწვეული. არჩევნების შემდეგ პერიოდშიც, საბანკო სისტემაში მაღალი ლიკვიდობის მიუხედავად, საკრედიტო აქტივობა კვლავ დაბალია, რაც სესხებზე მოთხოვნის შემცირებაზე მიუთითებს. შესაბამისად, აღნიშნულმა გაურკვევლობამ შეასუსტა მონეტარული პოლიტიკის შერბილების გადაცემა რეალურ ეკონომიკაზე. კერძოდ, პოლიტიკის განაკვეთის შემცირების პარალელურად არ მოხდა საკრედიტო აქტივობის ზრდა, რაც უზრუნველყოფდა ინფლაციის მიზნობრივ დონემდე მატებას.

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის საკრედიტო არხის შესუსტების გამო, მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის შერბილების სხვა ლონისძიებების, მათ შორის ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების“ ამოქმედება. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ფულის მიწოდების არხების ერთობლივი ძალებით გააქტიურების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2010-2012 წლებში კვების პროდუქტებისა და ენერგომატარებლების გარეშე ე.წ. „საბაზო“ ინფლაცია ძირითადად სტაბილური იყო, 2 პროცენტის ფარგლებში. ამ პერიოდში მაღალი და სტაბილური იყო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ მასზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მერყეობას. უფრო მეტიც, დაბალი და სტაბილური საბაზო ინფლაცია იყო ეკონომიკურ ზრდის ტემპის სტაბილურობის ხელშემწყობი ფაქტორი.

2012 წელს ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა



პროდუქტი 6.1 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკა მაღალი ტემპებით წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში იზრდებოდა, როდესაც ეკონომიკის ზრდამ 7.5 პროცენტს მიაღწია. შემოდგომაზე კი ზრდის ტემპმა იკლო, რაც განსაკუთრებით მკვეთრად მეოთხე კვარტალში გამოვლინდა, როდესაც ეკონომიკის ზრდა 2.5 პროცენტამდე შემცირდა.

2012 წლის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საგარეო სექტორმაც. ამ კუთხით აღსანიშნავია მომსახურების ექსპორტის, განსაკუთრებით კი ტურიზმის სექტორის ზრდა. ტურისტული შემოსავლები წლის განმავლობაში დაახლოებით 50 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროზონის ქვეყნებში ეკონომიკური პრობლემების გაგრძელების ფონზე შემცირდა სწრაფი ფულადი გზავნილების შემოდინების ზრდის ტემპი. წინა წელთან შედარებით, 2012 წელს აგრეთვე შემცირდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.5 პროცენტი შეადგინა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილმაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს სახელმწიფოს დაქვემდებარებული კომპანიების მიერ გამოშვებული ევროობლიგაციების შედეგად ქვეყანაში დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის (მშპ-ს 3 პროცენტი) პორტფელური ფინანსური რესურსი შემოვიდა.

წინა წლების მსგავსად, 2012 წელს ეროვნული ბანკის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ფინანსური სექტორის ლარიზაციის დაბალი დონე. ქვეყნის მაკროეკონომიკური რისკების შემცირებისა და სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა, რაც, თავის მხრივ, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის შეცვლა განვითარებული ფინანსური ბაზრისა და სტაბილური ეკონომიკური აღმავლობის პირობებშია შესაძლებელი. ეროვნულმა ბანკმა ამ კუთხით, 2009 წლიდან, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. ამ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: მონეტარული ინსტრუმენტების

გააქტიურება (რეფინანსირების სესხები, მუდმივ-მოქმედი სესხები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები); სავალუტო აუქციონების შემოღება; მონეტარული ოპერაციებისთვის გირაოს ბაზის გაფართოება; ახალი საგადახლო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების ამოქმედება; ახალი მაკროეკონომიკური მოდელის შექმნა; მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ა.შ.

2010-2012 წლებში გატარებული რეფორმების ფონზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა და გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება. შედეგად, ეროვნულმა ბანკმა შეძლო მისი კონტროლის არეალში მოექცია ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები. ეს კი გამოიხატა საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შემცირებაში და ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი დასტაბილურდა პოლიტიკის განაკვეთის ირგვლივ, რამაც თავის მხრივ განაპირობა ფულადი ბაზრის განვითარება. შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბანკთაშორისი ბაზრის ოპერაციებისა და პირველად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობებზე. გარდა აღნიშნულისა, ფინანსური ბაზრების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი იყო მიმოქცევაში არსებული მთავრობის ფასიანი ქაღალდების ნაშთისა და ვადიანობის ზრდა. 2010 წელთან შედარებით, დაახლოებით 1.6-ჯერ გაიზარდა მიმოქცევაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი. ფინანსური ბაზრის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი იყო ასევე მთავრობის მიერ 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება, რაც ბაზარზე გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებამ ხელი შეუწყო ფულადი და კაპიტალის ბაზრის ლიკვიდობის მატებას, კომერციული ბანკების მიერ ლარის რესურსის უფრო აქტიურად გამოყენებასა და რაც მთავარია, ფინანსური ბაზრის საპროცენტო განაკვეთების დარეგულირებას. აღსანიშნავია ასევე მეორადი ბაზრის გააქტიურება. 2012 წლის განმავ-



ლობაში, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 2.5-ჯერ გაიზარდა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჯამური მოცულობა (2010 წელს ეს ბაზარი ფაქტიურად არ არსებობდა).

ფულადი ბაზრის განვითარების მხრივ აღსანიშნავია შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირება. გასული წლების განმავლობაში შემოსავლიანობის მრუდს საკმაოდ დიდი დახრილობა ჰქონდა, ვინაიდან სხვაობა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის საპროცენტო რისკის გარდა მოიცავდა საოპერაციო და ლიკვიდობის რისკებს. ფულადი ბაზრის განვითარებასთან ერთად შემცირდა არასაპროცენტო რისკები, რაც გამოიხატა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის ეტაპობრივ შემცირებაში. ამასთან ეროვნული ბანკის კომუნიკაციის გაუმჯობესებამ და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის ზრდამ შეამცირა მომავალში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ცვლილებების მოლოდინი, რაც ასევე აისახა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირებაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის განმავლობაში გატარებული მონეტარული პოლიტიკის შერბილება აისახა საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე. თუმცა აღნიშნული საპროცენტო განაკვეთების შემცირების ოდენობა აღემატებოდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების სიდიდეს, რაც მონეტარული პოლიტიკის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებამ დადებითი გავლენა იქონია შიდა ბაზარზე რესურსების მობილიზებაზე განუღებულ ხარჯებზე. 2012 წლის ბოლოს 10 წლიანი სახაზინო ვალდებულებების სარგებელი 11 პროცენტის ფარგლებში, ხოლო 5-წლიანი ქაღალდის შემოსავლიანობა 8 პროცენტის ფარგლებში იყო.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, კაპიტალის თავისუფალი მობილობის პირობებში მოითხოვს მცურავი გაცვლითი კურსის არსებობას. ეროვნული ბანკის მიერ თავისუფლად მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლის მიმართულებით გატარებული

რეფორმის ფარგლებში, 2009 წელს შემოღებულ იქნა სავალუტო აუქციონების მექანიზმი, რომლის ამოქმედებამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ეროვნული ბანკის ინტერვენციების საჭიროება სავალუტო ბაზარზე და მისი წილი სავალუტო ვაჭრობებში. გარდა ამისა, ლარის გაცვლითი კურსი უკვე ხასიათდება მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმისთვის დამახასიათებელი მოკლევადიანი მოქნილობით. ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მიზნად ისახავს, სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების ეტაპობრივად შემცირებით, თავისუფლად მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლას. გაცვლითი კურსის ასეთი რეჟიმი ამცირებს საგარეო შოკების ზეგავლენას რეალურ ეკონომიკაზე და ხელს უწყობს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად, 2012 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე მხოლოდ მინიმალურად ერეოდა. 2012 წლის მანძილზე განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებით ეროვნული ბანკი, უმეტეს შემთხვევაში, ბაზარზე უცხოური ვალუტის მყიდველის როლში გამოდიოდა ჭარბი ნაკადების გაცვლით კურსზე გადაჭარბებული ზეგავლენის აღმოფხვრის მიზნით.

ლარიზაციის ხელშეწყობის, ფულადი ბაზრის განვითარებისა და გრძელვადიანი ლარის რესურსის შექმნის მიზნით, 2012 წელს განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატების ბაზრის ნახალისება და ეროვნული ბანკის ოპერაციებში ლარის სასახო აქტივების გირაოს გამოყენების შესაძლებლობა. 2012 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება, რითაც ნახალისდება ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით რესურსების მოზიდვა. სერტიფიკატი არ ავალდებულებს ბანკს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე დაუბრუნოს თანხა მენაბრეს. ამგვარი საშუალებით მოზიდული სახსრები ბანკისთვის უფრო სტაბილურია, ვიდრე სტანდარტული დეპოზიტი. თუმცა, მეორე მხრივ, დეპოზიტარს აქვს შესაძლებლობა ფულადი სახსრების საჭიროების



შემთხვევაში გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი ბანკის თანხმობის გარეშე. მფლობელის ცვლილების შემთხვევაშიც ფულადი სახსრები რჩება ბანკში.

ასევე, კომერციული ბანკებისთვის ხელმისაწვდომი ლარის რესურსის მოცულობა კიდევ უფრო გაზარდა ეროვნული ბანკის ოპერაციებში გამოყენებადი გირაოს ბაზის გაფართოებამ. კერძოდ, შემსუბუქდა ბანკების მიერ გირაოს სახით გამოყენებადი ეროვნული ვალუტით დენომინირებული საკუთარი სასესხო აქტივების კრიტერიუმები. ეს საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს ლარით დენომინირებული უფრო მეტი რესურსი მიიღოს ეროვნული ბანკის სასესხო ინსტრუმენტებით, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ეროვნული ვალუტით გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობას და შეამცირებს საპროცენტო განაკვეთებს.

მონეტარული პოლიტიკა რეალურ ეკონომიკაზე დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება. სწორედ ამ ფუნდამენტური ფაქტორის გათვალისწინებით შეიქმნა მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემის (FPAS) განვითარება და მისი შედეგების საზოგადოებასთან კომუნიკაცია. ამ მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD-ის) პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ახალი მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ძირითადი ცენტრალური ბანკების მიერ და გააუმჯობესებს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ მოდელირებას. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის პროგნოზირებადობის ზრდა და საზოგადოების სწორი მოლოდინების ჩამოყალიბება. ამ მიზნით, გადაიხედა კომუნიკაციის არსებული არხები. კერძოდ, შეი-

ცვალა ინფლაციის მიმოხილვის სტრუქტურა: იგი გახდა უფრო მეტად ორიენტირებული მომავლის პროგნოზებსა და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაზე და წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტს. ასევე განახლდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის მონეტარული პოლიტიკის ნაწილი. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელიც საზოგადოებას გააცნობს იმ ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

2012 წელს ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 54.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის მნიშვნელოვანი მოცულობის დაფარვისა (245 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ზრდას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის მიერ 155 მლნ აშშ დოლარის წმინდა შესყიდვა და ქვეყნის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან მიღებული 300 მლნ აშშ დოლარის სესხები და გრანტები.

საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დონე, სხვადასხვა ინდიკატორების თანახმად, სათანადო საგარეო მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ფარდობა ფართო ფულთან, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებთან და მოკლევადიან ვალთან 100 პროცენტის ფარგლებშია, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებით საერთაშორისო რეზერვების საკმარის დონედ არის მიჩნეული. ასევე მნიშვნელოვანი კოეფიციენტია მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ფარდობა თვის იმპორტთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებით, საერთაშორისო რეზერვების დონე ითვლება მდგრად დონედ, თუკი მისი შეფარდება თვის იმპორტთან 3-ზე მეტია. საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წლის ბოლოსთვის 3.8-ს შეადგენდა.



2012 წელს ეროვნული ბანკი განაგრძობდა ზრუნვას საფინანსო სისტემის განვითარებასა და სტაბილურობაზე. საქართველოს საფინანსო სისტემა შედგება 19 კომერციული ბანკისგან, 18 საკრედიტო კავშირისგან, 62 მიკროსაფინანსო ორგანიზაციისაგან, 15 სადაზღვევო კომპანიისგან, 10 საბროკერო კომპანიისგან და 1 საფონდო ბირჟისაგან. საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივების 91.5 პროცენტი საბანკო სექტორზე მოდის, ხოლო სადაზღვევო კომპანიები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები 4.4 და 3.8 პროცენტს აკონტროლებენ. სხვა არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების წილი კი უმნიშვნელოა.

მსხვილი საერთაშორისო თუ რეგიონული ინვესტიორების არსებობის გათვალისწინებით, საბანკო სექტორი კვლავ საკმაოდ ძლიერი აქციონერებითაა წარმოდგენილი. მფლობელობის ასეთი სტრუქტურა საგარეო ფინანსური სიძნელების გამო ბანკებისათვის შემაფერხებელი არ ყოფილა. უფრო მეტიც, ბაზრებზე არსებული სიძნელების გათვალისწინებით, მთლიანობაში მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის დაკრედიტების პოტენციალის გაფართოების შემთხვევაში, კაპიტალის შემოდინების მეტი მასშტაბით გააქტიურების მზობა აღინიშნებოდა.

საბანკო სისტემის მომგებიანობამ წინა წელთან შედარებით იკლო. ეს ძირითადად განპირობებული იყო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებზე განეული ხარჯების ზრდით. ასევე საყურადღებო იყო წლის მეორე ნახევარში დაფიქსირებული სესხების ზრდის შენელების ტენდენცია, რაც სესხებზე მოთხოვნის და არა მიწოდების ფაქტორით იყო გამოწვეული. უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში 2012 წლის ბოლოსათვის 9.3 პროცენტს, ხოლო 90-დღიანი სტანდარტით დათვლილი 4 პროცენტს შეადგენდა. ასევე, კვლავ აღინიშნებოდა საპროცენტო სპრედის შემცირება და ეფექტიანობის ზრდა, რასაც მასშტაბის ეკონომია უწყობდა ხელს. გრძელდებოდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რასაც თავის მხრივ, არსებული კონკურენციაც განაპირობებდა. სახსრების ღირებულების კუთხით შემცირება სახეზე არ იყო. ასეთ ფონზე, მზარდი

ყურადღება ეთმობოდა საკრედიტო სტანდარტების მონიტორინგს როგორც ბიზნესს, ასევე საცალო სემგენტში.

ტრადიციულად მაღალი იყო ლიკვიდობის მაჩვენებლები. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 23 პროცენტს, ხოლო არასაბანკო დეპოზიტების 44 პროცენტს შეადგენდა. ამასთან, კვლავ გაიზარდა არარეზიდენტი დეპოზიტების წილი. საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას როგორც ლიკვიდობის მართვის, ასევე ქვეყანაში არსებული რეკორდულად დაბალი დაზოგვის დონის გათვალისწინებით. თუმცა, ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, ამ მხრივ იგეგმება გარკვეული ლიმიტის შემოღება. აღნიშნული ასევე გათვალისწინებულია „ბაზელ III-ის“ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (Liquidity Coverage Ratio – LCR) ჩარჩოს მიხედვით 2013 წელს დასაწერგ მიდგომებში. ამ ეტაპზე, პროცესის იმპლემენტაცია სატესტო ანგარიშგების შევსებაში გამოიხატა. ახალი ჩარჩო ლიკვიდობის უფრო ეფექტიანად მართვას შეუწყობს ხელს.

დაფინანსების საბითუმო ნაწილის მხრივ, ნა-სესხები სახსრების (სავალო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) 58 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდიოდა, 10 პროცენტი – მშობელ ბანკებზე და 32 პროცენტი – სხვა კერძო ინსტიტუტებზე. მათი განაწილება დაფარვის ვადების მიხედვით, განსაკუთრებით კრედიტორების გათვალისწინებით, დაბალ რისკად ფასდება. ასევე, შედარებით დაბალ რისკად ფასდება ხელშეკრულებებში არსებული პირობების სიმძიმე.

საბაზრო რისკებიდან საქართველოს საბანკო სისტემის მგრძობიარობა კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავალუტო რისკის მიმართ. თუმცა სავალუტო აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის დამატებით რისკის წონის მინიჭება აღნიშნული რისკების მნიშვნელოვნად შემცირებას უზრუნველყოფს.

საქართველოს საბანკო სისტემა ადეკვატურად არის კაპიტალიზებული და გააჩნია საკმარისი რესურსები ფინანსური სტაბილურობის რისკების შესამცირებლად. პოზიტიურად ფასდება კა-



პიტალის ზრდის რესურსები როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. საკრედიტო დანაკარგების შემდგომი მატების შემთხვევაშიც, მაღალი საოპერაციო მოგებისა და ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების შესაბამისად საკრედიტო დანახარჯების შემცირებით გამონვეული მომგებიანობის დაბალი მაჩვენებლები უფრო დროებით მოვლენად უნდა შეფასდეს. ამასთან, უკვე პრაქტიკაში ადაპტირებული კონტრაციული საზედამხებველო პოლიტიკის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში სავალუტო რისკის წონის გარკვეული შემცირება სტრუსულ ვითარებაში ასევე პოტენციურ შემაკავებელ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს.

2012 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული დებულება, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხებველობის ბაზელის კომიტეტის „ბაზელ II-ისა“ და „ბაზელ III-ის“ დოკუმენტებს. განახლებული მიდგომა უფრო მეტად იქნება მორგებული კომერციული ბანკების რისკის პროფილზე.

2012 წელს ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დახვეწას და პრაქტიკაში დანერგვას. შემუშავდა „ბაზელ II-ის“ სტანდარტებზე დაფუძნებული ახალი საოპერაციო რისკების მართვის დებულების პროექტი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების რეგულარულ ანალიზს. წლის განმავლობაში შეინიშნებოდა კომერციული ბანკების მხრიდან მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათი ფინანსური განათლების დონის ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებების მზარდი ტენდენცია. რამდენიმე კომერციულმა ბანკმა შექმნა სპეციალური ბუკლეტი, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეძღვნება და მოიცავს „საბანკო მომსახურების განვსისას მომხმარებლებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის“ ძირითადი ასპექტების მომხმარებლისათვის მარტივ და გასაგებ ენაზე ახსნას. კვლავ ძალაში იყო სესხების წინმსწრებად დაფარვის საკომისიოს ლიმიტი, რაც კონკურენციას

მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობით საქართველოში პირველად ჩატარდა მსოფლიო დაზოგვის დღე.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ეროვნული ბანკის ფიზიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. 2010-2011 წლებში დაინერგა ახალი საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა მართვის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მექანიზმებით. სისტემის დანერგვამ ქვეყანაში ბანკთაშორისი ანგარიშსწორება კიდევ უფრო უსაფრთხო და სწრაფი გახადა. საქართველოში მოქმედი ფულადისაქსრების საგადახდო სისტემებიდან მნიშვნელოვანია დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა, რომლის მფლობელი და ოპერატორი ეროვნული ბანკია. RTGS სისტემის მეშვეობით ხორციელდება საქართველოში ეროვნული ვალუტით ბანკთაშორისი გადარიცხვები. იგი სრულად ინტეგრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემასთან (CSD), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარს და სავაჭრო პლატფორმას. შედეგად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე ხორციელდება ყველაზე მიღებული DVP სისტემით, რაც პრაქტიკულად ნულამდე ამცირებს ტრანზაქციულ რისკებს. ეროვნული ბანკის სისტემური და ინფრასტრუქტურული რეფორმის ფარგლებში, 2011 წელს ექსპლუატაციაში გაიშვა საერთაშორისო რეზერვების მართვის ახალი სისტემა (WSS), რომელიც საშუალებას იძლევა დროის რეალურ რეჟიმში განხორციელდეს საინვესტიციო საქმიანობა ანალიტიკური და საპროგნოზო ასპექტების გათვალისწინებით. 2012 წელს მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის ფუნქციონალის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოების სამუშაოები.

საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ბანკებმა დაიწყეს მომხმარებლის ანგარიშების IBAN ფორმატში გადაყვანა. 2013 წლის 1 იანვრიდან კი



საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო გადახდის ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ IBAN ფორმატის ანგარიშებით, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა და გადახდის ოპერაციის თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვის ხანგრძლივობა.

დღეისათვის ეროვნული ვალუტით ანგარიშსწორება, სხვადასხვა ბანკის მომხმარებელს შორის, შესაძლებელია რამდენიმე წამში განხორციელდეს მაქსიმალურად უსაფრთხოდ და მცირე დანახარჯებით. შესაბამისად, საბანკო ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურული რეფორმა შესაძლებელია საქართველოში ძირითადად დასრულებულად ჩაითვალოს. ანგარიშსწორების ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მიზანი მომავალ წლებში იქნება საბანკო და არასაბანკო ანგარიშსწორების სისტემების შემდგომი განვითარება, სამართლებრივი გარემოსა და პროცედურების დახვეწა.

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საქმიანობას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლებისა და მონაცემთა წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებით, ფინანსური და საგარეო სექტორების სტატისტიკაზე მომხმარებელთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით, მიმდინარეობდა ფინანსური, მაკროეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების ავტომატიზაციის სისტემის (სებსტატი) შემუშავება და დანერგვა. სისტემა, რომელიც 2013 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება, ერთი მხრივ, სტატისტიკური ინფორმაციის მომწოდებლებს შეუმცირებს საანგარიშგებო ტვირთს, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს.

ეროვნული ბანკის სერვერული ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2012 წელს დასრულდა თბილისში ერთმანეთისაგან დაშორებული ორი სერვერული ცენტრის აგება. ასევე ეროვნულმა ბანკმა შექმნა სარეზერვო ცენტრი, სადაც განთავსებულია მცირე ზომის სარეზერვო სერვერული ცენტრი. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა ფიზიკური ინფრასტრუქ-

ტურის არსებული რისკები და გაიზარდა ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი.

2012 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში გამართულ კიბერუსაფრთხოებისა და IT ინოვაციების რიგით მე-5 რეგიონულ კონფერენციაზე (GITI 2012), საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამ ნომინაციაში გაიმარჯვა – „ყველაზე წარმატებული ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა“, „საუკეთესო IT მენეჯმენტი“ და „წლის საუკეთესო IT“.

ზემოაღწერილი ინფრასტრუქტურული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკები, გაიზარდა სისტემების უსაფრთხოება, სტაბილურობა, მდგრადობა, ინფორმაციის საიმედოობა, კონფიდენციალობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული ოფისის გადასვლა ახალ შენობაში და ახალი საკასო ცენტრის მშენებლობის დასრულება. საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი ოფისი მდებარეობს სანაპიროს ქუჩაზე. დღემდე საქართველოს ეროვნული ბანკი რამდენიმე შენობაში იყო განთავსებული, რაც თავისთავად აფერხებდა მის ეფექტურ ფუნქციონირებას. გარდა ამისა, ამორტიზებული შენობები ვეღარ პასუხობდა დაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებს. ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა ეროვნულმა ბანკმა, ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკასო ცენტრის მშენებლობით დაიწყო. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკასო ცენტრი 2012 წლის ივნისში გაიხსნა და დღეს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით, დაცვისა და უსაფრთხოების ავტომატიზირებული სისტემებით მიმდინარეობს ნაღდ ფულთან და ფასეულობებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ამასთან, 2012 წლის დეკემბერში ექსპლუატაციაში შევიდა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ნაღდი ფულის მართვის სისტემა. სისტემის დანერგვის შემდეგ, ეროვნული ბანკის ახალ საკასო ცენტრში ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მართ-



ვის პროცესი სრულად ავტომატიზირებული გახდა.

2012 წელს მიღებული ნორმატიული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“. კანონის მიღების მიზანია საქართველოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირება. ასევე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. კერძოდ:

– ეროვნულ ბანკს მიენიჭა სრული უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და მათთვის მინიმალური მოთხოვნების დადგენის, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესების გზით;

– შემოღებულ იქნა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ცნება და ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება იურიდიული პირი მიიჩნიოს კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის

საქმიანობის რეგულირება, რაც მოიცავს მის რეგისტრაციას, რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამჟღავნების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობისა და მოთხოვნების დადგენას, ასევე შემოწმებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;

– განხორციელებული ცვლილებით ეროვნულ ბანკსა და ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის მიმონერა შეიძლება განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც ენიჭებათ თანაბარი იურიდიული ძალა.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, 2012 წელს მომზადდა და გამოიცა რიგი ნორმატიული აქტები. მათ შორის: „საგადახდო სისტემების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესი“. ასევე შემუშავდა „საგადახდო სისტემის ოპერატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი“.



# 1. მაკროეკონომიკური გარემო




## 1.1 მსოფლიო ეკონომიკა

2012 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდა წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო მეტად შესუსტდა და გლობალური გაჯანსაღების პროცესი საფრთხის ქვეშ დადგა. მომხმარებელთა და ინვესტორთა ნდობის დეფიციტი და გაურკვეველობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა მრავალი განვითარებული ქვეყნისთვის, სადაც უმუშევრობის მაღალი დონე, შემცირებული მთლიანი მოთხოვნა, ფისკალური და ფინანსური დისბალანსები კვლავაც დაუძლეველ პრობლემებს

წარმოადგენდა. შედარებით პოზიტიურია ვითარება მზარდ და განვითარებად სახელმწიფოებში, თუმცა, საგარეო სექტორის შემცირებული მოთხოვნა და კლებადი საერთაშორისო ფასები გარკვეულ საფრთხეს წარმოშობს მათი ეკონომიკური ზრდისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შეფასებით, 2012 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 3.3 პროცენტი შეადგინა. პროგნოზის მიხედვით, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდება მომდევნო წელს, ხოლო 2014-ში კი 4.1 პროცენტს გაუტოლდება (იხ. დიაგრამა N 1.1).

დიაგრამა N 1.1 მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, World Economic Outlook (განახლება იან. 2013)

აქტიური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მიუხედავად, ევროზონის კრიზისი 2012 წელს გაღრმავდა. ეკონომიკა შემცირდა 0.4 პროცენტით, ხოლო წამყვანი ქვეყნების, გერმანიისა და საფრანგეთის, მშპ გაიზარდა მხოლოდ 0.9 პროცენტითა და 0.1 პროცენტით, შესაბამისად. საფინანსო ბაზრები კვლავაც სკეპტიკურად უყურებენ ევროზონის პერიფერიის სახელმწიფოთა მზაობას გაატარონ ფისკალური და სტრუქტურული რეფორმები, რის გამოც მათ სახელმწიფო ვალებზე საკმაოდ მაღალი საპროცენტო სპრედები წარჩუნდება და მნიშვნელოვნად რთულდება მათი მომსახურება. ამ მხრივ პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ, რომელმაც 2012 წლის სექტემბერში

გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში შეიძინოს მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნულმა ინიციატივამ გაზარდა მომხმარებელთა და ინვესტორთა ნდობა და წლის ბოლოსთვის ევროზონის ფინანსური მაჩვენებლებიც გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, არსებული პროგნოზით, ევროზონის ეკონომიკა 2013 წელს დამატებით შემცირდება 0.2 პროცენტით და მხოლოდ 2014 წელს დაფიქსირდება ზრდა 1 პროცენტის ოდენობით.


2012 წელს ინფლაციის დონე ევროზონაში მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდა, მაგრამ მომდევნო წლებისთვის ინფლაციური მოლოდინები შემცირებულია. ამ ტენდენციას საქონელსა და მომსახურებაზე სუსტი მოთხოვნა და კერძო



სექტორში ხელფასებზე შემცირებისკენ მიმართული ზეწოლა განაპირობებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ევროზონის ინფლაციამ 2012 წელს საშუალოდ 2.5 პროცენტი შეადგინა

და არსებული პროგნოზით მომდევნო წელს 2 პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამოცდება (იხ. დიაგრამა N 1.2).

დიაგრამა N 1.2 ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, World Economic Outlook (ოქტ. 2012)

2012 წლის დასაწყისში აშშ-ის ეკონომიკა მოსალოდნელზე მეტად იზრდებოდა ბიზნეს ინვესტიციებისა და ექსპორტის ხარჯზე. თუმცა, შემდგომ პერიოდში აღმავლობა შეფერხდა, ერთი მხრივ, შესუსტებული გლობალური ეკონომიკური აქტივობის, ხოლო, მეორე მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ცვლილების რისკის ზრდის გამო. აღნიშნული რისკი გამოწვეული იყო საბიუჯეტო დეფიციტის მოსალოდნელი შემცირებით (fiscal cliff) გადასახადების გაზრდისა და სამთავრობო ხარჯების შეკვეცის გზით, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა ზომიერ რეცესიას 2013 წელს<sup>1</sup>.

უკანასკნელ წლებში აშშ-ის ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ბიზნეს ინვესტიციები წარმოადგენდა, მაგრამ 2012 წლის მეორე ნახევარში არსებული გაურკვევლობის პირობებში ფირმების რისკისადმი მიდრეკილება მნიშვნელოვნად შემცირდა და შედეგად ინვესტიციებზე მოთხოვნა შესუსტდა. გარდა ამისა, უმუშევრობის ჯერ კიდევ მაღალმა დონემ, შეაფერხა ადგილობრივი მოთხოვნის ზრდა, ხოლო გლობალური ეკონომიკური კრიზისი შემცი-

რებული საგარეო მოთხოვნის მიზეზი გახდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 5-წლიანი ვარდნის შემდეგ შეინიშნებოდა უძრავი ქონების ბაზრის გამოცოცხლება, რასაც ხელი შეუწყო უჩვეულოდ დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა იპოთეკურ სესხებზე. საბოლოოდ, აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს 2.3 პროცენტით გაიზარდა და პროგნოზის მიხედვით, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 2 პროცენტამდე დაიკლებს ფისკალური ფაქტორების ზეგავლენით.

შესუსტებული მოთხოვნა გარკვეულწილად აისახა სამომხმარებლო ფასებზე აშშ-ში. ინფლაციის მაჩვენებელი 3.1 პროცენტიდან (2011 წ.) 2 პროცენტამდე შემცირდა 2012 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ კიდევ უფრო მეტად შეარბილა მონეტარული პოლიტიკა. კერძოდ, ცენტრალურმა ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა, უმუშევრობის დონის 6.5 პროცენტზე მეტად შემცირებამდე შეენარჩუნებინა უპრეცედენტოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთი (Fed Funds Rate) 2015 წლის მეორე ნახევარამდე და, ამასთან, დამატებით გაეზარდა ფულის მი-

1. რისკი მეტ-ნაკლებად შემცირდა მას შემდეგ, რაც 2013 წლის 2 იანვარს ძალაში შევიდა შესაბამისი კანონის კომპრომისული ვარიანტი, რომლითაც დაშვებულ იქნა გადასახადების უფრო ნაკლები ზრდა, ვიდრე თავდაპირველ ვარიანტში, ხოლო ხარჯების კუთხით ინიციატივების განხილვა რამდენიმე თვით გადაიდო.



წოდება იპოთეკური ფასიანი ქაღალდების შექმნით (mortgage-backed securities). ამ ფაქტების გათვალისწინებით, მომდევნო წლებში პროგნოზირებულია ინფლაციის ზრდა საშუალოდ 2.5 პროცენტამდე.

განვითარებული ქვეყნების სიძნელეები აისახება მზარდ და განვითარებად სახელმწიფოთა ეკონომიკაზეც, ძირითადად შემცირებული საგარეო მოთხოვნისა და საქონელზე არამდგრადი ფასების მიზეზით. რაც შეეხება ექსპორტზე ნაკლებად დამოკიდებულ ქვეყნებს, მათ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად ინვესტიციების ნაკლებობა და შესუსტებული შიდა მოთხოვნა გვევლინება. მიუხედავად ამისა, გლობალური პროგნოზის თანახმად, მზარდი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ზრდის პერსპექტივა გაცილებით იმედისმომცემია, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზის მიხედვით<sup>2</sup>, 2012 წელს დაფიქსირებული 5.1 პროცენტის ზრდის შემდეგ, 2013 წელს მშპ-ის ზრდა 5.5 პროცენტს მიაღწევს, ხოლო 2014 წელს კი 5.9 პროცენტამდე მოიმატებს.

მზარდი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ინფლაციური რისკები მცირეა. უმრავლეს მათგანში საკმაოდ შერბილებული მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად არასაკმარისი ეკონომიკური ზრდა და კრედიტზე ნაკლები ხელმისაწვდომობა ფასებზე მნიშვნელოვან ზეწოლას ვერ ქმნის. 2013 წელს მოსალოდნელია, რომ სურსათის ფასები ზეწოლას შექმნის მთლიან ინფლაციაზე, თუმცა განვითარებადი ქვეყნების ინფლაცია მაინც ზომიერი იქნება. სსფ-ის შეფასებით, 2013 წელს მოსალოდნელია 5.8 პროცენტი ინფლაცია, 2012 წელს ფასების 6.1 პროცენტის ზრდის შემდეგ.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში 2012 წელს შენელებული ეკონომიკური ზრდა შეინიშნებოდა. შიდა მოთხოვნის შესუსტების შედეგად, თურქეთის რეალური მშპ-ის ზრდამ მხოლოდ წლიური 3 პროცენტი შეადგინა, რაც თითქმის სამჯერ ჩამორჩება 2011 წლის მაჩვენებელს. მოთხოვნის შესუსტება მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ და მომხმარებელთა ნდობის შემცირებამ გამოიწვია. ინფლაცია 6.5 პროცენტიდან (2011

წ.) 8.7 პროცენტამდე გაიზარდა 2012 წელს, რაც, ერთი მხრივ, ენერგორესურსებსა და სურსათზე გაზრდილმა ფასებმა, ხოლო მეორე მხრივ, დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდამ განაპირობა.

2012 წელს უკრაინის ეკონომიკა ჯერ კიდევ განიცდიდა 2008-2009 წლების სისტემური საბანკო კრიზისის უარყოფით ზეგავლენას, რასაც თან ერთვის მწირი საგარეო მოთხოვნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ფისკალური კონსოლიდაციის არათანმიმდევრული პროცესი და სტიქიური პრობლემები სოფლის მეურნეობის სექტორში. რეალური მშპ 3 პროცენტით გაიზარდა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2011 წლის მაჩვენებელზე. ინფლაციის მაჩვენებელი 2012 წელს 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად საექსპორტო პროდუქციაზე საერთაშორისო ფასების კლებადი ტენდენციით იყო გამოწვეული.

## 1.2 ეკონომიკური ზრდა

2012 წელს ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.1 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკა მაღალი ტემპებით წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში იზრდებოდა. წლის პირველ და მეორე კვარტალებში რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ შესაბამისად, 6.7 პროცენტი და 8.2 პროცენტი შეადგინა, მესამე კვარტალში რეალური მშპ წლიურად 7.5 გაიზარდა. წლის ბოლოს ზრდის ტემპმა იკლო, რაც განსაკუთრებით მკვეთრად მეოთხე კვარტალში გამოვლინდა, როდესაც ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა.

მშპ-ზე მოქმედი სეზონური ფაქტორების გამო-რიცხვით კორექტირებული მონაცემების მიხედვით, ეკონომიკა ყოველ მომდევნო კვარტალში იზრდებოდა წინა კვარტალთან შედარებით, მეოთხე კვარტალის გარდა. ამგვარად შესწორებული მონაცემებით, მშპ-ის ზრდა ყველაზე მაღალი იყო მესამე კვარტალში (3.3 პროცენტი). წლის პირველ და მესამე მეოთხედებში ზრდის ტემპი შედარებით დაბალი იყო (შესაბამისად 0.2 პროცენტი და 1.2 პროცენტი). რაც შეეხება მეოთხე კვარტალს, სეზონურად შესწორებული მშპ წინა კვარტალთან შედარებით 3.6 პროცენტით შემცირდა.

2. იხ. World Economic Outlook (განახლება იანვარი 2013).



**ცხრილი N 1.1** რეალური მშპ-ის ზრდა და სექტორული წვლილები 2010-2012 წწ.

	2010		2011		2012	
	ზრდა	წვლილი	ზრდა	წვლილი	ზრდა	წვლილი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	-4.8%	-0.4%	8.0%	0.6%	-3.3%	-0.3%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4.6%	0.0%	-8.5%	-0.1%	2.0%	0.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	20.2%	1.4%	13.9%	1.1%	16.4%	1.4%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.0%	0.1%	7.2%	0.2%	-0.9%	0.0%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	-4.6%	-0.1%	7.1%	0.2%	-2.0%	-0.1%
მშენებლობა	6.5%	0.4%	7.1%	0.4%	11.4%	0.7%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	14.1%	1.8%	5.6%	0.8%	7.3%	1.1%
სასტუმროები და რესტორნები	13.1%	0.3%	8.0%	0.2%	11.8%	0.2%
ტრანსპორტი	13.0%	0.8%	6.7%	0.5%	5.9%	0.4%
კავშირგაბმულობა	10.4%	0.4%	8.1%	0.3%	9.6%	0.3%
საფინანსო საქმიანობა	14.7%	0.4%	24.3%	0.6%	15.0%	0.3%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	10.1%	0.4%	11.3%	0.5%	4.2%	0.2%
საკუთარი საცხოვრებლის გამოყენების პირობითი რენტა	2.6%	0.1%	2.9%	0.1%	3.7%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	0.8%	0.1%	3.3%	0.4%	3.2%	0.3%
განათლება	3.1%	0.1%	2.7%	0.1%	2.4%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	2.9%	0.2%	1.3%	0.1%	1.0%	0.1%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	11.6%	0.4%	7.8%	0.3%	8.2%	0.3%
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	9.5%	0.0%	15.3%	0.0%	7.0%	0.0%
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	9.6%	-0.1%	20.5%	-0.2%	10.3%	-0.1%
<b>მშპ საბაზისო ფასებში</b>	<b>7.1%</b>	<b>6.1%</b>	<b>6.7%</b>	<b>5.8%</b>	<b>-3.3%</b>	<b>-0.3%</b>
გადასახადები პროდუქციაზე	1.3%	0.2%	10.2%	1.4%	7.5%	1.1%
სუბსიდიები პროდუქციაზე	4.3%	0.0%	8.5%	0.0%	-0.4%	0.0%
<b>მშპ საბაზრო ფასებში</b>	<b>6.3%</b>	<b>6.3%</b>	<b>7.2%</b>	<b>7.2%</b>	<b>6.1%</b>	<b>6.1%</b>

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მშპ-ის დინამიკის სექტორული ანალიზიდან ჩანს, 2012 წლის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის სექტორებს მიუძღვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია 2012 წელს მშენებლობის და საფინანსო საქმიანობის სექტორების მნიშვნელოვანი ზრდა და რეალური მშპ-ის ზრდაში მათი მაღალი წვლილი. სოფლის მეურნეობის სექტორი კი, წინა წელს დაფიქსირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, კვლავ შემცირდა. 2012 წლის მონაცემებით, რეალურმა მშპ-მა სოფლის მეურნეობაში წლიურად 3.3 პროცენტით იკლო.

2012 წლის განმავლობაში, საკმაოდ მაღალი ზრდა აჩვენეს, და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაში საგრძნობი პოზიტიური წვლილი შეიტანეს შემდეგმა სექტორებმა: „ტრანსპორტი“, „სახელმწიფო მმართველობა“, „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“, „კავშირგაბმულობა“ და „სასტუმროები და რესტორნები“.

დანარჩენ სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდის წვლილი მთლიან ზრდაში შედარებით მცირე იყო. წლიური კლება „სოფლის მეურნეობის“ სექტორის გარდა მხოლოდ „სამთომოპოვებით მრეწველობაში“ დაფიქსირდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ნიაღისეულ ნედლეულზე მოთხოვნის კლებას უკავშირდება.

**მოთხოვნა**

2012 წელს ნომინალური მშპ წინა წელთან შედარებით 7.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მშპ-ის დეფლატორმა 1.2 პროცენტით მოიმატა.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, „საბოლოო მოხმარების“ კატეგორია ნომინალურად 4.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო „მთლიანი კაპიტალის ფორმირების“ და „საქონლისა და მომსახურების ექსპორტის“ ნომინალურმა ზრდამ შესაბამისად, 19.0 პროცენტი და 13.9 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება იმპორტს, იგი 13.3 პროცენტით გაიზარდა და მისმა წილმა ნომინალურ მშპ-ში 58 პროცენტი შეადგინა.



**ცხრილი N 1.2** მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
<b>მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში</b>	<b>13,790</b>	<b>16,994</b>	<b>19,075</b>	<b>17,986</b>	<b>20,743</b>	<b>24,344</b>	<b>26,139</b>
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	12,972	15,732	19,596	19,075	19,898	22,448	23,508
შინამეურნეობები	10,804	11,953	14,582	14,600	15,418	17,882	18,718
სახელმწიფო მართვის ორგანოები	2,116	3,718	4,936	4,399	4,371	4,431	4,633
შმაკო	52	61	77	75	109	136	157
<b>(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება</b>	<b>4,255</b>	<b>5,448</b>	<b>4,952</b>	<b>2,343</b>	<b>4,478</b>	<b>6,368</b>	<b>7,575</b>
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	3,524	4,370	4,099	2,755	4,009	5,474	6,497
მარაგების ცვლილება	731	1,077	853	-412	469	894	1,079
<b>(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი</b>	<b>4,532</b>	<b>5,303</b>	<b>5,459</b>	<b>5,349</b>	<b>7,250</b>	<b>8,823</b>	<b>10,048</b>
საქონლის ექსპორტი	2,956	3,479	3,587	3,163	4,390	5,476	5,825
მომსახურების ექსპორტი	1,576	1,824	1,873	2,185	2,860	3,347	4,223
<b>(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი</b>	<b>7,863</b>	<b>9,848</b>	<b>11,140</b>	<b>8,801</b>	<b>10,945</b>	<b>13,334</b>	<b>15,105</b>
საქონლის ექსპორტი	6,574	8,295	9,304	7,173	9,007	11,217	12,710
მომსახურების ექსპორტი	1,289	1,553	1,837	1,628	1,938	2,117	2,395
<b>(+) სტატისტიკური განსხვავება</b>	<b>-107</b>	<b>359</b>	<b>209</b>	<b>20</b>	<b>63</b>	<b>39</b>	<b>112</b>

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2012 წელს საბოლოო მოხმარების უმსხვილესი ნაწილი – შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯები<sup>3</sup> – ნომინალურად 4.7 პროცენტით გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ცვლილების ეფექტის გამორიცხვის შედეგად მიღებული რეალური კერძო მოხმარება წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ზრდის ტემპი სტაბილურად იმატებდა, თუმცა მეოთხე კვარტალში ზრდის ტემპი შემცირდა. საბოლოოდ, წლის განმავლობაში რეალური კერძო მოხმარება წლიურად 5.6 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში რეალური კერძო მოხმარების ზრდა ჩამორჩებოდა ეკონომიკის ზრდას, რაც მოთხოვნის მხრიდან სუსტი ინფლაციური ზეწოლის მანიშნებელია.

2011 წლიდან მოყოლებული ინვესტიციები სწრაფად იზრდებოდა და წლიური ზრდა კვარტალების მიხედვით საშუალოდ 40 პროცენტს აღემატებოდა. 2012 წლის მესამე კვარტალში ზრდის მაჩვენებელი საგრძნობლად, 8.9 პროცენტამდე შემცირდა. უფრო მეტიც, მეოთხე კვარტალში კაპიტალის ფორმირება წლიურად 2.1 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად წლის მეორე ნახევარში აღნიშნული შემცირებისა, 2012 წელს მთლიანი კაპიტალის ფორმირების დონემ 19.0 პროცენტით

მოიმატა და ეკონომიკის ზრდაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

საგულისხმოა, რომ 2012 წლის განმავლობაში, კაპიტალის ფორმირების მატებასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია ექსპორტი, რასაც უმთავრესად მომსახურების ექსპორტი, კერძოდ, ტურისტული შემოსავლები განაპირობებს. 2012 წლის განმავლობაში ექსპორტის ზრდა უფრო სწრაფი იყო, ვიდრე 2011 წელს. მზარდი ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე ამ კატეგორიის ზრდის დადებითი გავლენა. 2012 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკურ ზრდაში უდიდესი წვლილი სწორედ ექსპორტზე მოდიოდა. მიუხედავად მეოთხე კვარტალში დაფიქსირებული ზრდის ტემპის შენელებისა, საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის წვლილი დადებითია ეკონომიკის მთლიან ზრდაში.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეკონომიკაში მთლიან დანახარჯებს ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ისევე როგორც წინა პერიოდებში, 2012 წელსაც ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდა უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანი მოხმარებისა. შედეგად, გაიზარდა ეროვნული დანახარჯი და წინასწარი შეფასებით ეროვნული შემოსავლის 16.7 პროცენტს მიაღწია<sup>4</sup>. დანახარჯების აღნიშნული მატება ნაწილობრივ აფინანსებს გაზ-

3. 2012 წელს შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებაზე განხორციელებული დანახარჯებმა მთლიანი საბოლოო მოხმარების 79.6 პროცენტი შეადგინა.  
4. 2011 წლის მონაცემებით, ეროვნული დანახარჯი მთლიანი ეროვნული შემოსავლის 13.1 პროცენტს შეადგენდა.



რდილ ინვესტიციებს. ეროვნული დანაზოგების ზრდის ტემპის მატების ტენდენციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დანაზოგების არსებული დონე ჯერ არ არის საკმარისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მდგრად დონემდე შემცირების უზრუნველსაყოფად.


### 1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2012 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. 2011 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული წლიური ინფლაციის კლების ტენდენცია 2012 წელსაც გაგრძელდა. უფრო მეტიც, თებერვლის თვიდან მოყოლებული წლიური ინფლაციის მაჩვენებელი უარყოფითი გახდა და წლის ბოლოსათვის  $-1.4$  პროცენტს გაუტოლდა. ამავ პერიოდისათვის საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა  $-0.9$  პროცენტი შეადგინა. ამგვარად, წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც საშუალოვადიანი პერიოდისათვის 6 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურად, კლების ტენდენციით ხასიათდება საბაზო ინფლაციის მაჩვენებელიც (სურსათისა და ენერ-

გომატარებლების გარეშე), რომელიც დეკემბრის ბოლოსათვის  $-0.2$  პროცენტს გაუტოლდა.

ისევე როგორც სხვა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, საქართველოშიც სურსათის ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში შედარებით მაღალია და შესაბამისად, მაღალია ინფლაციის მაჩვენებლის მგრძობელობა სურსათის ფასების ცვლილების მიმართ. 2012 წლის ბოლოსათვის, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან მნიშვნელოვან ჩამორჩენას დიდწილად სურსათზე დაფიქსირებული საბაზო ეფექტით გამოწვეული ფასების შემცირება განაპირობებს. 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის პირველ ნახევარში როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში განსაკუთრებით ცუდი მოსავლიანობის გამო, სასურსათო პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. სურსათის აღნიშნული გაძვირება დროებითი ხასიათის იყო და შესაბამისად მოსალოდნელი იყო მოსავლიანობის ზრდასთან ერთად შემდგომ წლებში ამ ტრენდის შებრუნება. თუმცა, როგორც ცნობილია, ფასების ელასტიურობა კლების მიმართულებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ზრდის მიმართულებით. ამდენად, მიწოდების შეზღუდვის გამო გაზრდილი ფასების კვლავ შემცირება დროში განელილი პროცესია და დღევანდელ ინფლაციაზეც ახდენს გავლენას. აღნიშნული პროცესის შედეგად, 2012 წლის დასაწყისიდანვე სურსათზე ფასების კლება ფიქსირდებოდა. დეფლაციის მაჩვენებელმა მაისის

დიაგრამა N 1.3 მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) ინფლაციები (2008-2012 წლები)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ბოლოსათვის 11.5 პროცენტს მიაღწია. წლის მეორე ნახევარში კლების ტემპმა შედარებით იკლო და წლის ბოლოსათვის 4.1 პროცენტს გაუტოლდა. სურსათის გავლენა წლიური დეფლაციის საერთო მაჩვენებელზე დაახლოებით 1.3 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა.

2012 წლის განმავლობაში დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, როგორცაა აზერბაიჯანი, სომხეთი და უკრაინა. რადგან საქართველოში სამომხმარებლო კალათის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებული პროდუქციისგან შედგება, პარტნიორ ქვეყნებში ფასების დინამიკა საქართველოში ინფლაციის ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენს და დღესდღეობით ინფლაციის იმპორტი ქვეყანაში დაბალი ინფლაცი-

ის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. 2011 წლის ივნისის თვიდან მოყოლებული, ქვეყანაში იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდის ტემპს დაღმავალი ტრენდი აქვს. უფრო მეტიც, 2012 წლის მეორე კვარტალის ბოლოსათვის სამომხმარებლო კალათაში შემავალ იმპორტირებულ საქონელზე დეფლაცია დაფიქსირდა. იგივე ტენდენცია გაგრძელდა წლის მეორე ნახევარშიც და დეფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. დეკემბრის ბოლოსათვის იმპორტირებულ საქონელზე ფასების საერთო დონის ცვლილება -1.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მისი წვლილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელში დაახლოებით -0.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა. ადგილობრივ საქონელზე ინფლაცია 0.1 პროცენტი იყო.

**ღიაბრამა N 1.4** იმპორტირებული<sup>5</sup> და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

5. იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია გაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული სამომხმარებლო კალათის ცალკეული კომპონენტების ინდექსების მიხედვით.

საინტერესოა აგრეთვე ვაჭრობადი<sup>6</sup> და არა-ვაჭრობადი საქონლის ფასების დინამიკაზე დაკვირება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფასები არავაჭრობად საქონელზე უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე ვაჭრობად საქონელზე, რაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. კაპიტალის მნიშვნელოვანი მოცულობებით შემოდინების შედეგად გაიზარდა მოსახლეობის განკარგვადი შემოსავალი და შედეგად ერთობლივი მოთხოვნა. აღნიშნული სხვა თანაბარ პირობებში იწვევს არავაჭრობად საქონელზე ფასების უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე ვაჭრობად საქონელზე, რადგანაც ვაჭრობადი საქონლის ფასებს ძირითადად მსოფლიო ბაზრებზე არსებული ტენდენციები განსაზღვრავს, ხოლო ისეთი მცირე ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნას, როგორც

საქართველოა, მსოფლიო ფასებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია. ამასთან არავაჭრობადი საქონლის ფასებზე ზენოლა უფრო ძლიერია. 2008 წლის მეორე ნახევრის შემდეგ აღნიშნული ტენდენცია შესუსტდა, რადგან ზოგადი მაკროეკონომიკური გარემოდან გამომდინარე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა აღარ შეინიშნებოდა, რამაც არავაჭრობად სექტორში ფასების ზრდის ტემპის შემცირება გამოიწვია. 2012 წლის მეორე ნახევარში არავაჭრობად სექტორში ფასები პრაქტიკულად აღარ გაზრდილა. ამავე დროს, ეკონომიკური შენელების ფონზე, საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო ფასების კლების პარალელურად, 2011 წელთან შედარებით ფასების შემცირება დაფიქსირდა ვაჭრობადი საქონლის შემთხვევაში.

**ღიაბრაზა N 1.5** ვაჭრობადი და არავაჭრობადი საქონლის ფასების ინდექსის დინამიკა 2011=100



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2012 წლის ბოლოსათვის, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის შემცირების ყველაზე მაღალი ტემპები დაფიქსირდა „სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების“ კატეგორიაში შემავალ პროდუქტებზე და ამ მაჩვენებელმა 3.6 პროცენტი შეადგინა, რაც როგორც აღინიშნა, უმთავრესად საბაზო

ეფექტით არის გამოწვეული. ასევე მაღალი იყო ფასების კლება „დასვენება, გართობა და კულტურა“ და „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“ სასაქონლო ჯგუფების შემთხვევაში, სადაც ფასების დონე შესაბამისად 3.5 პროცენტით და 3.2 პროცენტით შემცირდა. სამომხმარებლო ფასების 2.5 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა

6. საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.



სახეების“ კატეგორიაში შემავალ საქონელსა და მომსახურებაზე, რაც ერთმნიშვნელოვნად დასუფთავების მომსახურების გადასახადის შემცირების შედეგია. „განათლების“ სექტორში ფასები 1.7 პროცენტით შემცირდა, ხოლო ჯგუფში „ავეჯი, საოჯახო ნივთები და მონყობილობები, სახლის მოვლა-შეკეთება“ ფასების საერთო დონის კლებამ 0.8 პროცენტი შეადგინა. ანალოგიურად, წინა წელთან შედარებით, ფასები შემცირდა „კავშირგაბმულობის“ და „ტრანსპორტის“ სფეროებში განეულ მომსახურებაზე, შესაბამისად, 0.5 და 0.1 პროცენტით. ფასების საერთო დონის კლების ფონზე აღსანიშნავია, რომ ფასების მატება დაფიქსირდა რამდენიმე ჯგუფში: 2011 წელთან შედარებით 3.6 პროცენტით იმატა „სასტუმროების, კაფეების და


რესტორნების“ სექტორში განეული მომსახურების ფასებმა, ხოლო „ჯანდაცვის“ სფეროში ფასების საერთო დონის ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა. ფასების მცირე მატება დაფიქსირდა „ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს“ და „სხვადასხვა საქონელისა და მომსახურების“ სასაქონლო ჯგუფებში შემავალ საქონელსა და მომსახურებაზე. საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2012 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე შემცირდა როგორც ხანგრძლივი და ხანმოკლე, ისე საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე. მომსახურებაზე საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის სამომხმარებლო ფასები 1.4 პროცენტით გაიზარდა.

**ცხრილი N 1.3** ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი)

	2011 წლის დეკემბრის წონები	დეკ12 / დეკ11		იან12/იან11	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-1.4%	-1.4%	-0.9%	-0.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30.3%	-3.6%	-1.1%	-4.5%	-1.4%
სურსათი	27.5%	-4.1%	-1.1%	-5.0%	-1.4%
პური და პურპროდუქტები	7.4%	-1.9%	-0.1%	-5.9%	-0.5%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	5.2%	-1.0%	-0.1%	5.2%	0.3%
თევზი	0.3%	-5.2%	0.0%	4.6%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	3.9%	-2.0%	-0.1%	1.6%	0.1%
ზეთი და ცხიმი	2.0%	-4.2%	-0.1%	-3.4%	-0.1%
ხილი, ყურძენი	1.2%	12.0%	0.1%	-20.6%	-0.4%
ბოსტნეული, ბალახი, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	4.2%	-16.8%	-0.7%	-14.9%	-0.7%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.5%	-7.6%	-0.2%	-9.9%	-0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	1.8%	0.0%	3.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.7%	0.0%	3.9%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.5%	1.7%	0.1%	1.0%	0.1%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2.6%	-3.2%	-0.1%	-5.6%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.2%	-2.5%	-0.2%	0.8%	0.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მონყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.1%	-0.8%	0.0%	-0.9%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	7.5%	2.8%	0.2%	1.7%	0.1%
ტრანსპორტი	12.8%	-0.1%	0.0%	6.5%	0.8%
კავშირგაბმულობა	5.6%	-0.5%	0.0%	-3.0%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	6.8%	-3.6%	-0.2%	-1.3%	-0.1%
განათლება	6.1%	-1.7%	-0.1%	-0.3%	0.0%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4.4%	3.6%	0.2%	5.4%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.0%	0.2%	0.0%	0.0%	0.0%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	55.6%	-2.6%	-1.5%	-2.6%	-1.4%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.1%	-3.0%	-0.2%	-3.0%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	-2.6%	-0.1%	-3.2%	-0.1%
მომსახურება	32.7%	1.4%	0.5%	3.8%	1.2%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**დიაგრამა N 1.6** წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### 1.4 სახელმწიფო ფინანსები

**2**008-2009 წლების კრიზისის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისათვის მთავრობა ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას ატარებდა, რაც ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში გამოიხატა. 2010 წელს დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლება და შედეგად, მთავრობამ მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეტაპობრივად დაიწყო ფისკალური კონსოლიდაცია ბიუჯეტის დეფიციტის მდგრად დონემდე შესამცირებლად. 2012 წელს ფისკალური კონსოლიდაცია გაგრძელდა და ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.9 პროცენტამდე შემცირდა. წინა წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 8.7 პროცენტით, სამთავრობო ხარჯები კი 7.6 პროცენტით გაიზარდა (ყველაზე დიდი წვლილი კაპიტალურ ხარჯებზე მოდის).

2012 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 7.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც თითქმის 900 მლნ ლარით მეტია, ვიდრე 2011


წელს. 2012 წელს საგადასახადო შემოსავლები უფრო მეტად (8.7 პროცენტით) გაიზარდა, ვიდრე ნომინალური მშპ (7.7 პროცენტი). შედეგად, საგადასახადო ტვირთი წინა წელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, 25.5 პროცენტი შეადგინა და მცირედით ჩამორჩება კრიზისამდელ 2007 წლის მაჩვენებელს (25.8 პროცენტი) (იხ. დიაგრამა N 1.7).

მაკროეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ბიუჯეტის შემოსავლების რეალური ცვლილება (საშუალო სფი ინფლაციის გათვალისწინებით). საგადასახადო შემოსავლების ნომინალურმა მატებამ 2012 წელს 8.7 პროცენტი, ხოლო რეალურმა მატებამ 9.8 პროცენტი შეადგინა, უფრო მეტი ვიდრე მშპ-ის რეალური ზრდაა (6.1 პროცენტი). საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი) წილი 57 პროცენტს შეადგენს, პირდაპირი გადასახადების (მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადი) კი – 43 პროცენტს.

საპარტეზო: ეროვნული ბანკი / წლიური ანგარიში / 2012 წელი



**დიაგრამა N 1.7** ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი თანაფარდობა მშპ-თან




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგადასახადო შემოსავლების ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი დღგ-ზე მოდის (4.2 პროცენტული პუნქტი), რომელიც 9 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვანი წვლილი მოდის ასევე საშემოსავლო გა-

დასახადზე (3.5 პროცენტული პუნქტი). რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, წინა წელთან შედარებით იგი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა N 1.8).

**დიაგრამა N 1.8** ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სახეების მიხედვით 2012 წელი (მლნ ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2012 წელს წინა წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 590 მლნ ლარით (7.6 პროცენტით) გაიზარდა და 8.3 მლრდ ლარი შეადგინა. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 457 მილიონი ლარით გაიზარდა და 7.84 მილიარდი ლარი

შეადგინა, რაც წლის საბოლოო გეგმის 96.7 პროცენტია. 2012 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა და 31.8 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 1.9).




**ღიაგრამა N 1.9** ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მათი თანაფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ღიაგრამა N 1.10** ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა, 2012 წელი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა თავდაპირველად 862 მლნ ლარით განისაზღვრა, შემდგომში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გეგმა შემცირდა 753 მლნ ლარამდე. ფაქტობრივი დეფიციტი დაგეგმილზე მცირე იყო (620.9 მლნ ლარი) და მშპ-ის 2.4 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს, მან 752.6 მლნ ლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 1.11). დეფიციტის დაფინანსება ძირითადად საგარეო ვალდებულებ-

ების წმინდა ზრდის ხარჯზე მოხდა, რომელმაც 594.7 მლნ ლარი შეადგინა. დეფიციტი პრივატიზაციით 279.7 მლნ ლარით, ხოლო შიდა ვალის ზრდით 13.9 მლნ ლარით დაფინანსდა. შედეგად, მთავრობის თავისუფალი საბრუნავი საშუალებები 135.7 მლნ ლარით გაიზარდა. არსებული გეგმით მომავალ წლებში ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ დაბალ დონეზე შენარჩუნდება.

**ღიაზრება N 1.11** ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი და მშპ-თან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2012 წელს საქართველოს სახელმწიფო<sup>8</sup> და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი 471 მლნ ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 8 მლრდ ლარი შეადგინა. მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული ბანკის ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ხოლო გაიზარდა მთავრობის ვალი აზიის განვითარების ბანკთან და ქვეყნებიდან – გერმანიასთან. 2012 წელს სახელმწიფო საგარეო ვალმა საქართველოს მშპ-ის 30.6 პროცენტი შეადგინა, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2011 წლის მონაცემზე.

2011 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის დაფარვა. ვალის მომსახურების გეგმის მიხედვით, ეროვნულმა ბანკმა 2012 წელს დავალიანება დაახლოებით 235 მლნ აშშ დოლარით შეამცირა. 2013 წელს მოსალოდნელია, რომ საგარეო ვალი მნიშვნელოვნად შემცირდება. მთავრობა დაიწყებს სავალუტო ფონდის ვალის გასტუმრებას, ასევე ვალის მომსახურებას გააგრძელებს ეროვნული ბანკი და დაიფარება 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები. შედეგად, საგრძნობლად შემცირდება სახელმწიფო ვალის მოცულობა.


2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ გააგრძელა სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების გამოშვება, რომლის მიზანსაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ასევე ვალის მართვის გაუმჯობესება წარმოადგენს. 2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო (უკვე არსებულ სახაზინო ობლიგაციებთან ერთად) 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისია. გრძელვადიანი ობლიგაციების გამოშვება, ერთი მხრივ, ამცირებს საპროცენტო რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობას იძლევა ვალის ტვირთი რამდენიმე წელიწადზე გადანაწილდეს. ამით მცირდება რეფინანსირების რისკი, რადგან მთავრობას არ მოუწევს ყველა სახაზინო ობლიგაციის მომავალ წელს დაფარვა.

სულ 2012 წელს 424 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები იქნა გამოშვებული, დაფარვებმა კი 380 მლნ ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, შიდა ვალის წილი მშპ-თან 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.3 პროცენტი შეადგინა. მთლიანმა სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 37.9 პროცენტი შეადგინა; აღნიშნული დონე ვალის მდგრადობის კრიტიკულ მაჩვენებელზე (მშპ-ს 60 პროცენტი) ნაკლებია.

8. ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი



**ღიაზრამი N 1.12** სახელმწიფო ვალი და მშპ-თან ფარდობა (1998-2012 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## 1.5 საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია და გასულ წლებში მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა. დეფიციტის გაღრმავება გრძელდებოდა 2012 წლის

პირველ ნახევარშიც, მაგრამ მეორე ნახევარში ტენდენცია კლებისაკენ შეიცვალა, რამაც საბოლოოდ წლიური მაჩვენებლის 1.4 პროცენტის შემცირება განაპირობა. 2012 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 11.5 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

**ღიაზრამი N 1.13** მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე ანგარიშის ყველაზე მსხვილი კომპონენტი – საქონლით ვაჭრობის ბალანსი ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს მის უარყოფით სალდოს. მაღალი ზრდის ტემპი, რომელიც გვექონდა 2011 წელს როგორც საქონლის იმპორტის, ასევე ექსპორტის შემთხვევაში, 2012 წელს საგრძნობლად შენედა და, შესაბამისად, 14.3 პროცენტი და 7.6 პროცენტი შეადგინა. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 20.6 პროცენტით გაუარესდა, რაც წინა წლების ტენდენციასთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია.

მომსახურებით საგარეო ვაჭრობა სწრაფად მზარდი დადებითი სალდოთი გამოირჩევა და ნაწილო-

ბრივ აფინანსებს საქონლით ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, მაგრამ მისი წვლილი მიმდინარე ანგარიშის ფორმირებაში შედარებით მცირეა (საქონლით ვაჭრობის დაახლოებით მეოთხედი). შესაბამისად, მომსახურებით ვაჭრობას დადებითი წვლილი შეაქვს ქვეყნის მთლიან სავაჭრო ბალანსში და აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშის სალდოს. მომსახურების ანგარიშის პროფიციტურობას, თავის მხრივ, უპირატესად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები განაპირობებდა, რომლის ზრდის მაჩვენებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში საშუალოდ 58.4 პროცენტს შეადგენდა.

**ღიაბრაზა N 1.14** ტურიზმის ექსპორტი და იმპორტი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2008 წლიდან დაწყებული, შემოსავლების ბალანსი უარყოფითი გახდა, ვინაიდან ამ ანგარიშის უარყოფითი კომპონენტის – საინვესტიციო შემოსავლების ზრდის ტემპი აღემატება დადებითი კომპონენტის – შრომითი შემოსავლების ზრდას. ეს შედეგი ბუნებრივია მუდმივი სავაჭრო დეფიციტის პირობებში, როდესაც დაფინანსება უცხოური კაპიტალის შემოდინებით ხდება, რაც თავის მხრივ აუარესებს ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს საინვესტიციო პოზიცია 14 პროცენტით გაუარესდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს შემოსავლების ანგარიშის უარყოფითი სალდო შემცირდა.

ამის მიზეზია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლების კლება, რაც განაპირობა უცხოური ინვესტირების სანარმოების შემცირებულმა მოცუბამ.


მიმდინარე ტრანსფერტები, რომელიც მთავრობისთვის გამოყოფილი გრანტებისა და სხვა სექტორების გზავნილებისგან შედგება, მიმდინარე ანგარიშის ყველაზე მსხვილი დადებითი კომპონენტია და შესაბამისად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მიმდინარე ანგარიშის დაბალანსებაში (მიმდინარე ტრანსფერტები, 2012 წლის მდგომარეობით, საქონლის დეფიციტის დაახლოებით მესამედს აფინანსებდა). დადებითი ზრდა დაფიქსირდა



მუშაკთა გზავნილებში, რაც მიმდინარე ტრანსფერტების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ წინა წელთან შედარებით ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირებული იყო. რაც შეეხება

სამთავრობო სექტორის ტრანსფერტებს, ისინი შემცირდა. შედეგად, 2012 წელს მიმდინარე ტრანსფერტების ზრდის ტემპი შემცირებულია და 5.5 პროცენტს შეადგენს.

**ღიაბრაზა N 1.15** მიმდინარე ანგარიშის ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


გასული წლების მსგავსად, 2012 წელსაც, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არათუ სრულად დაფინანსდა, არამედ გაიზარდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს 2012 წელსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა. ენერგეტიკის სექტორი, წინა წლის მსგავსად, კვლავ აქტიუალური იყო ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა აგრეთვე გადაამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის და საფინანსო სექტორებში. 2012 წელს მნიშვნელოვანი გახდა პორტფელური ინვესტიციები, რომლის მოცულობა თითქმის 900 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის ძირითად წყაროს სახელმწიფოს დაქვემდებარებული საწარმოების ევრობლიგაციებისა (511 მლნ აშშ დოლარი) და საბანკო სექტორის ფასიანი ქაღალდების გაყიდვები წარმოადგენდა.

სხვა ინვესტიციების სალდო, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული.

აქედან, აქტივების ოპერაციული ზრდა 341.8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ძირითადად არარეზიდენტ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ზრდით იყო გამოწვეული. გასულ წელს სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების მიერ ევრობონდების რეალიზაციის გზით მობილიზებული სახსრები ძირითადად უცხოური ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე განთავსდა. სხვა ინვესტიციების ვალდებულებების ზრდამ 637.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო არარეზიდენტების დეპოზიტების ზრდა. საგარეო სესხების ოპერაციულმა ზრდამ კი 275.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასულ პერიოდებთან შედარებით საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელია. ეს განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების დაფარვით, ხოლო, მეორე მხრივ, წლის პირველ ნახევარში საბანკო სექტორის სასესხო ვალდებულებების შემცირებით, რამაც წლიური მონაცემის კლება განსაზღვრა.



**ღიაგრამა N 1.16** მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები, წმინდა<sup>9</sup> (ფარდობა მშპ-თან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პორტფელის ინვესტიციების პასივებსა და პირდაპირი ინვესტიციების სასესხო კაპიტალში განხორციელებულმა ოპერაციებმა განაპირობეს საგარეო ვალის ზრდა 1.8 მლრდ აშშ დოლარით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქვეყნის მთლიანმა საგარეო ვალმა 13.4 მლრდ აშშ დოლარი

შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 84.7 პროცენტია.

2012 წლის ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების წმინდა ოპერაციულმა ზრდამ 38.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.9 მლრდ აშშ დოლარს (მშპ-ს 18.1 პროცენტი) გაუტოლდა.

**ცხრილი N 1.4** საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა (2008-2012 წწ.)

(მლნ აშშ დოლარი)

	2008	2009	2010	2011	2012 <sup>10</sup>
<b>მიმდინარე ანგარიში</b>	-2,813	-1,134	-1,193	-1,840	-1,814
საქონელი	-3,836	-2,400	-2,590	-3,494	-4,214
ექსპორტი	2,428	1,894	2,462	3,254	3,501
იმპორტი	-6,264	-4,293	-5,052	-6,748	-7,715
მომსახურება	21	340	513	748	1,101
კრედიტი	1,260	1,314	1,599	2,008	2,541
დებეტი	-1,239	-974	-1,085	-1,261	-1,440
შემოსავლები (წმინდა)	-58	-41	-215	-422	-103
აქედან: დარიცხული პროცენტი	-242	-239	-252	-310	-399
ტრანსფერტი (წმინდა)	1,060	968	1,098	1,329	1,402
აქედან: სახელმწიფო სექტორი	365	141	174	144	114
აქედან: გზავნილები კრედიტი	305	317	417	618	710
აქედან: სხვა კერძო ტრანსფერტი კრედიტი	408	521	534	583	587
<b>კაპიტალის ანგარიში</b>	112	183	206	153	134
<b>ფინანსური ანგარიში</b>	2,693	1,363	976	2,225	1,916
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	1,418	677	679	902	603

9. 2012 წლის მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას საქსტატის მიერ წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ. დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2013 წლის აგვისტოს ბოლოს.

10. 2012 წლის მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას საქსტატის მიერ წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ. დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2013 წლის აგვისტოს ბოლოს.



	2008	2009	2010	2011	2012 <sup>10</sup>
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,564	659	814	1,048	866
ეროვნული ბანკი (წმინდა)	22	247	0	2	1
სახელმწიფო სექტორი	651	386	336	319	503
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	501	0	0	44	106
გრძელვადიანი სესხები (მიღებული)	191	359	335	274	396
კერძო სექტორი (პირდაპირი ინვესტიციების გარდა)	602	53	-39	1,002	810
საბანკო სექტორი	403	-65	-213	834	192
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	109	8	-10	89	223
სესხი (მიღებული)	596	-243	18	212	-87
გრძელვადიანი	406	8	7	-1	4
მოკლევადიანი	190	-251	11	213	-91
სხვა წმინდა (ნალი ფული და დეპოზიტები)	-302	171	-220	533	56
სხვა სექტორი	199	117	174	169	617
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	13	2	261	1	510
გრძელვადიანი სესხები (მიღებული)	62	155	35	335	155
სხვა	124	-40	-122	-167	-47
შეცდომები და გამოტოვებები	-44	40	-20	13	-24
<b>მთლიანი ბალანსი</b>	<b>-52</b>	<b>451</b>	<b>-31</b>	<b>551</b>	<b>212</b>
<b>მთლიანი დაფინანსება</b>	<b>52</b>	<b>-451</b>	<b>31</b>	<b>-551</b>	<b>-212</b>
სარეზერვო აქტივები	-131	-616	-208	-572	-38
ფონდის რესურსების გამოყენება	222	313	276	-59	-245
განსაკუთრებული დაფინანსება	-38	-147	-37	80	72
<b>მნიშვნელოვანი კოეფიციენტები</b>					
რეზერვი იმპორტის თვეებში (თვე)	2.4	4.8	4.4	4.2	3.8
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება, პროცენტი)	49.2	60.9	66.2	65.7	66.0
მიმდინარე ანგარიში/მშპ (პროცენტი)	22.0	10.5	10.2	12.7	11.5
პირდაპირი ინვესტიციები/მშპ (პროცენტი)	11.1	6.3	5.8	6.2	3.8
წმინდა ტრანსფერტები/მშპ (პროცენტი)	8.3	9.0	9.4	9.2	8.9

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, კვლავ მნიშვნელოვანწილად, საქონლით ვაჭრობა განსაზღვრავდა. ქვემოთ მოყვანილია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დეტალური მიმოხილვა, რომელიც ძირითადად ეყრდნობა საბაჟო სამსახურების მიერ რეგისტრირებულ მონაცემებს<sup>11</sup>.

2012 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად (თითქმის სამჯერ) შენედა და 10.5 პროცენტი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო ბრუნვა 10.2 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. საგრძნობ-

ლად იკლო როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის ზრდის ტემპებმა, რაც შესაბამისად 8.6 პროცენტს და 11.1 პროცენტს შეადგენდა. ამავდროულად, იმპორტის წლიური ზრდა ექსპორტისას 596 მლნ აშშ დოლარით აჭარბებდა. 2012 წლის სავაჭრო დეფიციტი 5.5 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ისტორიული მაქსიმუმია. ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი კი ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა და 30 პროცენტის მიდამოში მერყეობდა.

11. საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ძირითადად ეფუძნება საზღვრის გადაკვეთის პრინციპს, მაშინ როდესაც საგადასახდლო ბალანსის კომპონენტი საქონლით ვაჭრობა დაფუძნებულია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების გადაცემაზე. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა მეთოდოლოგიური განსხვავებები.

**ცხრილი N 1.5** რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპები (პროცენტში)


	2008	2009	2010	2011	2012
ექსპორტი	21.4	-24.2	48.0	30.5	8.6
იმპორტი	20.9	-28.6	16.8	34.3	11.1
სააჭრო დეფიციტი	20.8	-30.0	6.3	36.0	12.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქონლის ექსპორტი, დანიშნულების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა: 3.9 პროცენტს საინვესტიციო საქონელი შეადგენდა; 53.3 პროცენტს – შუალედური მოხმარების საქონელი; ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილად 42.6 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით გაიზარდა სამომხმარებლო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდაში, ისევე როგორც გასულ წელს, წამყვანი იყო მსუბუქი ავტომობილების გავლენა (6.3 პროცენტული პუნქტი ექსპორტის მთლიან ზრდაში). ავტომობილების რეექსპორტი, რომელიც ექსპორტის ზრდის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, ბოლო ორი წლის განმავლობაში სტაბილურად პირველ პოზიციას იკავებდა და 2012 წელს იმპორტირებული ავტომობილების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდას ასევე ხელი შეუწყო

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტმა, რამაც ჯამურად ექსპორტის ზრდაში 2.2 პროცენტის ნაწილი შეიტანა. სასმელების ექსპორტის უდიდესი ნაწილი უკრაინაში განხორციელდა, მსხვილი იმპორტიორები არიან ასევე ყაზახეთი და აზერბაიჯანი. გასული წლის ორჯერადი ზრდის შემდეგ, რასაც ხელი შეუწყო მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების მოუსავლიანობამ, თხილის ექსპორტი 2012 წელს შემცირებულია. თუმცა თხილი სტაბილურად ხვდება ექსპორტის წამყვან ხუთეულში და, შესაბამისად, ქართული ექსპორტისთვის მნიშვნელოვან საქონელს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თხილის წარმოების დაახლოებით 4 პროცენტი საქართველოზე მოდის. 2012 წლის განმავლობაში ასევე გაზრდილი იყო ექსპორტში საინვესტიციო საქონლის წილი, რაც ასევე რეექსპორტით იყო განპირობებული.

**ღიაბრაზა N 1.17** უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2011-2012 წწ.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



მეორე პოზიციაზე ფეროშენადნობის ექსპორტი იყო, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილურია და მნიშვნელოვან რყევებს არ განიცდის. ექსპორტში მესამე პოზიცია მინერალურ სასუქებს ეჭირა, რომელიც მართალია წინა წელთან

შედარებით 4.8 პროცენტით შემცირდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთლიან ექსპორტში. მეოთხე პოზიციაზე ოქროს ექსპორტი იყო, რომელიც გასულ წელთან შედარებით ასევე შემცირებულია.

**ღიაბრაზა N 1.18** საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2012 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: აზერბაიჯანი, სომხეთი, აშშ, უკრაინა, თურქეთი,

კანადა, ბულგარეთი, ყაზახეთი, ბელგია და იტალია. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 74.6 პროცენტი.

**ცხრილი N 1.6** უმსხვილესი საექსპორტო საქონლის განაწილება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით 2012 წ. (პროცენტი)


	მსუბუქი ავტომობილები	ფეროშენადნობები	მინერალური სასუქები	ოქრო	თხილი	სპირტი	ღვინო	მინერალური წყლები	სპილენძის მადანი	არმატურა
აზერბაიჯანი	58.8	2.1	0.4	0.0	7.2	9.9	2.7	3.8	0.0	68.4
აშშ	1.3	48.6	61.2	0.0	0.2	0.0	1.5	1.8	0.0	0.0
უკრაინა	0.9	9.6	0.0	0.0	9.0	44.8	42.2	48.2	0.0	0.0
სომხეთი	17.2	0.0	2.7	0.0	0.3	1.2	0.3	0.3	0.0	8.7
კანადა	0.0	6.6	0.0	95.2	0.3	0.0	0.8	0.4	0.0	0.0
ბულგარეთი	0.1	0.0	13.4	0.0	0.2	0.0	0.1	0.1	90.8	0.0
ბელგია	8.9	0.0	0.0	0.0	5.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ყაზახეთი	0.6	0.0	0.0	0.0	10.3	7.5	18.7	16.9	0.0	0.0
თურქეთი	1.3	6.9	1.7	2.6	1.1	0.1	0.2	0.1	0.0	0.7
ბელარუსი	0.0	3.8	0.0	0.0	0.5	7.6	9.3	8.0	0.0	0.0
სხვა	11.0	22.3	20.5	2.2	65.4	28.9	24.2	20.4	9.2	22.3
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქონლის რეგისტრირებული იმპორტის გადანაწილება დანიშნულების მიხედვით შემდეგია: 15.8 პროცენტს საინვესტიციო საქონელი შეადგენდა; 40.5 პროცენტს – შუალედური მოხმარების საქონელი, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილად 43.6 პროცენტი მოდიოდა. 2011 და 2012 წლებში იმპორტის მოცულობაში მცირდებოდა სამომხმარებლო საქონლის და იზრდებოდა საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის წილები. საინვესტიციო საქონლის ზრდაში მნიშვნელოვანი იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები, ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებული დანადგარები და კომპიუტერული ტექნიკა. ნავთობის აირების იმპორტი, რომელიც შუალედური მოხმარების საქონელს განეკუთვნება, წინა წელთან შედარებით ოდნავ შემცირებულია და 233.2 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. იმპორტირებული

სამომხმარებლო საქონლის 27.9 პროცენტს ნავთობპროდუქტები (ძირითადად საავტომობილო ბენზინი) შეადგენდა, რომლის იმპორტის წლიური ზრდის ტემპი გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად შენედა და 4.4 პროცენტს გაუტოლდა. ამავდროულად, ნავთობპროდუქტების იმპორტი მთლიანი იმპორტის 12.1 პროცენტია. იმპორტირებული სამომხმარებლო საქონლის 19.4 პროცენტი მსუბუქი ავტომობილების წილად მოდიოდა, რომლის წვლილი იმპორტის ზრდაში ყველაზე მაღალი იყო. ავტომობილების იმპორტის მაღალი ზრდის ტემპი 2012 წელსაც შენარჩუნდა და 29.8 პროცენტი შეადგინა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2012 წლის განმავლობაში იმპორტირებული ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი რეექსპორტით გადიოდა.

**ღიაბრაზა N 1.19** უმსხვილესი საიმპორტო საქონლის მოცულობის დინამიკა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2012 წელს საკვები პროდუქტების წილი საქონლის რეგისტრირებულ იმპორტში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 12.8 პროცენტს გაუტოლდა. სადაც 23.9 პროცენტი (მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 3.1 პროცენტი) ხორბლის წილად მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ხორბლის იმპორტზე დანახარჯი 30.2 პროცენტით გაიზარდა, რაც საგრძნობლად აღემატება 2011 წლის ზრდას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაოდენობის დაახლოებით 20 პროცენტი რეექსპორტისთვის იყო განკუთვნილი. ხორბლის შემდეგ, საკვები

პროდუქტების იმპორტში ყველაზე დიდი წილი ხორცის პროდუქტების იმპორტის წილად მოდიოდა (კვების პროდუქტების 12.3 პროცენტი). შემდეგი პოზიცია შაქარს და მისგან დამზადებულ საკონდიტრო ნაწარმს ეჭირა (კვების პროდუქტების 10.5 პროცენტი). თამბაქოს და ალკოჰოლური ნაწარმის იმპორტი მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 2.2 პროცენტს შეადგენდა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.4 პროცენტით იყო გაზრდილი.



**ღიაგრამა N 1.20** საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქონლის რეგისტრირებული იმპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, იაპონია, ბულგარეთი, იტა-

ლია და რუმინეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 70.5 პროცენტი მოდიოდა.

**ცხრილი N 1.7** უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით 2012 წ. (პროცენტი)

	ნავთობპროდუქტები	მსუბუქი ავტომობილები	ხორბალი	ნავთობის აირები	მედიკამენტები	კაშპირგამბულოზის აპარატები	გამომწვეული მანქანები	მეტალი-კონსტრუქციები	თამბაქოს ნაწარმი	ტრანსფორმატორები
აზერბაიჯანი	35.3	0.2	0.0	73.2	2.9	0.0	0.1	0.6	0.0	13.5
იაპონია	0.0	44.4	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რუსეთი	7.0	0.3	45.7	24.1	3.3	0.4	0.7	0.1	5.2	3.9
რუმინეთი	23.9	0.1	0.0	0.0	1.8	0.0	0.0	1.8	0.0	0.0
ბულგარეთი	20.5	0.2	0.0	0.0	3.6	0.5	1.0	0.1	6.9	0.2
გერმანია	1.2	18.0	0.1	0.0	9.0	4.0	9.9	2.3	2.9	57.6
აშშ	0.0	18.8	0.0	0.0	0.7	0.5	2.9	0.0	0.1	0.2
ყაზახეთი	0.0	0.0	52.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
თურქეთი	1.0	0.5	0.0	0.0	14.6	1.5	1.0	46.4	0.4	5.1
უკრაინა	0.2	0.1	0.5	0.0	5.0	0.3	0.1	2.4	77.6	13.5
სხვა	10.8	17.4	1.6	2.7	59.2	92.7	84.4	46.1	6.9	6.0
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



## 2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა




## 2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ავალდებულებს ეროვნულ ბანკს „უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას“.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან „2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც, ქვეყანაში მოქმედი ინფლაციის თარ-

გეთიერების რეჟიმის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გამოცხადებული შემდგომი პერიოდისთვის. 2012-2014 წლებისთვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზნობრივ მაჩვენებლად დაადგინა სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 6 პროცენტის ოდენობით საშუალოვადიან პერიოდში. იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივს, საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას, ხოლო თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივზე უფრო ნაკლებია, ეროვნული ბანკი შერბილების პოლიტიკას მიმართავს. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. გრძელვადიან პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების პარალელურად, ეტაპობრივად შემცირდება ინფლაციის ოპტიმალური დონე და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი დაუახლოვდება მის გრძელვადიან დონეს. აქედან გამომდინარე, მიზნობრივი მაჩვენებელი 2015 წელს 5 პროცენტამდე შემცირდება.

ლიზარაა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და მთლიანი ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს მაკროეკონომიკური გარემოს, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. მხედველობაში მიიღება საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული ფასების დინამიკა, მთავრობის ფისკალური პოლიტიკა, საფინანსო და სავალუტო ბაზრებზე არსებული ტენდენციები, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დინამიკა, სამომხმარებლო ფასების კალათისა და მონეტარული გადაცემის თავისებურებანი, რაც ინფლაციის მოლოდინის ფორმირებასა და ეროვნული ვალუტისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას განაპირობებს.

2012 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. ინფლაციის შემცირების ტენდენცია 2011 წლის ივნისში დაიწყო, რაც უმთავრესად მიწოდების ფაქტორებით იყო განპირობებული. მნიშვნელოვანი იყო ასევე საბაზო ეფექტის გავლენა. 2011 წლის გაზაფხულიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების კლების ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, ფასები შემცირდა ნავთობსა და შაქარზე. რუსეთისა და უკრაინის მხრიდან ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს მოხსნამ კი პურპროდუქტების ფასების შემცირება განაპირობა და დამატებითი წვლილი შეიტანა ინფლაციის შემცირებაში.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში დაიწყო, მაშინ როდესაც მთლიანი ინფლაცია აღემატებოდა მიზნობრივ დონეს. ამ დროისთვის უკვე მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაციის მაჩვენებელი დაიწყებდა შემცირებას და ჩამოცდებოდა მიზნობრივ მაჩვენებელს. ვინაიდან მონეტარული პოლიტიკის ცვლილება გარკვეული დროის შემდეგ აისახება რეალურ ეკონომიკაზე, რეაგირება გარკვეული პერიოდით ადრე არის აუცილებელი.

ინფლაციის მაჩვენებლის კლების ტენდენცია 2012 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდა. ინფლაციის უარყოფითმა მაჩვენებელმა პიკს, -3.3 პროცენტს, მაისში მიაღწია. ინფლაციის ასეთ დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საბაზო ეფექტი, ვინაიდან წინა წლის შესაბამის პერიოდში

ინფლაცია ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და უმაღლეს ნიშნულს სწორედ მაისის თვეში მიაღწია. არსებული პროგნოზები მიუთითებდა, რომ წლის განმავლობაში ინფლაცია ჩამორჩებოდა მიზნობრივ მაჩვენებელს. აღნიშნული შეფასებისა და ინფლაციაზე მოქმედი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გააგრძელა 2011 წელს დაწყებული შერბილების პოლიტიკა. 2012 წლის პირველ ნახევარში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად ერთი პროცენტული პუნქტით 6.75 პროცენტიდან 5.75 პროცენტამდე შემცირდა.

2012 წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა საპროგნოზო ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან ჩამორჩენის რისკები. ეს განპირობებული იყო როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. მეოთხე კვარტალში საქართველოში მოსალოდნელი იყო ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. შიდა ფაქტორების ინფლაციაზე ზეგავლენა კლების მიმართულებით კიდევ უფრო გამძაფრდა საგარეო ფაქტორებით. ინფლაცია შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც. გარდა ამისა, საგარეო მოთხოვნის შესუსტებას განაპირობებდა ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

არსებული ეკონომიკური ვითარების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა მეოთხე კვარტალში მონეტარული პოლიტიკის შერბილება გააგრძელა და პოლიტიკის განაკვეთი ნოემბერ-დეკემბერში ჯამურად კიდევ 0.5 პროცენტული პუნქტით შეამცირა.

ამგვარად, 2012 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა 5.25 პროცენტამდე. იმისათვის, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გადაეცეს ბანკთაშორის ბაზარს და საბოლოოდ ასახვა ჰპოვოს რეალურ ეკონომიკაზე, მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების მიერ რეფინანსირების სესხების ინსტრუმენტის გამოყენება. აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს ბანკებს ოპტიმალურად მართონ ლიკვიდობა და თავიდან აიცილონ ჭარბ ლიკვიდობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. საბანკო სისტე-



მაში ქარბი ლიკვიდობის დაგროვების შემთხვევაში ეროვნული ბანკი მიმართავს სტერილიზაციის ოპერაციას, რისთვისაც, როგორც წესი, გამოიყენება ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მათი ემისიების მოცულობების დაგეგმვა ხდება ყოველკვარტლურად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2011 წლის ბოლოს მთავრობის დანახარჯების მოსალოდნელზე მაღალი ტემპით გაზრდის შედეგად, სარეზერვო ფულზე მოსალოდნელზე უფრო დიდი ზრდა დაფიქსირდა და საბანკო სისტემაში ქარბი ლიკვიდობის დაგროვება გამოიწვია. შედეგად შემცირდა მოთხოვნა რეფინანსირების სესხებზე და შესუსტდა მონეტარული პოლიტიკის გადაცემა ეკონომიკაზე, რაც აისახა ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე პოლიტიკის განაკვეთზე დაბლა. საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა 2012 წლის პირველი კვარტალისთვის სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიების გაზრდილი მოცულობები დაგეგმა. პირველი კვარტალის ბოლოსთვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი 115 მლნ ლარით გაიზარდა 2011 წლის ბოლოს არსებულ დონესთან შედარებით. გარდა ამისა, ბანკთაშორის ბაზარზე ქარბი ლიკვიდობით გამოწვეული მერყეობების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახლა მის პორტფელში არსებული სახელმწიფო ობლიგაციების გამოყენება ღია ბაზრის ოპერაციებისთვის. აღნიშნული ობლიგაციების გამოშვება ხდება მთავრობის მიერ 1990-იან წლებში ეროვნული ბანკისგან მთავრობაზე გაცემული სესხების ფასიან ქალაქდებად გადაფორმების შეთანხმების ფარგლებში. შეთანხმება ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის შედგა 2006 წელს, რის შემდეგაც ყოველწლიურად 48 მლნ ლარის ღირებულების ფასიანი ქალაქდება მიმოქცევადა და ეროვნულ ბანკს შეუძლია მათი გამოყენება ღია ბაზრის ოპერაციებისათვის. 2012 წლის მაის-ივლისის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 114 მლნ ლარის ობლიგაცია გაყიდა. მათი დაფარვის ვადამდე დარჩენილი ვადიანობა 12-დან 57 თვემდე მერყეობდა.

წინა წლების მსგავსად, 2012 წელსაც ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზ-


რდა, რომლის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში ეკონომიკის დაბალი ლარიზაციის დონეა. მაღალი დოლარიზაციის პირობებში შესუსტებულია საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი, რადგან ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უცხოური ვალუტით, რომელზეც საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ მათ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ციკლების შესაბამისად და სცილდება ეროვნული ბანკის კონტროლის სფეროს. დაბალი ლარიზაციის პირობებში გაცვლითი კურსის ცვლილება გადაეცემა ინფლაციას, რაც აფერხებს გაცვლითი კურსის მოქნილობას. კერძოდ, კურსის ნომინალური გაუფასურება გადაეცემა ფასებს და შედეგად რეალური გაცვლითი კურსი არ იცვლება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გაცვლითი კურსის რისკი კურსის მერყეობისგან დაუცველი ეკონომიკური აგენტებისთვის, განსაკუთრებით კი ბანკების მსესხებლებისთვის, რომელთა შემოსავლები დენომინირებულია ეროვნული ვალუტით, სესხი კი უცხოური ვალუტით აქვთ აღებული. ასეთ შემთხვევაში იზრდება კომერციული ბანკების პორტფელის საკრედიტო რისკი, რაც კრედიტორების ვალუტების დისბალანსით, ანუ არაჰეჯირებული სესხებით არის განპირობებული (Currency Induced Credit Risk). შედეგად, ლარის კურსის ცვლილებას შეიძლება სერიოზული გავლენა ჰქონდეს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელზე. ამდენად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ლარიზაციის ზრდაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლარიზაცია ეს არის ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის შეცვლა მოითხოვს განვითარებული ფინანსური ბაზრისა და მდგრადი ეკონომიკური სტაბილურობის არსებობას წლების განმავლობაში. 2012 წელს, წინა წლის მსგავსად, ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართული იყო ლარის ფულადი ბაზრის განვითარებისკენ და ეროვნული ვალუტით გასესხების ნახალისებისკენ. მიუხედავად გატარებული ლონისძიებებისა, 2012 წლის განმავლობაში დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება დაფიქსირდა. მისი მაჩვენებელი 40 პროცენტიდან 36 პროცენტამდე შემცირდა. წლის დასაწყისში ლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება ძირითადად მთავ-



რობის ოპერაციებმა განაპირობა. კერძოდ, 2011 წლის ბოლოს მაღალმა სამთავრობო დანახარჯებმა ლარის დეპოზიტების წილის ზრდა გამოიწვია, თუმცა მარტში გადასახადების ამოღებით კვლავ შემცირდა ლარიზაციის მაჩვენებელი. შემდგომ თვეებში კი უცხოური ვალუტით დეპოზიტების

წილის ზრდა გამოიწვია სახელმწიფოს დაქვემდებარებული კომპანიების მიერ ევრობონდების გაყიდვის გზით მიღებული სახსრების საბანკო დეპოზიტებზე განთავსებამ. ზემოაღნიშნული ფაქტორების გარეშე 2012 წელს ლარიზაცია დაახლოებით ერთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

**ღიაბრაზი N 2.2** დეპოზიტების ლარიზაცია, 2004-2012წწ.<sup>12</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარიზაციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, 2012 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება. აღნიშნული დოკუმენტი წახალისებს კომერციულ ბანკს გამოუშვას საცალო, სტანდარტიზებული სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომელიც დეპოზიტის ლიკვიდურ ალტერნატივას წარმოადგენს. სერტიფიკატი არ ავალდებულებს ბანკს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე დაუბრუნოს თანხა მენაბრეს, რითაც ამგვარი საშუალებით მოზიდულ სახსრებს ხდის უფრო სტაბილურს, ვიდრე სტანდარტული დეპოზიტის შემთხვევაშია. თუმცა, ფულადი სახსრების საჭიროების შემთხვევაში, დეპოზიტარს ექნება უფლება გაასხვისოს სერტიფიკატი მისი ვადის გასვლამდე, ბანკის თანხმობის გარეშე. ამგვარად, სადეპოზიტო სერტიფიკატი ბანკისათვის არის ფაქტიურად გრძელვადიანი დეპოზიტი, რადგან მფლობელის ცვლილების შემთხვევაშიც ფულადი სახსრები რჩება ბანკში. მნიშვნელოვანია,

რომ სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატებით მოზიდული სახსრები გათავისუფლებულია სარეზერვო და ლიკვიდობის მოთხოვნებისაგან<sup>13</sup>, რითაც ბანკებს შეუძლია ამ პროდუქტთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები. სადეპოზიტო სერტიფიკატების ფართოდ გავრცელება ხელს შეუწყობს ბაზარზე ლარის დამატებითი გრძელვადიანი რესურსის შექმნას. იმისათვის, რომ სადეპოზიტო სერტიფიკატები ასევე მიმზიდველი იყოს ბანკის კლიენტებისთვის, საჭიროა სადეპოზიტო სერტიფიკატების ლიკვიდური მეორადი ბაზრის არსებობა, სადაც ბანკის კლიენტები შეძლებენ მათ განაღდებას. ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს აღნიშნული ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ლარიზაციის წახალისებისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ასევე კომერციული ბანკებისთვის გირაოს ბაზის გაფართოება, რომელიც გამოიყენება ეროვნულ ბანკთან ოპერაციებში. კერძოდ, შემსუბუქდა ბანკების მიერ გირაოს სახით გამოყე-

12. ლარიზაციის მაჩვენებელი განაგარიშებულია გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე.

13. ლიკვიდობის მოთხოვნისგან გათავისუფლებულია სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომლის წარჩენი ვადიანობა აღემატება 6 თვეს.



ნებადი ეროვნული ვალუტით დენომინირებული საკუთარი სასესხო აქტივების კრიტერიუმები. ეს საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს ლარით დენომინირებული უფრო მეტი რესურსი მიიღოს ეროვნული ბანკის სასესხო ინსტრუმენტებით, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტით სესხების გაცემას შეუწყობს ხელს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისება. რეფინანსირების სესხებით ასეთი ტიპის სესხების დაფინანსება საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკს პრაქტიკულად ნულამდე შეამციროს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და მომხმარებელს შესთავაზოს სესხი უფრო დაბალ პროცენტად. მსგავსი ტიპის სესხები დიდი პოპულარობით სარგებლობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა საქართველოში მათი წილი მთლიან სესხებში საკმაოდ მცირეა. ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების განვითარების ხელის შეწყობას.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებასა და ახალი საშუალებების დანერგვას. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებაში სწორი მოლოდინების ჩამოყალიბება და მონეტარული პოლიტიკის ცვლილების პროგნოზირებადობა, რაც ეფექტიანი კომუნიკაციით არის შესაძლებელი. ამ მიზნით განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის მონეტარული პოლიტიკის ნაწილის განახლება. აღნიშნული ნაწილი შეივსო დეტალური ინფორმაციით და გახდა უფრო მეტად ორიენტირებული მომხმარებელზე. ამასთან, მას დაემატა ხშირად დასმული კითხვები, რომელიც მოიცავს როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ სხვა თემებს. გარდა ამისა, გადაიხედა პუბლიკაციების ფორმატი. კერძოდ, 2013 წლის თებერვლიდან განახლდა ინფლაციის მიმოხილვის ფორმატი – იგი უფრო მეტად ორიენტირებულია პროგნოზებისა და მოსალოდნელი ეკონომიკური მოვლენების აღწერაზე. განახლებული ინფლაციის მიმოხილვა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტი გახდა. ამჟამად, ასევე მიმდინარეობს მუშაობა მონეტარული პოლიტიკის

სტრატეგიის საჯარო დოკუმენტზე. იგი საზოგადოებას გააცნობს მონეტარული პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ემსახურება ეროვნული ბანკის მთავარი მიზნის – ფასების სტაბილურობის – მიღწევას.

2012 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მონეტარული პოლიტიკის ფორმირების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა ახალი მაკროეკონომიკური მოდელი (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ჩანართი N 1);
- მონეტარული პოლიტიკის პროგნოზირებადობის გაზრდისა და სწორი მოლოდინების ჩამოყალიბების მიზნით, გადაიხედა კომუნიკაციის არსებული არხები. კერძოდ, განახლდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის მონეტარული პოლიტიკის ნაწილი. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელიც საზოგადოებას გააცნობს იმ ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში;
- ლარიზაციის ზრდის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება, რომელიც ხელს შეუწყობს რესურსების მოზიდვას ეროვნული ვალუტით;
- ეროვნული ვალუტის გამოყენების წასახალისებლად ასევე გაფართოვდა ეროვნული ბანკის ოპერაციებში გამოყენებადი გირაოს ბაზა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა კომერციული ბანკებისთვის ხელმისაწვდომი ლარის რესურსის მოცულობა;
- ფინანსური ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო ასევე მთავრობის მიერ 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება, რაც ბაზარზე გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს;
- პერიოდულად ტარდებოდა პრეზენტაციები ეროვნული ბანკის წარმომადგენლების მიერ ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის აქტუალური თემების შესახებ, რაც ეკონომიკური ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს.



## ჩანართი N 1 პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა (FPAS)

მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკაზე გარკვეული პერიოდის შემდეგ ახდენს გავლენას. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები მომავალზე ორიენტირებული იყოს და მაკროეკონომიკურ პროგნოზებს ეფუძნებოდეს. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს ანალიტიკური შესაძლებლობების ზრდას და ადამიანური რესურსების განვითარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 2012 წელი. გასული წლის თებერვალში, საქართველოს ეროვნული ბანკი ჩაერთო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ჩეხეთის ეროვნული ბანკის გამოცდილების ბაზაზე საკონსულტაციო მომსახურებას<sup>14</sup> მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემის (FPAS) განვითარებასა და მისი შედეგების საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებზე.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა FPAS-სისტემის ძირითადი ბირთვი – „ზოგადი ნონასწრობის მაკროეკონომიკური მოდელი“ (DSGE), რაც მსოფლიოს ძირითადი ცენტრალური ბანკების მიერ ფართოდ გამოყენებული, მაკროეკონომიკური პროგნოზირების ძირითადი საშუალებაა. იგი განეკუთვნება ნახევრად სტრუქტურული მოდელების კლასს. მოდელი დაბალანსებულია, ერთის მხრივ, ემპირიულად სასურველი თვისებებით და მეორე მხრივ, დინამიკური სტოქასტური ზოგადი ნონასწრობის (DSGE) მიდგომით. მასში გათვალისწინებულია მიკროეკონომიკური საფუძველი და ბაზრის მოლოდინები, რაც მოდელს მომავალზე ორიენტირებულს ხდის და მონეტარული პოლიტიკისთვის ექსპერიმენტებზე

დაკვირვების საშუალებას იძლევა. მოდელის განტოლებები სტრუქტურულია და მის შემადგენელ ყველა განტოლებას ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ამასთან, მოდელი აგებულია საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ანალიზის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

მოდელის პროგნოზი დამოკიდებულია მოდელითვე განსაზღვრულ მონეტარულ პოლიტიკაზე, როგორც მაკროეკონომიკური გარემოს ერთ-ერთ ფაქტორზე. შესაბამისად, მოდელის პროგნოზში ასახულია ეროვნული ბანკის მიმდინარე და მოსალოდნელი ქცევა. მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქცია არის ტელიორის ტიპის მარტივი წესი და შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის ორგანული კანონით განსაზღვრულ მიზანთან.

პროგნოზირება მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირების მოდელირებას, მიმდინარე და წარსული ტენდენციების ანალიზს და ექსპერტული მოსაზრებების სინთეზს. შესაბამისად, პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა გარდა მისი ძირითადი ბირთვისა, დამატებით რამდენიმე ანალიტიკურ ინსტრუმენტს მოიცავს. აღნიშნული ინსტრუმენტები ძირითადად მოკლევადიანი პროგნოზირებისა და მიმდინარე ეკონომიკური პოზიციის შეფასებას უზრუნველყოფს, რაც ექსპერტული შეხედულებების ფორმირებისთვის გამოიყენება.

ამ სისტემაზე დაყრდნობით საქართველოს ეროვნული ბანკი ამზადებს მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომელიც გამოქვეყნდება კვარტალურ ინფლაციის მიმოხილვაში. 2013 წლიდან ასევე შეიცვლება ინფლაციის მიმოხილვის ფორმატი, რომელიც ფოკუსირებული იქნება მომავალ პროგნოზებსა და მათ ანალიზზე. ინფლაციის მიმოხილვა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციისთვის ძირითადი ინსტრუმენტი გახდება.


14. პროექტის ფარგლებში, EBRD-ის მიერ დაქირავებულ იქნა პრაღაში დაფუძნებული საკონსულტაციო კომპანია „OGRsearch“. აღნიშნული კომპანიის პარტნიორები არიან ამ დარგში მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები და ჩეხეთის ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ზდენეკ ტუმა.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის საწარმოებლად და მისი ცვლილების ეკონომიკაზე გადაცემის ეფექტიანობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ფულადი ბაზრის განვითარება და გაფართოება. წინა წლის მსგავსად, 2012 წელს კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების ინსტრუმენტს, რომლის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება პოლიტიკის განაკვეთის მიხედვით (არანაკლებ ამ განაკვეთისა), რაც განაპირობებდა ამ ბაზრის განაკვეთების დაახლოებას პოლიტიკის განაკვეთთან.

მაშასადამე, ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ იყო მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ასევე ფულად ბაზარზე ბანკთაშორისი ტრანზაქციების მოცულობის მატება. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში ბანკთაშორისი დეპოზიტების ბრუნვა საყურადღებო ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

**ღიაზრამა N 2.3** ბანკთაშორისი დეპოზიტების ბრუნვა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ამ ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შემცირება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერთდღიანი სესხებისა და დეპოზიტების ინსტრუმენტებმა, რომელთა საპროცენტო განაკვეთები მიბმულია პოლიტიკის განაკვეთზე (+/- 1.5 პროცენტული პუნქტი) და ქმნის საპროცენტო დერეფანს ფულად ბაზარზე. შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა საპროცენტო განაკვეთების მერყეობა და ბანკთაშორისი საპ-

როცენტო განაკვეთი დასტაბილურდა პოლიტიკის განაკვეთის ირგვლივ. ამგვარად, ეროვნული ბანკის კონტროლის არეალში მოექცა მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები, რითაც გაუმჯობესდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა. საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე მონეტარული პოლიტიკის პროგნოზირებადობის ზრდამ, რაც გაუმჯობესებული კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის შედეგია.



**ღიზრამა N 2.4** საპროცენტო განაკვეთების მერყეობა (1-თვიანი სტანდარტული გადახრა)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის განმავლობაშიც ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი ე.წ. საპროცენტო დერეფნის ფარგლებში მერყეობდა. თუმცა, წლის პირველ ნახევარში ბანკთაშორისი განაკვეთი პოლიტიკის განაკვეთზე დაბლა ნარჩუნდებოდა, რაც განპირობებული იყო საბანკო სისტემაში არსებული ჭარბი ლიკვიდობით. პროცენტების ეს შემცირება,

ფაქტობრივად, მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების ტოლფასი იყო. ჭარბი ლიკვიდობის სტერილიზაციასთან ერთად, წლის მეორე ნახევრიდან ბანკთაშორისი განაკვეთი დაუახლოვდა პოლიტიკის განაკვეთს, რომელიც კიდევ უფრო შერბილდა აპრილ-ივნისის თვეებში.

**ღიზრამა N 2.5** ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



მონეტარული პოლიტიკის მექანიზმის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გადაეცეს უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და საბოლოო ჯამში – გასესხების განაკვეთებს. სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის კავშირს აჩვენებს საპროცენტო განაკვეთების მრუდი

(დიაგრამა 2.7). 2012 წლის განმავლობაში გატარებული მონეტარული პოლიტიკის შერბილება აისახა საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში. შემოსავლიანობის კლება დაფიქსირდა სხვადასხვა ვადიანობის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე (დიაგრამა 2.6). მცირედით შემცირება შეინიშნებოდა ასევე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე.

**დიაგრამა N 2.6** მთავრობის ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთების კლებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ასევე შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირებას, რაც ფულადი ბაზრის გაღრმავებას უკავშირდება. გასული წლების განმავლობაში შემოსავლიანობის მრუდს საკმაოდ დიდი დახრილობა ჰქონდა, ვინაიდან განსხვავება სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებს შორის მაღალი იყო და ეს სხვაობა მოიცავდა როგორც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების, ასევე საოპერაციო და ლიკვიდობის რისკებს. განვითარებადი ფულადი ბაზრის პირობებში საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა მხოლოდ საპროცენტო რისკს ასახავს. საქართველოში ფულადი ბაზრის გაფართოებასთან ერთად შემცირდა ლიკვიდობის რისკი, რაც გამოიხატა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის ეტაპობრივ შემცირებაში. აღსანიშნავია, რომ

საპროცენტო განაკვეთების მრუდის დახრილობის შემცირების დინამიკა ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, რაც იმ პერიოდში ამოქმედებულ ახალ ინსტრუმენტებს უკავშირდება (მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხები, ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები და ა.შ.). ამასთან, ეროვნული ბანკის კომუნიკაციის გაუმჯობესებამ, პოლიტიკის განაკვეთის ზომიერმა ცვლილებებმა და მონეტარული პოლიტიკის გადანყვეტილებების პროგნოზირებადობის ზრდამ შეამცირა მომავალში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ცვლილებების მოლოდინი, რამაც ასევე გავლენა მოახდინა შემოსავლიანობის მრუდის დახრილობის შემცირებაზე. ეს კი მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს.



**ღიზარება N 2.7** შემოსავლიანობის სპრედი პოლიტიკის განაკვეთთან შედარებით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გასული წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა (ახალი ინსტრუმენტების ამოქმედება, ფინანსური ტრანზაქციების წარმოების გამარტივება) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ფულადი და კაპიტალის ბაზრის გააქტიურებასა და განვითარებაზე. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სახაზინო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობებზე პირველად ბაზარზე. 2010 წელთან შედარებით, დაახლოებით 1.6-ჯერ გაიზარდა მიმოქცევაში არ-

სებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი, 2011 წლის ბოლოსთან შედარებით კი ზრდამ 29 პროცენტი შეადგინა. პირველადი ბაზრის გაღრმავებასთან ერთად, ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მეორადი ბაზრის გააქტიურება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბაზრის ლიკვიდობას. 2012 წლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 2.5-ჯერ გაიზარდა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჯამური მოცულობა. გაზრდილია ასევე დადებული გარიგებების საშუალო მოცულობა.

**ღიზარება N 2.8** სახაზინო ფასიანი ქაღალდების და სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთების დინამიკა 1999-2012 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



მიმოქცევაში არსებული მთავრობის ფასიანი ქაღალდების მოცულობის მატებასთან ერთად გაიზარდა ვადიანობაც. 2011 წლამდე ემისირებული სახაზინო ობლიგაციების მაქსიმალური ვადიანობა 2 წელს შეადგენდა. 2011 წელს მთავრობამ 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციები გამოუშვა, 2012 წლის მარტში კი მაქსიმალური ვადიანობა 10 წლამდე გაიზარდა. ამგვარად, შესაძლებელი გახდა ფინანსურ ბაზარზე გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბება. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაღრმავებამ ხელი შეუწყო ფულადი და კაპიტალის ბაზრის ლიკვიდობის ზრდას, კომერციული ბანკების მიერ ლარის რესურსის უფრო აქტიურად გამოყენებასა და რაც მთავარია, ფინანსური ბაზრის საპროცენტო

განაკვეთების დარეგულირებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2012 წლის განმავლობაში შემცირდა საქართველოს ფინანსური ბაზრის მრუდის დახრილობა, რითაც შემცირდა სხვაობა მოკლევადიან და გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის და კაპიტალის ბაზრის საპროცენტო განაკვეთები დაუახლოვდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს. ეს კი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს. ეროვნული ბანკი კვლავაც განაგრძობს აღნიშნული ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარებას, რაც მომავალში ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების წინაპირობა გახდება.

**ღიზარება N 2.9** სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები და საშუალო ვადიანობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც უკვე აღინიშნა, 2012 წლის განმავლობაში ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვანი იყო როგორც შიდა, ასევე საგარეო მიწოდების ფაქტორები. ფიქსირდებოდა მოთხოვნის შენელება. არსებული პროგნოზების საფუძველზე,

რომლებიც მიუთითებდა ინფლაციის მნიშვნელოვან შემცირებაზე, ეროვნულმა ბანკმა წინასწარ დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია შემდგომ პერიოდშიც დაბალ დონეზე შენარჩუნდება და ეტაპობრივად დაუბრუნდება მიზნობრივ დონეს.



## 2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდებოდა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადანყვეტილებების შესაბამისად. მონეტარული ოპერაციების მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე არსებული განაკვეთები იყოს სტაბილური და ახლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან. საოპერაციო მიზნის მისაღწევად გამოიყენებოდა საოპერაციო ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს მონეტარული ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების მიდგომების ერთობლიობას. საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო ჩარჩო შედგება შემდეგი მონეტარული ინსტრუმენტებისაგან: რეფინანსირების სესხები, ერთდღიანი სესხები, ერთდღიანი დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, 2012 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო გააქტიურდა. მოიმატა კომერციული ბანკების აქტიურობამ ბანკთაშორის ფულად ბაზარზე, სადაც ეროვნული ვალუტით განხორციელებული გარიგებების მოცულობა 11.3 პროცენტით გაიზარდა და 12.7 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირების პარალელურად, 2012 წლის განმავლობაში მცირდებოდა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთები და მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადანყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავდა რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ მოცულობას. ეროვნული ბანკი ამ პროცესს მართავდა იმ კუთხით, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო

საპროცენტო განაკვეთი ყოფილიყო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს.

### 2.2.1 რეფინანსირების სემსები

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2012 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად იყენებდა 2008 წლიდან ამოქმედებულ რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომი იყო მოკლევადიანი ლიკვიდობის მიღების საიმედო და დაბალრისკიანი წყარო, რამაც დადებითად იმოქმედა ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი, ამდენად მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე მისთვის სასურველ საპროცენტო განაკვეთს. აუქციონის მეშვეობით რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი ეფუძნებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს.

საბანკო სისტემაში აუცილებელი ლიკვიდობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტისადმი ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ნდობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, 2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე იყენებდა მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს, რომელიც გაიცემა აუქციონის გარეშე. მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტით ბანკებს ჰქონდათ ლიკვიდობის საჭიროების დაფინანსების გარანტირებული მექანიზმი. ბანკებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ რეფინანსირების სესხებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ვერ მოახერხებდნენ რეფინანსირების აუქციონიდან სესხის აღებას. მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი წინასწარ არის დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს




პლიუს ერთი პროცენტული პუნქტი. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის ვადიანობა და შესაბამისად სესხის ალებისა და დაფარვის თარიღები იდენტურია აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის თარიღებისა.

წინა წლების ანალოგიურად, 2012 წლის განმავლობაში მაღალი იყო საბანკო სექტორის დაინტერესება რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტის მიმართ. წლის განმავლობაში აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხი გაიცა 8-ჯერ (2011 წელს 16-ჯერ).

2012 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა საქართველოს ეროვნული ბან-

კის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კომერციული ბანკების სასესხო აქტივები და საერთაშორისო საბანკო გარანტიები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული ასეთი სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული იყო შესაბამისი კრიტერიუმები. საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის, გირაოს ამ სახეობებიდან კომერციული ბანკები 2012 წლის განმავლობაში ძირითადად იყენებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს და საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდებს.

**დიაგრამა N 2.10** რეფინანსირების სესხების მოცულობა 2010-2012 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 2.2.2 მართლდანი სმსხები და დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2012 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას, რაც ხელს უწყობდა ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან თანაბარმნიშვნელოვანი გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა სა-

პროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისათვის. 2012 წელს საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შეადგენდა 3 პროცენტს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს 1.5 პროცენტული პუნქტი. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას პოლიტიკის განაკვეთთან (იხ. დიაგრამა N 2.5).

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი



სესხები საბანკო სექტორისათვის წარმოადგენდა მყისიერი ლიკვიდობის მიღების ყველაზე სწრაფ საშუალებას, თუმცა საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით. ეს, თავის მხრივ, ბანკებს უბიძგებდა ფულად ბაზარზე ფინანსური რესურსების უკეთესი ფასით მოძიებისაკენ და შესაბამისად ამ ინსტრუმენტზე დიდი მოთხოვნა არ იყო. ლიკვიდობის სამართავად ბანკები ძირითადად რეფინანსირების სესხებს იყენებდნენ, რაც საბანკო სექტორისათვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვის გაცილებით უფრო მოქნილი და სრულყოფილი საშუალებაა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებს გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

### 2.2.3 ფასიანი ქაღალდები

#### სადეპოზიტო სერტიფიკატები

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან და სახაზინო ობლიგაციებთან ერთად კომერციული ბანკებიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა. ამასთან, სადეპოზიტო სერტიფიკატები მიმოიქცეოდა 3-თვიანი და 6-თვიანი ვადიანობის სეგმენტზე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდები – 1-წლიანი, 2-წლიანი, 5-წლიანი და 10-წლიანი ვადიანობის სეგმენტზე. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა ხელი შეუწყო შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. შემოსავლიანობის მრუდი იძლეოდა მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთების შესახებ, ასევე ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ. შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით, სპრედები გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის წლის განმავლობაში მცირდებოდა, რაც ბაზრის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებდა.

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული იყო 3-თვიანი და 6-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. ეს ფასიანი ქაღალდები საბანკო სექტორის მიერ გამოყენებული იყო როგორც ლიკვიდობის მართვის ყველაზე მიმზიდველი და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი. შესაბამისად, სადეპოზიტო სერტიფიკატების განთავსების კოეფიციენტმა, რომელიც ასახავს ფაქტიური განთავსების შეფარდებას დაგეგმილ ემისიასთან, შეადგინა 1.0, ხოლო მოთხოვნის კოეფიციენტმა, რომელიც აჩვენებს მოთხოვნის ფარდობას გამოცხადებულ ემისიასთან, 2.37 შეადგინა.


2012 წლის განმავლობაში გამოცხადებული 52 აუქციონიდან, კომერციული ბანკების მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატები შეძენილ იქნა ყველა აუქციონზე, სრული ოდენობით. მთლიანობაში განთავსდა 1.6 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, ხოლო დაიფარა 1.48 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2012 წლის დასაწყისში მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა 450 მლნ ლარიდან, წლის ბოლოს, 570 მლნ ლარამდე გაიზარდა. სადეპოზიტო სერტიფიკატების თითოეულ აუქციონში მონაწილეობას იღებდა საშუალოდ 5 კომერციული ბანკი.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 570 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს ფლობდა 8 კომერციული ბანკი. სადეპოზიტო სერტიფიკატების მეორად ბაზარზე 2012 წელს დაიდო 50 გარიგება საერთო თანხით 413.3 მლნ ლარი (2011 წელს განხორციელებულ იქნა 199.1 მლნ ლარის მოცულობის 52 გარიგება).

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 570 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს ფლობდა 8 კომერციული ბანკი. სადეპოზიტო სერტიფიკატების მეორად ბაზარზე 2012 წელს დაიდო 50 გარიგება საერთო თანხით 413.3 მლნ ლარი (2011 წელს განხორციელებულ იქნა 199.1 მლნ ლარის მოცულობის 52 გარიგება).



**ღიაბრაზა N 2.11** სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2010-2012 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სახელმწიფო ობლიგაციები**

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განხორციელებისათვის, 2012 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ღია ბაზრის ოპერაცია და მის მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ობლიგაციების დიდი ნაწილი გაასხვისა აუქციონის წესით. აუქციონზე გასაყიდად გატანილი იყო 114 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 13 ფასიანი ქაღალდი. კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციები შეძენილი იქნა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით. მოთხოვნის კოეფიციენტმა შეადგინა 3.25. მეორად ბაზარზე ამ ფასიანი ქაღალდებით განხორციელდა 7 გარიგება, რომლებშიც მყიდველის სტატუსით მონაწილეობდა ბანკის კლიენტი.

**სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები**

ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების გაგრძელება. 2012 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახდენდა 1-წლიანი ვადიანობის დისკონტური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ვალდებულებებისა და 2-წლიანი, 5-წლიანი და 10-წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ობლიგაციების ემისიას. ამ ფასიანი ქაღალდების ემისია ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა ხორციელდება საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის გამოყენებით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ფასიან ქაღალდს შესაძლოა ჰყავდეს ნომინალური მფლობელი – ბაზრის შუამავალი, რომელსაც მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს რეესტრში სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის, ყიდვა-გაყიდვის და დაგირავების უფლებას.

სულ მიმოქცევაში არსებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელმა 2012 წლის ბოლოსათვის 587 მლნ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 2.25 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევადი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა ეკონომიკის ზომასთან შედარებით ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიების გაზრდა, რაც ასევე ხელს შეუწყობს საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.


2012 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, სახაზინო ვალდებულებებზე განხორციელდა 20 გარიგება ჯამური ნომინალური ღირებულებით 74.6 მლნ ლარი (2011 წელს 16 გარიგება, 36.1 მლნ ლარი), ხოლო სახაზინო ობლიგაციებზე განხორციელდა 24 გარიგება ჯამური ნომინალური ღირებულებით 131.4 მლნ ლარი (2011 წელს 3 გარიგება, 25.9 მლნ ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკი / წლიური ანგარიში / 2012 წელი





**ღიზრება N 2.12** 2012 წელს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური მეორადი ბაზრის არსებობა. 2012 წელს წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორადი ბაზრის აქტივობა,

თუმცა მისი უფრო გააქტიურების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ გარემოებას მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების არასაკმარისი მოცულობა წარმოადგენდა.

**ღიზრება N 2.13** მეორადი ბაზრის დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის უფრო მეტად გააქტიურების ხელშეწყობისა და შესაბამისი თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციების განვითარება-

სრულყოფას, რაც, საბოლოოდ, პრაქტიკაში „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემის“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირებით გამოიხატებოდა.

ამავე მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით შეიქმნა და ამოქმედდა რეპო

გარიგებების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ ბლუმბერგის სავაჭრო სისტემა და „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემა“.

ყოველივე ეს იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების კარგ საფუძველს და მას უნდა მოჰყვეს ბაზრის ლიკვიდობის ზრდა დამატებითი ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, განსაკუთრებით გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით.

### ოქროს სერტიფიკატები

2012 წელს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო და ახორციელებს ოქროს ბაზრის განვითარების პროექტს, რომლის მიზანია ოქროს საინვესტიციო გარემოს შექმნა ქვეყნის ცენტრალური ბანკის სრული გარანტიით. ოქროში ინვესტირება, აღნიშნული დაცვის პირობებში და ფასიანი ქაღალდის ფასის განსაზღვრის პრინციპის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად ფასი 1 უნცია ოქროზე არსებითად მიახლოებულია ოქროს მსოფლიო საბაზრო ფასთან, მოსალოდნელია, რომ განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება პოტენციური ინვესტორებისთვის.

„საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატები“ არსებული სახით მიმოქცევაშია 2012 წლის 25 ივნისიდან. ეს ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის ემიტენტია საქართველოს ეროვნული ბანკი. განხორციელებული ინვესტიციის გარანტიის საშუალებას ეროვნული ბანკის საცავში არსებული ფიზიკური ოქრო ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში არსებულ ანგარიშებზე განთავსებული ოქრო. ოქროს სერტიფიკატი, გრძელვადიანი ინვესტირების გარდა, საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს განხორციელდეს ოქროს ფიზიკური განაღდება.

ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ამ პროექტის უპირატესობა პროცედურულ სიმარტივესა და მოქნილობაშია. ინვესტირების შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერ პირს მისი მოქალაქობის და/ან რეზიდენტობის მიუხედავად, არ არსებობს მონაწილე მხარის რისკი, ინვესტიცია იმართება სახელმწიფო რეზერვების მართვის შესაბამისად. ეროვნული ბანკი, როგორც ემიტენტი, ნებისმიერ

დროს დაიბრუნებს თავის ფასიან ქაღალდს, ანგარიშსწორება გარანტირებულია კომერციული ბანკების მიერ.

პროექტის ფარგლებში მოქმედებს ინტერნეტ ვებგვერდი [www.tgx.com.ge](http://www.tgx.com.ge), რომელიც პოტენციურ ინვესტორს აკავშირებს ბროკერთან. ბროკერს შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოში ლიცენზირებული ნებისმიერი კომერციული ბანკი. ვაჭრობა ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, შესაბამისად, ემიტენტი და ბროკერები ყოველდღე აქვეყნებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის ფასებს. ანგარიშსწორება ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებზე ემიტენტსა და ბროკერებს შორის ხორციელდება არაუმეტეს T+3 დღის პრინციპით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს ერთ დღეში ერთი კომერციული ბანკისაგან და/ან მისი მეშვეობით ოქროს სერტიფიკატებით ვაჭრობის ლიმიტი, რაც მიმდინარე მდგომარეობით განისაზღვრება 2000 უნციის ოდენობით.

ინვესტირება შესაძლებელია ორი სახის ოქროს სერტიფიკატის მეშვეობით: ოქროს ზოდის სერტიფიკატი და ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი. ორივე მათგანის განაღდება შემთხვევაში ინვესტორი მიიღებს ლონდონის ოქროს ზოდის ბაზრის ასოციაციის (London Bullion Market Association - LBMA) მიერ აღიარებული მწარმოებლის ოქროს ზოდს.

### 2.2.4 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები


მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტის მეშვეობით საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალება აქვს გავლენა მოახდინოს ფულის მულტიპლიკატორის მართვაზე. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი ქმნის დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობას. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გასააქტიურებლად, ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისა და ლარიზაციის ტენდენციების გაზრდის მიზნით, 2012 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა შეადგენს 10 პროცენტს (1 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის



ნასესხები სახსრებისთვის სარეზერვო ნორმა 0 პროცენტს შეადგენს), ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე – 15 პროცენტს (ნარჩენი ვადიანობებით უცხოური ვალუტით 1 წლიდან 2 წლამდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა იყო 5 პროცენტი, ხოლო 2 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისთვის სარეზერვო ნორმა 0 პროცენტს შეადგენს). საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი არიცხავდა შესაბამის პროცენტებს. კერძოდ, სალარე საკორე-

სპონდენტო ანგარიშზე განთავსებულ საშუალოდ მოზიდული სახსრების 5 პროცენტის შესაბამის თანხას არიცხავდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ოდენობის პროცენტს. აშშ დოლარით და ევროთი ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი არიცხავდა შესაბამისი ცენტრალური ბანკის (აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის და ევროპის ცენტრალური ბანკის) პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირებულ პროცენტს, მაგრამ არანაკლებ ნულისა.

**ღიაბრაზა N 2.14** სარეზერვო ნორმა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## 2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მიზნად ისახავს ეტაპობრივად, სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების შემცირებით თავისუფლად მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლას. გაცვლითი კურსის ასეთი რეჟიმი ამცირებს საგარეო შოკების ზეგავლენას რეალურ ეკონომიკაზე და ხელს უწყობს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ეროვნული ბანკის მიერ თავისუფლად მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლის მიმართულებით გატარებული რეფორმის შედეგად, 2009 წელს,

შემოღებულ იქნა სავალუტო აუქციონების მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს სავალუტო ბაზარზე ინტერვენციის ერთადერთ ინსტრუმენტს. აღნიშნული მექანიზმის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ეროვნული ბანკის ინტერვენციების საჭიროება სავალუტო ბაზარზე და მისი წილი სავალუტო ვაჭრობებში. ასეთმა მიდგომამ საგრძნობლად გაზარდა კურსის მოკლევადიანი მერყეობა, გაცვლითი კურსი გახდა არაპროგნოზირებადი მოკლევადიან პერიოდში, რამაც მოხსნა კურსზე სპეკულაციური წნეხი და შედეგად გაზარდა ლარის სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში. 2012 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ცდილობდა სავალუტო ბაზარზე მხოლოდ მინიმალურად ჩარეულიყო, რომლის მიზანს კაპიტალის დროები-




თი, ჭარბი ნაკადების გაცვლით კურსზე გადაჭარბებული ზეგავლენის აღმოფხვრა წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების სიხშირე ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბან-

კის მიერ გასული წლის განმავლობაში შესყიდული/გაყიდული უცხოური ვალუტის მოცულობამ და ინტერვენციების წილმა ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის ბრუნვებში არსებითად მოიკლო წინა წლებთან შედარებით.

**ღიაზრება N 2.15** სავალუტო ბაზრის დინამიკა 2003-2012 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო აუქციონების შემოღების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა მოკლევადიან პერიოდში, რაც ხელს უწყობს არაჯანსაღი სპეკულაციური ზენოლის რისკების შემცირებას. მცურავი კურსის პირობებ-

ში გაცვლით კურსს ახასიათებს მოკლევადიანი მერყეობა. აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის მერყეობას დაახლოებით ისეთივე ამპლიტუდა აქვს, რაც სხვა სტაბილურ ვალუტებს, როგორცაა აშშ დოლარი და ევრო.

**ღიაზრება N 2.16** გაცვლითი კურსის მერყეობა<sup>15</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


15. 3-დღის სტანდარტული გადახრა.

2012 წლის მანძილზე განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებით, ეროვნული ბანკი, უმეტეს შემთხვევაში, ბაზარზე უცხოური ვალუტის მყიდველის როლში გამოდიოდა. შედეგად, ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ წლის განმავლობაში 155 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წელს ლარის გაცვლითი კურსი ძირითადად სტაბილური იყო. სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, წლის განმავლობაში ტურისტული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 55.3 პროცენტით გაიზარდა. ტურისტული შემოსავლების ზრდის შედეგად სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდება განსაკუთრებით მესამე კვარტალში გახდა თვალშისაცემი. გარდა ამისა, გასული წლის განმავლობაში ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდებაზე გავლენას ახდენდა ისეთი ტრადიციული არხები, როგორცაა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ფულადი გზავნილები. ბოლო წლების განმავლობაში უცხოური ვალუტის მიწოდებაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არარეზიდენტების დეპოზიტების ზრდა.

2012 წლის განმავლობაში არარეზიდენტების დეპოზიტები 250 მლნ აშშ დოლარზე მეტად გაიზარდა. წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას უმთავრესად იმპორტზე მოთხოვნა განაპირობებდა. ჭარბი ნაკადების გაცვლით კურსზე გადაჭარბებული ზეგავლენის აღმოფხვრის მიზნით ეროვნული ბანკი პერიოდულად ერეოდა სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების მეშვეობით, სადაც ეროვნულმა ბანკმა ჯამურად 220 მლნ აშშ დოლარი შეიძინა და 65 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის საშუალო სიდიდე 2012 წლის განმავლობაში 1.6513 ლარს გაუტოლდა. 2012 წელს საშუალო წლიური გაცვლითი კურსი წინა წელთან შედარებით 2.06 პროცენტით გამყარდა (1.6860-დან 1.6513-მდე), ხოლო წლის ბოლოს მონაცემით გაცვლითი კურსი 0.81 პროცენტით გამყარდა (1.6703-დან 1.6567-მდე). წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველდღიურად აქვეყნებდა ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებს, რომლებიც „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში ბანკთაშორისი გარიგებების საშუალო შენონილ მაჩვენებელს წარმოადგენს.

**ღიპარაზა N 2.17** ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის განმავლობაში გაუფასურება დაფიქსირდა როგორც ლარის ნომინალური, ასევე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების მიხედვით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.9 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 4.9 პროცენტით გაუფასურდა.

რეალური გაცვლითი კურსის ნომინალურზე უფრო მეტად გაუფასურება განპირობებულია იმით, რომ წლის განმავლობაში საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში უფრო მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა, ვიდრე საქართველოში.




**ცხრილი N 2.1** რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება 2012 წელს

	ნომინალური კურსის ცვლილება, %	რეალური კურსის ცვლილება, %	წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში, %
<b>ეფექტური გაცვლითი კურსი</b>	<b>-0.9</b>	<b>-4.9</b>	<b>-4.9</b>
თურქეთი	-4.2	-11.0	-2.7
ევროზონა	0.7	-2.7	-0.5
უკრაინა	0.1	-1.1	-0.2
სომხეთი	6.0	1.3	0.1
აშშ	0.0	-3.0	-0.2
რუსეთი	-2.2	-9.5	-0.7
აზერბაიჯანი	-0.2	-1.2	-0.2
დანარჩენი	-0.1	-5.2	-0.5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაგრამა N 2.18** ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2003=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**საერთაშორისო რეზერვების მართვა**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრიორიტეტს 2012 წელს აღარ წარმოადგენდა საერთაშორისო რეზერვების დაგროვება, არამედ მისი დონის სასურველ ნიშნულზე შენარჩუნება. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2.87 მლრდ აშშ დოლარი (რეზერვე-

ბის მთლიანი მოცულობა მოიცავს გარე მენეჯერი-სათვის (მსოფლიო ბანკი) სამართავად გადაცემულ თანხებსაც) შეადგინა. 2011 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით (2.82 მლრდ აშშ დოლარი), 2012 წელს საერთაშორისო რეზერვების მოცულობა გაიზარდა 54.7 მლნ აშშ დოლარით, რაც პროცენტულ გამოსახულებაში 1.9 პროცენტს შეადგენს.



**ღიაბრაზი N 2.19** ოფიციალური სარეზერვო აქტივები (ნლის ბოლო მაჩვენებელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის ცვლილებაზე 2012 წლის განმავლობაში ტრადიციულად რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონები, საქართველოს მთავრობის ხარჯები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და

გრანტები. ნლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 155 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა ასევე განაპირობა ქვეყნის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან მიღებულმა სესხებმა და გრანტებმა, ჯამში 300 მლნ აშშ დოლარი.

**ცხრილი N 2.2** საქართველოს საერთაშორისო რეზერვები

	2008	2009	2010	2011	2012
მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თანაფარდობა:					
საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეებთან (თვე)	2.4	4.8	4.4	4.2	3.8
ფართო ფულთან M2 (%)	119	153	136	124	117
უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებთან (%)	95	131	108	116	97
მოკლევადიან საგარეო ვალთან (%)	143	223	157	115	103
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	1,480	2,110	2,264	2,818	2,873

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დონე სხვადასხვა შეფასებებით სათანადო საგარეო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. როგორც ცხრილი N 2.2 გვიჩვენებს, მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ფარდობა ფართო ფულთან, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებთან და მოკლევადიან ვალთან 100 პროცენტის მახლობლობაშია, რაც მიანიშნებს საერთაშორისო რეზერვების საკმარის დონეს.

ასევე მნიშვნელოვანი კოეფიციენტია მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ფარდობა თვის იმპორტთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებით, საერთაშორისო რეზერვების დონე ითვლება მდგრად დონედ, თუკი მისი შეფარდება თვის იმპორტთან 3-ზე მეტია. საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წლის ბოლოსთვის 3.8-ს შეადგენდა.

2012 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაძლი-



ერდა 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისი, რასაც ევროზონის ქვეყნებში ფისკალური კრიზისის მძიმე შედეგები დაემატა. მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები, განსაკუთრებით კი ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა და ევროპის ცენტრალური ბანკი, განაგრძობდნენ ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკას, რაც დამატებითი აქტივების შექმნით ფულადი მასის ზრდაში და საპროცენტო განაკვეთების დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებაში გამოიხატებოდა. საბერძნეთის სავალ კრიზისმა და საბიუჯეტო პრობლემებმა ევროზონის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესპანეთი, პორტუგალია, იტალია და ირლანდია არსებითად შეარყია ინვესტორების ნდობა ევროში დენომინირებული აქტივების მიმართ. სარეიტინგო კომპანიების მიერ მოხდა ისევე როგორც სუვერენული რეიტინგების, ასევე ბანკების გრძელვადიანი რეიტინგების შემცირება. საკრედიტო რისკების ზრდის ფონზე კიდევ უფრო რთული გახდა სახსრების უსაფრთხოდ განთავსება, გაიზარდა მოთხოვნა იმ ფასიან ქალაქებზე, რომლებიც უფრო დაბალრისკიანად იქნა მიჩნეული და შესაბამისად კიდევ უფრო შემცირდა მათი შემოსავლიანობა. 2012 წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ასეთი ტიპის ფასიან ქალაქებს საერთაშორისო ბაზრებზე გააჩნდათ უარყოფითი შემოსავლიანობის მაჩვენებელი (მაგ. გერმანიის, ჰოლანდიისა და ფინეთის ობლიგაციებზე). გარდა ფასიანი ქალაქებისა, ნეგატიური შემოსავლიანობით ხასიათდებოდნენ ევროში დენომინირებული საბანკო დეპოზიტებიც, რაც თავის მხრივ 2012 წლის ივლისში ევროპის ცენტრალური ბანკის მხრიდან სადეპოზიტო განაკვეთის (ECB Deposit Facility) 0 პროცენტამდე შემცირებით აიხსნება. ამან შესაბამისად გამოიწვია კომერციულ ბანკებში ლიკვიდური სახსრების დაგროვება და მათი მხრიდან ევროში დეპოზიტების მიღებაზე სურვილის არქონა. აღნიშნულ პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ს, ავსტრალიის და ევროზონის ქვეყნების

სახელმწიფო და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალლიკვიდურ ფასიან ქალაქებში და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2012 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 29.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე არსებული არასახარბიელო პირობების ზეგავლენით 2011 წელს მიღებულ შემოსავლებზე 10.1 პროცენტით ნაკლებია. იმავდროულად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეამცირა ან საერთოდ შეწყვიტა თანხების ინვესტირება ისეთ ქვეყნებში, რომელთა კრედიტუნარიანობა ფისკალური კრიზისის ფონზე, თუნდაც მცირედით, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, რომლის წევრიც 2009 წელს გახდა. აღნიშნული პროგრამის ხანგრძლივობა სამ წელიწადს შეადგენს და იგი ითვალისწინებს საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით, ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენას ეროვნულ ბანკში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების კუთხით. პროგრამა მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ეროვნული ბანკისათვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აქტივების სტრატეგიული განაწილების სამუშაოები, შეირჩა გლობალური ქასტოდიანი, განისაზღვრა რეზერვების მართვაში ახალი მიდგომებისა და ინსტრუმენტების ეტაპობრივი გამოყენების გეგმა და დაიწყო მისი პრაქტიკული განხორციელება. პროგრამის მიმდინარეობისას ეროვნული ბანკის მიერ მიღწეული პროგრესი მსოფლიო ბანკმა ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეაფასა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოახდინა აღნიშნული პროგრამის 1 წლის ვადით გახანგრძლივება.



### 3. საბანკო სექტორი



### 3.1 კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება

2012 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული დებულება, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ბაზელ II-ისა“ და „ბაზელ III-ის“ დოკუმენტებს. განახლებული მიდგომა უფრო მეტად იქნება მორგებული კომერციული ბანკების რისკის პროფილზე. შესაბამისად, მეტი საზედამხედველო კაპიტალი მოეთხოვებათ უფრო მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში ჩართულ კომერციულ ბანკებს. კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული ჩარჩო შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან:

- „პილარ I-ის“ სტანდარტიზებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს სტანდარტიზებული ფორმულით კომერციული ბანკების მიერ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებას;
- „პილარ II-ი“, რომლის ფარგლებში კომერციული ბანკი საკუთარი რისკის პროფილის გათვალისწინებით აკეთებს მისთვის მატერიალური რისკების იდენტიფიცირებას და ითვლის საჭირო კაპიტალის ოდენობას. „შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი“ ფასდება „საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის“ ფარგლებში;
- „პილარ III-ი“, რომელიც არეგულირებს კომერციული ბანკების მიერ რისკების შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჭვირვალობის წესებს.  
„ბაზელ II/III-ის“ „პილარ I-ის“ ფარგლებში კომერციული ბანკების მიერ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება რიგი მიმართულებით ცვლის არსებულ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს. შესაძლებელია აღინიშნოს შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:
  - მნიშვნელოვნად იცვლება კაპიტალის ინსტრუმენტების განმარტება, რომლებიც განხილული უნდა იქნას საზედამხედველო კაპიტალის ნაწილად. თუ არსებული ჩარჩოს ფარგლებში

საზედამხედველო კაპიტალში ჩართვისათვის ყურადღება ექცეოდა ინსტრუმენტის ბუღალტრულ დასახელებას, განახლებული „ბაზელ III-ზე“ დაფუძნებული პრინციპი გულისხმობს ინსტრუმენტების შეფასებას კონკრეტული საერთო კრიტერიუმების მიხედვით. ასეთებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ვადიანობასთან, სუბორდინაციასთან, დივიდენდების გადახდის ვალდებულებასთან, გამოთხოვის პირობებთან, საპროცენტო განაკვეთის მატებასთან დაკავშირებული და სხვა კრიტერიუმები;

- რისკის მიხედვით შენონილი აქტივების გაანგარიშებისათვის შესაძლებელი ხდება აღიარებული სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული რეიტინგების გამოყენება;
- სხვადასხვა პრუდენციული მოთხოვნების დამყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება საცალო და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების 75 პროცენტი და 35 პროცენტი რისკის წონებით შენონვა;
- კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალი მოეთხოვებათ საოპერაციო რისკისათვის;
- კომერციულ ბანკებს შეეძლება საკრედიტო რისკის მიტიგაციის (მაგ. სესხის უზრუნველყოფის) გათვალისწინება რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების გაანგარიშების მიზნებისათვის.

ბაზელის ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნებისგან განსხვავებით პრუდენციული მიზნებისათვის ძალაში კვლავ რჩება გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკისათვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა „პილარ I-ის“ ფარგლებში. თუმცა, განახლებული დებულებით უფრო კონკრეტულად განისაზღვრა თუ რომელ აქტივებზე ვრცელდება ასეთი რისკი და არსებულ დებულებასთან შედარებით რიგი სესხები ასეთი რისკის მიხედვით შენონვას აღარ დაექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკების მიერ შიდა კაპიტალის შეფასების პროცესი ადეკვატურად გაითვალისწინებს მოცემულ და სხვა რისკებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მომავალში „პილარ I-ის“ მოთხოვნებში მოცემული რისკის კატეგორიის მიმართ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

„პილარ II-ის“ მოთხოვნების შესაბამისად, კომე-



რციული ბანკები ვალდებული იქნებიან დაითვალონ დამატებითი კაპიტალი („პილარ I-ით“ გათვალისწინებულის ზემოთ), რომელიც საჭიროა მათი ბანკისათვის მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური მატერიალიზაციის შემთხვევაში ზარალის დაფარვისათვის. ასეთ დამატებით რისკებს შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს კონცენტრაციის, რეპუტაციის, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა რისკები. ასეთი რისკების დათვლისათვის კომერციული ბანკების მიერ გამოყენებული მეთოდები დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის. მათ შეფასებას საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს „ბაზელ II/III-ით“ განსაზღვრული „საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის“ ფარგლებში. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო სისტემის ნაწილი. სეპ-ის მხრიდან მონიტორინგს დაექვემდებარება კომერციული ბანკების რისკების მართვისა და მათი გაანგარიშების პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც გაიანგარიშება თითოეული ბანკისათვის საჭირო ინდივიდუალური კაპიტალის მოთხოვნა.

„პილარ III-ის“ ფარგლებში კომერციული ბანკები ვალდებული იქნებიან საჯარო გახადონ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მნიშვნელოვანი რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინფორმაცია მათი რისკების შესახებ.

საყურადღებოა, რომ საქართველოში კაპიტალის, როგორც ოდენობა, ასევე ხარისხი, ახალ ჩარჩოზე გადასვლისათვის სავსებით საკმარისია. ასევე მნიშვნელოვანია კონტრციკლური ბუფერის პრაქტიკული გამოყენების მხრივ უკვე არსებული გამოცდილება, რაც ბოლო წლებში სავალუტო რისკის წონის ცვლილებებში გამოიხატა. ამავდროულად მართლებით არგუმენტია სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების პორტფელის სადღეისოდ პრაქტიკულად არ არსებობა. ამასთან, „პილარ II-ის“ სრულყოფილი დანერგვა საკმაოდ მნიშვნელოვან სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული, როგორც ბანკების, ასევე საბანკო ზედამხედველობის მხრივ.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული

ბანკებისაგან გარდამავალ ეტაპზე მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის, როგორც არსებულ, ასევე, განახლებულ დებულებასთან შესაბამისობას. სადღეისოდ არსებული გეგმით, 2013 წელს კომერციულმა ბანკებმა უნდა დაიცვან განახლებული და არსებული დებულების მოთხოვნებით განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები სრულად, 2014 წელს არსებულის 95 პროცენტი, 2015 წელს 90 პროცენტი, ხოლო 2016 წელს 80 პროცენტი, შესაბამისად.

## 3.2 საბანკო სექტორის რისკები

### 3.2.1 მფლობელობის სტრუქტურა


2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორში ფუნქციონირებდა 19 ბანკი. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების სააქციო კაპიტალში შეადგენდა 89 პროცენტს. 2012 წელს საქართველოს საბანკო სექტორს დაემატა სს „თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი“, ხოლო ბაზარი დატოვა სს „ეიჩ ეს ბი სი საქართველომ.“ 2013 წელს ასევე გაიცა ლიცენზია აზერბაიჯანული „პაშა ბანკის“ შვილობილ ბანკზე სს „პაშა ბანკ საქართველოზე.“ მსხვილი საერთაშორისო თუ რეგიონული ინვესტორების არსებობის გათვალისწინებით, საბანკო სექტორი კვლავ საკმაოდ ძლიერი აქციონერებითაა წარმოდგენილი.

### 3.2.2 საკრედიტო რისკი

2012 წელი საბანკო სისტემისათვის დაკრედიტების კუთხით ზომიერად აქტიური იყო. პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ზაფხულის თვეებში. მთლიანი სესხების ჯამურმა მაჩვენებელმა 2012 წლის ბოლოსათვის ბევრად გადააჭარბა რეცესიის დაწყებამდე არსებულ მოცულობას და 8.7 მილიარდი ლარი შეადგინა. 2012 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი ფიქსირებული კურსით 2011 წელთან შედარებით 13.5 პროცენტით გაიზარდა. წმინდა ჩამონერილი სესხების ეფექტის გათვალისწინებით კი პორტფელის ზრდამ 15.8 პროცენტი შეადგინა.



**ღიაბრამა N 3.1** მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სეგმენტების ჭრილში სისტემის საკრედიტო პორტფელში ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილია კორპორატიული პორტფელი, 41 პროცენტით. საცალო პორტფელი 39 პროცენტს, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნეს პორტფელი 20 პროცენტს შეადგენს. 2012 წლის მანძილზე, როგორც პროცენტულად, ასევე თანხობრივად, ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა საცალო სესხების პორტფელში, მას მოსდევს მცირე და საშუალო ბიზნესისა და კორპორატიული სესხების პორტფელი.

2012 წლის პირველ ნახევარში სისტემის სასესხო პორტფელის ზრდა თანაბარი იყო, როგორც კორპორატიულ და მცირე და საშუალო, ასევე საცალო სესხების მხრივ. 2012 წლის მეორე ნახევრიდან მოხდა საკრედიტო პორტფელის ზრდის შემცირება, რაც სესხებზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი კლებით იყო განპირობებული და ბიზნეს სე-

სხების ნაწილში აისახა. მკვეთრად შემცირდა საინვესტიციო პროექტების დაფინანსება. ასევე ნაკლები იყო საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნა, რაც სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით განსაკუთრებით უჩვეულო და თვალშისაცემი წინასაახალწლო პერიოდში იყო. სწორედ მოთხოვნის და არა მიწოდების შოკს ადასტურებს სესხის მისაღებად შემოტანილი განაცხადების შემცირებისა და ამავდროულად მათი დამტკიცების განაკვეთის მატების ტენდენცია. ამავე მიმართულებით არგუმენტებია სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ეტაპობრივი კლების ტრენდის გაგრძელება, აქტიური სასესხო სარეკლამო კამპანია და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების გარკვეული შემცირება, უკვე ვალდებულებების მხრიდან მომგებიანობის ოპტიმიზაციის მიზნით.

**ცხრილი N 3.1** მთლიანი საკრედიტო პორტფელი სეგმენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)

სეგმენტი	დეკ-10		დეკ-11		დეკ-12		ზრდა 2010-11	ზრდა 2011-12
	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%		
კორპორატიული სესხები	2,745	44%	3,273	42%	3,606	41%	19%	9%
სესხები მცირე და საშუალო ბიზნესზე	1,411	23%	1,547	20%	1,738	20%	10%	12%
საცალო სესხები	2,099	34%	2,896	38%	3,368	39%	38%	16%
<b>სულ:</b>	<b>6,256</b>	<b>100%</b>	<b>7,717</b>	<b>100%</b>	<b>8,712</b>	<b>100%</b>	<b>23%</b>	<b>13%</b>

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ კვლავ გრძელდებოდა საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რასაც მნი-

შვნელოვნად უწყობდა ხელს გამძაფრებული კონკურენცია.

**ღიზარება N 3.2** საკრედიტო პორტფელის თვის განმავლობაში გაცემულ სესხებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი სეგმენტების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)<sup>16</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტორების კუთხით საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი შეიძლება საკმაოდ დივერსიფიცირებულად ჩაითვალოს. სექტორულ ჭრილში პორტფელის დინამიკის მხრივ გამოსაყოფია საცალო პორტფელის ზრდა, ძირითადად სამომხმარებლო სესხების დაკრედიტების ხარჯზე, რომელსაც საცალო პროდუქტების პორტფელში ყველაზე დიდი წილი უჭირავს. წლის განმავლობაში მაღალი

ზრდის კოეფიციენტი ჰქონდა მომენტალურ განვადებას და სესხებს ბინის რემონტისთვის, თუმცა პორტფელში მცირე წილის გათვალისწინებით, მათი გავლენა უმნიშვნელოა. მთლიანობაში აღინიშნება პროციკლური სექტორების ზვედრითი წილის შემცირება, რაც თავისთავად პოზიტიურად ფასდება.

**ცხრილი N 3.2** სასესხო პორტფელი რისკ-სექტორების მიხედვით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სექტორი (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი პორტფელთან
სახელმწიფო ორგანიზაციები	0%	42	1	2.0%
საფინანსო ინსტიტუტები	2%	188	5	2.4%
ლომბარდული სესხები	3%	293	6	2.1%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	3%	237	52	21.8%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	5%	397	21	5.2%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	3%	259	40	15.4%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2%	199	17	8.3%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	6%	508	27	5.3%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	3%	248	23	9.3%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	1%	127	6	4.8%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	1%	101	4	3.7%
ვაჭრობა (სხვა)	4%	389	22	5.7%
წარმოება (სხვა)	1%	116	10	8.2%
სასტუმროები და ტურიზმი	3%	233	9	3.8%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1%	103	7	6.8%
მძიმე მრეწველობა	4%	387	9	2.3%


16. წარმოდგენილია ნომინალური საპროცენტო განაკვეთები. იგივე ტენდენციით ხასიათდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცალო საკრედიტო პორტფელისათვის.



სექტორი (მილიონი ლარი)	წლი მილიონ პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი პორტფელთან
ბენზინგასამართსადგურებსა და ბენზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	3%	242	10	4.3%
ენერგეტიკა	2%	162	8	5.2%
ავტომობილების დილერები	1%	120	16	13.3%
ჯანდაცვა	3%	228	11	5.0%
ფარმაცეუტიკა	1%	80	6	7.0%
ტელეკომუნიკაცია	2%	149	36	24.3%
სერვისი	5%	435	49	11.2%
სოფლის მეურნეობის სექტორი	3%	302	15	5.0%
სხვა (ჯვართის ბიზნესის ჩართვით)	2%	145	4	2.9%
<b>საჯალ პროდუქტები</b>	<b>35%</b>	<b>3021</b>	<b>173</b>	<b>5.7%</b>
ავტო-სესხები	1%	63	7	10.5%
სამომხმარებლო სესხები	15%	1286	52	4.1%
მომენტალური განვადება	1%	112	7	6.2%
ოვერდრაფტები	1%	61	5	7.4%
საკრედიტო ბარათები	5%	437	56	12.8%
სესხები ბინის რემონტისათვის	2%	138	5	3.9%
იპოთეკური სესხები	11%	924	42	4.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაგრამა N 3.3** საჯალ პროდუქტების განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ცხრილი N 3.3** საჯალ პროდუქტების განაწილება (2011, 2012), ცვლილება ერთწლიან პერიოდში

ლარი	დეკ-11	დეკ-12	ცვლილება
<b>საჯალ პროდუქტები</b>	<b>2,656,611,701</b>	<b>3,021,325,601</b>	<b>13.70%</b>
ავტო-სესხები	84,574,460	63,276,562	-25.20%
სამომხმარებლო სესხები	1,007,301,457	1,285,923,923	27.70%
მომენტალური განვადება	81,413,868	111,812,814	37.30%
ოვერდრაფტები	62,189,244	61,482,740	-1.10%
საკრედიტო ბარათები	428,788,091	436,886,822	1.90%
სესხები ბინის რემონტისათვის	110,835,828	137,955,431	24.50%
იპოთეკური სესხები	881,508,752	923,987,308	4.80%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უმოქმედო სესხების<sup>17</sup> წილი მთლიან პორტფელში, 2010 წლის ბოლოსათვის 12.5 პროცენტს შეადგენდა, 2011 წლის ბოლოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი 8.6 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2012 წლის ბოლოსათვის მცირედით გაიზარდა და 9.3 პროცენტი შეადგინა. 2012 წელს უმოქმედო სესხების მცირე ზრდა ძირითადად რამდენიმე იდ-იოსინკრავტიულმა ფაქტორმა განაპირობა. საერ-


თაშორისო შედარების მიზნებისათვის მიღებული, 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით განსაზღვრული უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში კვლავ შემცირდა და 2012 წლის ბოლოსათვის 3.7 პროცენტს გაუტოლდა, მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით 5.5 პროცენტს, 2011 წლის ბოლოს კი 4.5 პროცენტს შეადგენდა.

**ცხრილი N 3.4** სასესხო პორტფელის კატეგორიები და ფორმირებული რეზერვები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კატეგორია	თანხა (მლნ ლარი)	წილი	რეზერვი
სტანდარტული	7,441	85%	2%
საყურადღებო	482	6%	10%
არასტანდარტული	391	4%	30%
საეჭვო	235	3%	51%
უიმედო	184	2%	87%
სულ:	8,733	100%	7.0%
ნეგატიური სესხები	1,292	15%	35%
უმოქმედო სესხები	810	9%	49%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ღიაგრამა N 3.4** სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


17. „უმოქმედო სესხებად“ განისაზღვრება აქტივების კლასიფიკაციის მოქმედი რეგულაციის მიხედვით კლასიფიკაციის ბოლო სამი კატეგორია: არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო.

**დიაგრამა N 3.5** მთლიანი სასესხო პორტფელის დინამიკა წმინდა ჩამონერილი სესხების აღდგენის ეფექტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 3.6** სესხების ჩამონერა და ამოღება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წლის განმავლობაში კრედიტების ნაწილი რეკლასიფიცირებული იქნა უფრო ნეგატიურ კატეგორიაში, რიგი სესხები კი ჩამოიწერა, თუმცა პარალელურად მთლიანი საკრედიტო პორტფელი და კომერციული ბანკების აქტივები გაიზარდა, რის გამოც სისტემის სიჯანსაღის პროცენტული ინდიკატორები დიდად არ შეცვლილა. წლის ბოლოსთვის ნეგატიური პორტფელის მოცულობამ

მთლიანი საკრედიტო პორტფელის 16.9 პროცენტი, ხოლო ნეგატიური აქტივების<sup>18</sup> მთლიანი აქტივებთან თანაფარდობამ 11.7 პროცენტი შეადგინა. თუ ნეგატიურ პორტფელში 2007 წლიდან წმინდა ჩამონერილ სესხებსაც გავითვალისწინებთ, აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 24.1 და 17.6 პროცენტს შეადგენს.

18. ამ შემთხვევაში ნეგატიური პორტფელი მოიცავს საყურადღებო და უმოქმედო კატეგორიის სესხებსა და დასაკუთრებულ ქონებებს, ხოლო ნეგატიური აქტივები აერთიანებს ნეგატიური პორტფელსა და ნეგატიურ ინვესტიციებს.



**ღიზარაზა N 3.7 პრობლემური აქტივები**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეცესიის შემდგომ გაზრდილი დასაკუთრებული ქონების მოცულობები 2012 წლის ბოლოსათვის მცირედით შემცირდა და სისტემის დონეზე 220 მილიონი ლარი შეადგინა. საკრედიტო პორტფელის ზრდის პარალელურად კი დასაკუთრებული ქონებების წილმა საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში 2010 წლისთვის პიკური 3.7 პროცენტი-

დან 2012 წლის დეკემბრისთვის 2.5 პროცენტამდე დაიკლო. აქტივების და რეზერვების მოქმედი რეგულაციის კონსერვატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, დასაკუთრებულ ქონებაზე საბანკო სისტემის დონეზე ფორმირებულია საშუალოდ 49.1 პროცენტის ოდენობის რეზერვი.

**ღიზარაზა N 3.8 დასაკუთრებული ქონება**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საზედამხედველო პროცესში სულ უფრო მზარდი ყურადღება ეთმობოდა საკრედიტო კოეფიციენტების მონიტორინგს, როგორც ბიზნესს, ასევე საცალო სეგმენტში. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა საზედამხედველო ჩარჩო გახდეს უფრო მომავალზე ორიენტირებული, რადგანაც ხდება საკრედიტო სტანდარტების შემსუბუქების დროუ-

ლი იდენტიფიცირება. მსესხებელთა ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს განსაკუთრებული როლი ენიჭება კონკურენციის გამძაფრებისას, რათა ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში, საბანკო სისტემის მიერ არ მოხდეს მომატებული რისკების აღება, რისი შედეგებიც მხოლოდ სტრესულ ვითარებაში იქნება თვალსაჩინო.




### 3.2.3 ლიკვიდობის რისკი

#### ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

ლიკვიდური აქტივების დონე, უნდა ითქვას, რომ ისტორიულის მსგავსად, დღესაც ძალზედ მაღალია. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების

23 პროცენტია და ფარავს არასაბანკო დეპოზიტების 44 პროცენტს.

ღიაბრაზა N 3.9 ლიკვიდური აქტივების დონე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2011 წლიდან ლიკვიდობის კოეფიციენტს ეროვნული ბანკი ახალი მეთოდოლოგიით ითვლის, რის მიხედვითაც ლიკვიდურ აქტივებში არ გაითვალისწინება ბანკებს შორის ურთიერთგაცვლილი თანხები. ასევე ცალმხრივად განთავსებული თან-

ხები ლიკვიდურად ეთვლება მხოლოდ ერთ-ერთ ბანკს (ან განმთავსებელს ან მიმღებს, გამომდინარე ინსტრუმენტის ვადიანობიდან და ვადამდე ადრე გამოთხოვის შესაძლებლობიდან).

ღიაბრაზა N 3.10 ლიკვიდობის კოეფიციენტები ვალუტების მიხედვით 2012 წელს



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლიკვიდობის კოეფიციენტი მეტია ლარის ვალდებულებებზე ვიდრე დოლარის ვალდებულებებზე, რაც მომგებიანობის გამო ლიკვიდობის ლარით

ფლობის სურვილთან ერთად, ძირითადად განპირობებულია ლარის ვალდებულებების მოკლევადიანობით, ეს კი ერთ თვემდე გეპ-ში აისახება კიდევ.




**ღიაბრამა N 3.11** ლიკვიდობის გეპი: 1 თვემდე აქტივების თანაფარდობა 1 თვემდე ვალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაბრამა N 3.12** ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა 2010-12 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვალდებულებების სტრუქტურა**


ვალდებულებების სტრუქტურაში მნიშვნელოვან ცვლილებებს 2012 წელს ადგილი არ ჰქონია. ვალდებულებების 64 პროცენტი კვლავ დეპოზიტებზე მოდის, თუმცა შეიცვალა დეპოზიტების სტრუქტურა, სადაც იმატა ვადიანი დეპოზიტების

ნილმა, რაც ლიკვიდობის რისკის კუთხით დადებით ფაქტორად ფასდება.

ბანკებმა ბალანსები შეამცირეს სუბორდინირებული ვალის იმ ნაწილით, რაც ზედმეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ჩაანაცვლეს შედარებით იაფიანი ნასესხები სახსრებით.



**ღიაზრამა N 3.13** ვალდებულებების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საცალო დაფინანსება**

დეპოზიტების ზრდამ 2012 წელს 905 მილიონი ლარი (13.4 პროცენტი) შეადგინა და დეკემბრის მდგომარეობით 7.65 მილიარდ ლარს მიაღწია.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ზრდის დიდი ნაწილი მოდიოდა ორ მსხვილ სახელმწიფოს მიერ ფლობილ სანარმოზე. მათ გარეშე დეპოზიტების ზრდა 565 მილიონი ლარი (8.6 პროცენტი) იყო.


**ღიაზრამა N 3.14** კლიენტების დეპოზიტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



**დიაგრამა N 3.15** არარეზიდენტების დეპოზიტების წილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კვლავ ზრდას განაგრძობს არარეზიდენტი დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში. ეს მაჩვენებელი 2012 წლის ბოლოსათვის 15 პროცენტს გაუტოლდა. ზოგადად საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას, რასაც არარეზიდენტების დეპოზიტების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. საყურადღებოა, რომ არარეზიდენტების დეპოზიტების ნახევარზე მნიშვნელოვნად მეტი საქართველოში მცხოვრებ არარეზიდენტებსა და ქვეყანასთან ბიზნეს თუ სხვა ურთიერთობით დაკავშირებულ არარეზიდენტებზე მოდის, რაც რისკიანობის კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს. ამავე მიმართულებით არგუმენტია ვადიანი დეპოზიტების სვედრითი წილი და დივერსიფიცირება წარმოშობის ქვეყნების მიხედვით. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი დაფინანსების წყარო მაინც არაძირითადად ითვლება, დივერსიფიცირება არ უნდა გადაიზარდოს დამოკიდებულებაში და შესაბამისად, საქართველოს

ეროვნული ბანკი გეგმავს ამ მხრივ გარკვეული ლიმიტის შემოღებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ლიკვიდობის უფრო ეფექტიან მართვას, რადგანაც ბუნებრივია, სადღეისოდ არსებული ლიკვიდობის მაღალი დონე მომგებიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. დასახელებული ლიმიტის შემოღებისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეპოზიტების ვადაზე ადრე გამოუთხოვადობის საკითხს. სადღეისოდ არსებული ჯარიმა ვადაზე ადრე გამოთხოვის შემთხვევაში რისკის მიტიგაციის მაინც არასაკმარის ფაქტორად არის მიჩნეული. მსგავსი პროდუქტის შექმნა/განვითარებას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგული სადეპოზიტო სერტიფიკატი არსებითად უწყობს ხელს. საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საბანკო სექტორის ერთობლივი მუშაობის შედეგად, უკვე შეინიშნება ვადაზე ადრე გამოუთხოვადი დეპოზიტების პორტფელის ფორმირების გარკვეული ტენდენცია.



**ღიაზრამა N 3.16** არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2012 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საბითუმო დაფინანსება**

2012 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებ-

თან თანაფარდობის კოეფიციენტი კვლავ მისაღებ დონეს ინარჩუნებდა.

**ღიაზრამა N 3.17** მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა ნასესხები სახსრების რისკიანობის შეფასება, როგორც კრედიტორების წრილში, ასევე დაფარვის ვადებისა და ვადაზე ადრე გამოთხოვის რისკის შეფასების კუთხით. ნასესხები სახსრების (სავალო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) 58 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 10 პროცენტი მშობელ ბანკებზე და 32 პროცენტი სხვა კერძო ინსტიტუტებზე. მათი განაწილება დაფარვის ვადების მიხედვით, განსაკუთრებით

კრედიტორების გათვალისწინებით, დაბალ რისკად ფასდება. ამავ ემიდგომის გამოყენებით, შედარებით დაბალ რისკად ფასდება ხელშეკრულებებში არსებული კოვენანტების სიმძიმე. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2011 წელს ამოქმედებული მინიმალური სავალდებულო რეზერვების დიფერენცირებული ნორმები ნასესხები სახსრების ვადიანობის წრილში, ნასესხები სახსრების დაგრძელვადიანებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.



**ცხრილი N 3.5** საბითუმო დაფინანსების წყაროები და მისი დაფარვის გრაფიკი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვე	<1	1—3	3—6	6—12	12—24	24—36	36—60	> 60
<b>ჯამი</b>	<b>5.2%</b>	<b>10.0%</b>	<b>2.5%</b>	<b>7.4%</b>	<b>16.6%</b>	<b>11.5%</b>	<b>30.6%</b>	<b>16.1%</b>
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	2.3%	4.3%	2.0%	6.7%	9.2%	8.3%	12.8%	13.5%
დაკავშირებული კომპანია	0.9%	0.8%	0.2%	0.3%	4.3%	2.6%	0.1%	2.7%
სხვა კერძო კომპანია	2.0%	4.9%	0.3%	0.4%	3.1%	0.6%	17.7%	0.0%

**ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი — LCR**

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა მოქმედი სტანდარტების და ინდიკატორების არაეფექტურობა. ამ პერიოდამდე მიჩნეული იყო, რომ ფინანსურ ბაზრებზე, როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი დაფინანსება პრობლემას არ წარმოადგენდა და ყოველთვის იყო შესაძლებელი საჭირო ლიკვიდობის უზრუნველყოფა უმოკლეს დროში, მცირე დანახარჯებით. თუმცა ფინანსური კრიზისის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ლიკვიდობის მართვის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა საბანკო სისტემის დაცვას ლიკვიდობის შოკისგან და ბაზელის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ახალი მაჩვენებლები, რომლებიც ასტიმულირებდნენ ბანკების მხრიდან სტაბილური დაფინანსების წყაროების გამოყენებას და უზრუნველყოფდნენ ლიკვიდობის ეფექტიან მართვას.

„ბაზელ III-ის“ მიერ რეკომენდირებული ლიკვიდობის მართვის ჩარჩო – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (Liquidity Coverage Ratio – LCR) – ამჟამად საქართველოში დანერგვის პროცესშია. ის ითვალისწინებს ბანკის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ვალდებულებების ვადიანობა, კონცენტრაცია (მათ შორის არარეზიდენტების ქრილში) ლიკვიდური აქტივების ხარისხი, აქტივების ლიკვიდურად გარდაქმნის შესაძლებლობა, დეპოზიტების ვადაზე ადრე დარღვევის შესაძლებლობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ „ბაზელ III-ის“ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი საკმაოდ კონსერვატიულ მიდგომად ითვლება, ქართული ბანკებისათვის მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, რადგან არსებული კანონმდებლობით ისინი აკმაყოფილებენ ლიკვიდობის კოეფიციენტს, რაც მთლიანობაში, „LCR-ზე“ ბევრად უფრო კონსერვატიულია.

**3.2.4 საბაზრო რისკი**

**სავალუტო რისკი**

საქართველოს საბანკო სისტემის მგრძობიარობა სავალუტო რისკის მიმართ მაღალია, რამდენადაც ფინანსური ბაზრის ვალდებულებების სტრუქტურის გათვალისწინებით, სესხების ლარიზაცია ჯერაც დაბალია.

ლარის გაუფასურების შემთხვევაში იზრდება ლევერიჯი, ხოლო კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი უარესდება, რადგან კაპიტალი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული, ხოლო რისკის მიხედვით შენონილი აქტივების დიდი ნაწილი კი უცხოური ვალუტით. ამ პრობლემის გადაწყვეტა სტრუქტურული პოზიციის შექმნით შეიძლება (რაც უცხოური ვალუტის აქტივებისთვის, კაპიტალის უცხოური ვალუტით შენახვას გულისხმობს). გარდა ამისა, ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების დროს ხდება უცხოური ვალუტის აქტივების მიმართ შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვების გადაფასება, ვინაიდან ეს რეზერვები ლარით არის დენომინირებული. აქედან გამომდინარე, აქტივებისა და მათ მიმართ შექმნილი რეზერვების ერთი ვალუტით დენომინირება გამორიცხავს რეზერვების გადაფასებიდან ზარალს. ამასთან, ასეთი მიდგომა გამოიწვევს დოლარიზაციის შემდგომ ზრდას და შესაბამისად, გაუფასურებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მატებას. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესაბამისი ვალუტით ადეკვატური ფორმირება, ასევე იწვევს დამატებით მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე სტრესული ვითარების პერიოდში, რადგან მომატებული რისკების გამო იზრდება რეზერვები, რაც სავალუტო პოზიციის დამოკლებას განაპირობებს და შესაბამისად, ბანკების მხრიდან სავალუტო პოზიციის გასწორებას მოითხოვს.


საქართველოს პარიკულარი ბანკი / წლიური ანგარიში / 2012 წელი



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმარ-

თულებით. თუ არსებული მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ ღია სავალუტო პოზიციას განვიხილავთ, ის საკმაოდ დაბალანსებულია.

**ღიზარაზა N 3.18** საბალანსო და კრეზსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო რისკის შეფასებისას საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებს სტრესტესტებს. სტრესტესტების ჩარჩოს შემდგომი დახვეწისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი ავითარებს მეთოდოლოგიას სადაც შედეგები უკვე მსესხებლების დონეზე იქნება ხელმისაწვდომი (შერჩვის გამოყენებით შედარებით მცირე ზომის სესხების შემთხვევაში). ბუნებრივია აღნიშნული მიდგომა უფრო ზუსტი იქნება, გაითვალისწინებს რა საკრედიტო რისკის ამსახველ კოეფიციენტებს. სტრესტესტების შედეგების ინტენსიური გამოყენება მოხდება ბაზელ II-III-ის ჩარჩოს ფარგლებში.

**საპროცენტო რისკი**

ამჟამად, ქართულ ბანკებს სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები პრაქტიკულად არ გააჩნიათ, ამიტომ საზედამხედველო მიზნებისათვის ბანკების პორტფელზე საბანკო ნივთებისათვის გათვალისწინებული მიდგომები გამოიყენება.

სხვა თანაბარ პირობებში, თუ პროცენტების 300 საბაზისო პუნქტით ზრდის სტრესს დაუშვებთ, ერთი წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მხოლოდ 48 მილიონი ლარი იქნება, ხოლო


საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 17 პროცენტიდან 16.7 პროცენტამდე შემცირდება.

ამასთან საყურადღებოა, რომ საპროცენტო რისკის უფრო ზუსტ შეფასებას რიგი ფაქტორები ართულებს. საკუთრივ, კონკურენციის ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული სესხის წინმსწრებად დაფარვის საკომისიოს 2 პროცენტიანი ლიმიტი, ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე მოზიდული ერთსა და იმავე უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების განსხვავება, ხელშეკრულებებში არსებული ჩანაწერები, როდესაც ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში ბანკებს აქვთ უფლება გადახედონ ხელშეკრულების მიხედვით დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას შესაბამისი ჩარჩოს დახვეწის მიზნით რისკის მატერიალობიდან გამომდინარე, რომელიც ამ ეტაპზე ხელთ არსებული ინფორმაციით მაინც მართვადია.



**ღიაზრამა N 3.19** საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 3.2.5 საოპერაციო რისკი

2012 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა 2011 წელს დასახული საოპერაციო რისკების საზედამხედველო მიზნების განხორციელება, რაც გულისხმობს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დახვეწას და პრაქტიკაში გამოყენებას. მიუხედავად იმისა რომ მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს საოპერაციო რისკების მიმართ საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები, არსებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ მოხდეს არსებული საოპერაციო რისკების სათანადო შემცირება. ამასთან, 2013 წლისთვის გათვალისწინებულია პირველად საოპერაციო რისკების კაპიტალის მოთხოვნების ამოქმედება კომერციული ბანკებისთვის ბაზელ II-ის საბანკო სტანდარტების დანერგვის შესაბამისად.

ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ბაზელ II-ის სტანდარტებზე დაფუძნებული ახალი საოპერაციო რისკების მართვის დებულების პროექტი. ზემოაღნიშნული დებულების სამუშაო ვერსია უკვე დაეგზავნათ კომერციულ ბანკებს და სავარაუდოდ ახალი დებულება 2013 წელს უნდა დამტკიცდეს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საბანკო სექტორის მიერ განეული მომსახურება და კლიენტებისთვის შეთავაზებული პროდუქტები არ ხა-

სიათდება კომპლექსურობით, რაც იმას გულისხმობს, რომ საბანკო მომსახურება/პროდუქტებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკი არ უნდა იყოს მაღალი. მაგალითისთვის, სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების პორტფელი ტრადიციულად მაღალი საოპერაციო რისკის მატარებელია, ხოლო საქართველოში ზემოაღნიშნული მიმართულება კომერციულ ბანკებში პრაქტიკულად განვითარებული არ არის.

#### საოპერაციო რისკების ანგარიშგება

საოპერაციო რისკების ანგარიშგება საქართველოს საბანკო სისტემის მასშტაბით დაინერგა 2011 წლის მე-4 კვარტალში. 2012 წლის მანძილზე პირველად შეგროვდა საოპერაციო რისკების შესახებ ერთი წლის სრული მონაცემები. აღსანიშნავია რომ საოპერაციო რისკების ანგარიშგება ეფუძნება ბაზელ II-ის საბანკო სტანდარტებს და მოიცავს მხოლოდ ფინანსური და არა პოტენციური დანაკარგების აღრიცხვას. არსებულ ეტაპზე, რამდენიმე კომერციული ბანკი, უშუალო ფინანსურ დანაკარგებთან ერთად ასევე აღრიცხავს იმ ზარალსაც, რაც მიუღებელი შემოსავლით არის განპირობებული.

2012 წელს დაფიქსირებული ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების<sup>19</sup> შეფარდება ბაზელ II-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან<sup>20</sup> 0.5 პროცენტს შეადგენდა, თანხობრივად – 5.9 მილიონი

19. იგულისხმება საოპერაციო მოვლენის მთლიანი დანაკარგი, თანხის ყოველგვარ დაზღვევა/ანაზღაურებამდე.


20. მთლიან შემოსავალში იგულისხმება წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამი დათვლილი ბაზელ II-ის მოთხოვნების შესაბამისად საოპერაციო ხარჯების გამოკლების გარეშე.



ლარი. თუმცა, არსებული მონაცემებით, წმინდა დანაკარგი, რაც დანაკარგთან დაკავშირებული თანხის დაზღვევა/დაბრუნების შემდეგ მიღებულ დანაკარგს გულისხმობს, მთლიანი დანაკარგის დაახლოებით 1/4-ს უნდა შეადგენდეს. დაფიქსირდა


საოპერაციო დანაკარგის 6644 მოვლენა. საშუალო დანაკარგის მოცულობა 891.42 ლარით განისაზღვრა. დიაგრამა N 3.20-ზე მოყვანილია 2012 წლის საოპერაციო რისკების მთლიანი დანაკარგების დინამიკა.

**დიაგრამა N 3.20** 2012 წლის საოპერაციო დანაკარგების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 3.21** საშუალო საოპერაციო დანაკარგების დინამიკა - 2012 წელი<sup>21</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საოპერაციო დანაკარგები ძირითადად ფიქსირდება საცალო საბანკო მომსახურების და ასევე გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზში. საცალო საბანკო მომსახ-

ურების ბიზნეს ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც.

21. მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მოვლენათა რაოდენობაზე



**ღიაზრამა N 3.22** 2012 წლის მთლიანი დანაკარგების თანხობრივი გადანაწილება ბიზნეს ხაზების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თანხობრივად, თუ საოპერაციო რისკების დანაკარგების მოვლენათა კატეგორიების მიხედვით ვიმსჯელებთ, დანაკარგების ყველაზე დიდი ოდენობა გარე თაღლითობაზე მოდის (მთლიან მოვლენათა 35.85 პროცენტი). დანაკარგების მეორე ყველაზე მსხვილი კატეგორია შიდა თაღლითობას წარმოადგენს (24.13 პროცენტი), ხოლო სიდიდით მესამე „პროცესების მენეჯმენტი, ტრანზაქციების პროცესინგი და კონტრაგენტები/სავაჭრო მომსახურების პარტნიორები“-ის კატეგორიაში ხვდება (საერთო დანაკარგების 18.05 პროცენტი). ამ ბოლო კატეგორიაში შედის ისეთი მოვლენები, რომლებიც უმეტესწილად ადამიანების, კერძოდ,

თანამშრომლების დაუდევრობა/უყურადღებობას და სავალდებულო ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობისაგან გამომწვეულ დანაკარგებს უკავშირდება.

**ბიზნესის უწყვეტობის მართვა**

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს კომერციულ ბანკებთან ბიზნეს უწყვეტობის მართვის პრინციპების დანერგვაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებას და შესაბამისი ტესტირების ჩატარებას. ბუნებრივია, ბიზნეს უწყვეტობა იმ რისკთა კატეგორიას განეკუთვნება, რისი შემცირებაც მაღალი კაპიტალით შეუძლებელია.

**ღიაზრამა N 3.23** საოპერაციო დანაკარგები მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### აუთოსორსინგი

აუთოსორსინგის ზედამხედველობა კვლავაც პრიორიტეტულად რჩება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის – პროცესი, რომელიც არაერთ შეღავათთან ერთად, დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთანაც. შესაბამისად, იმისათვის რომ მოხდეს ოფშორულ/აუთოსორსინგულ სქემებთან დაკავშირებული რისკების ზომიერ და დასაშვებ ფარგლებში მოქცევა, გრძელდება საქართველოს საბანკო სისტემაში მოცემული სახის რისკების შესწავლა.

### საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე დამოკიდებულება

საქართველოს საბანკო სისტემა, მსოფლიოს მრავალ სხვა საბანკო სისტემების მსგავსად, კრიტიკულად არის დამოკიდებული ეკონომიკის სხვა სექტორებზე. ასეთი სექტორებია: ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერგომომარაგებისა და სატრანსპორტო სექტორები. საქართველოს ეროვნულ ბანკს სურს, რომ დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობები ზემოაღნიშნული სექტორების წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ

განხორციელდეს მოცემულ სექტორებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე რისკების სათანადო მართვა.


### სიზუსტის რისკი

2012 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა კომერციული ბანკების მონაცემთა დამუშავება/ანალიზის სისტემების შემოწმება. სიახლის მხრივ საყურადღებოა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ახალი LCR ანგარიშგებების ფორმების შემოწმება.

### 3.2.6 საბანკო სისტემის მომგებიანობა

საქართველოს საბანკო სისტემა კვლავ მომგებიანია, თუმცა მომგებიანობამ იკლო გასულ წელთან შედარებით. კერძოდ, მოგებამ 2012 წელს შეადგინა 134 მლნ ლარი, როცა 2011 წელს 323 მლნ ლარი იყო. შედეგად, 2012 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებზე შეადგინა 1 პროცენტი, ხოლო უკუგებამ საშუალო კაპიტალზე 6 პროცენტი, რაც მისაღებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლებია.

ღიაბრაზა N 3.24 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წელს მომგებიანობის ცვლილება წინა წელთან შედარებით რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებზე განეული ხარჯების ზრდამ (230 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით) და ასევე ნაწილობრივ, წლის მეორე ნახევარში, სასესხო პორტფელის ზრდის ტემპის შენელებამ მომგებიანობის მაჩვენებლები გააუარესა. კერ-

ძოდ, სესხების წლიური ზრდის ტემპი შემცირდა 23.6 პროცენტიდან (2011 წლის დეკემბერი) 12.9 პროცენტამდე (2012 წლის დეკემბერი), ხოლო აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით შექმნილი რეზერვების ხარჯმა მთლიანი საბანკო სექტორისათვის 2012 წელს შეადგინა 326 მლნ ლარი, მაშინ როცა 2011 წელს იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 78 მილიონი ლარი იყო. აღსანიშნა-




ვია, რომ რეზერვების ზრდა რამდენიმე იდეო-სინკრატული ფაქტორით იყო გამოწვეული. 2012 წელს წინა წელთან შედარებით 18 მლნ ლარით გაიზარდა რეზერვების ფორმირების ხარჯები დასაკუთრებულ ქონებასა და სხვა აქტივებზე. გარდა ამისა, მომგებიანობა შეამცირა იმანაც, რომ 2012 წელს სესხების კლასიფიკაციის გაუმჯობესებისაგან მიღებული შემოსავალი 2011 წელთან შედარებით ნაკლები იყო.

არსებული ზრდის ტემპის პირობებში, საბანკო სისტემის მომგებიანობაზე პოზიტიურად იმოქმედა, როგორც მთლიანად აქტივების ზრდამ,


ასევე მასშტაბის გამო ეფექტიანობის გაუმჯობესებამ. ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს ის, რომ ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 58.6 პროცენტიდან 56.9 პროცენტამდე შემცირდა. მეორე მხრივ, მომგებიანობაზე აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების მატებასთან ერთად, ნეგატიურად მოქმედებდა ის, რომ 2012 წელს შემცირდა საპროცენტო სპრედი, აგრეთვე, ლიკვიდური აქტივების შემოსავლიანობა, — ლიკვიდობის ნაწილის ლარიდან უცხოურ ვალუტაში გადატანისა და ლარის ლიკვიდურ აქტივებზე პროცენტების შემცირების გამო.

ღიაგრამა N 3.25 საპროცენტო სპრედი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ღიაგრამა N 3.26 მომგებიანობის ზრდის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



**ღიაზრამა N 3.27** საბანკო სისტემის წმინდა საოპერაციო მოგება<sup>22</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 3.2.7 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2012 წლის ბოლოსათვის ადეკვატურად არის კაპიტალიზებული. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (კკ1) 13.5 პროცენტს უტოლდება, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტანდარტით განსაზღვრულ ლიმიტზე 5.5 პროცენტული პუნქტით მეტია, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17 პროცენტს აღწევს, რაც 5 პროცენტული პუნქტით აჭარბებს მინიმალურ მოთხოვნას. ანალოგიური მაჩვენებლები ბაზელ 1-ის მიხედვით 18 პროცენტსა და 23 პროცენტს, ხოლო ბაზელ II/III-ის წინასწარი გაანგარიშებების მიხედვით 16 პროცენტსა და 19 პროცენტს უტოლდება. თავისთავად დაბალია მარტივი ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც 16.7 პროცენტს შეადგენს. უფრო მეტიც, აქტივებში ლიკვიდური აქტივების მაღალი ხვედრითი წილის გამო, წმინდა


სესხები/კაპიტალთან კოეფიციენტი მხოლოდ 3.4-ს შეადგენს.

ასევე პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსები, როგორც მთლიანობაში აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. საკრედიტო დანაკარგების შემდგომი მატების შემთხვევაშიც, მაღალი საოპერაციო მოგებისა და ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების შესაბამისად, საკრედიტო დანახარჯების შემცირებით გამოწვეული მომგებიანობის დაბალი მაჩვენებლები უფრო დროებით მოვლენად უნდა შეფასდეს. ამასთან, უკვე პრაქტიკაში ადაპტირებული კონტრციკლური საზედამხედველო პოლიტიკის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სავალუტო რისკის წონის გარკვეული შემცირება, სტრესულ ვითარებაში ასევე პოტენციურ ბუფერად შეიძლება განიხილებოდეს.

22. მოგება დარეზერვებამდე და ერთჯერად (არამუდმივ) შემოსავალ/ხარჯამდე




**ღიაბრამა N 3.28** კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაბრამა N 3.29** სესხების მშპ-თან თანაფარდობის გეპი<sup>23</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 3.3 მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2012 წელი საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით. წლის განმავლობაში შეინიშნებოდა კომერციული ბანკების მხრიდან მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და მათი ფინანსური განათლების დონის ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებების მზარდი ტენდენცია. რამდენიმე კომერციულმა ბანკმა შექმნა სპეციალური ბუკლეტი, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეძღვნება და მასში მომხმარებლისათვის მარტივ და გასაგებ ენაზეა

ახსნილი 2011 წელს ამოქმედებული წესის ძირითადი ასპექტები.

#### მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ჯერ კიდევ 2011 წელს შეიქმნა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების ძირითადი ფუნქცია არის საფინანსო სექტორის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხების მონიტორინგი. გარდა

23. ტენდენცია გამოყვანილია პოდრიკ პრესკოტის ფილტრით


ამისა, განყოფილება უზრუნველყოფს კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების რეგულარულ ანალიზსა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის განთავსებას სპეციალურად მომხმარებლებისათვის შექმნილი მომხმარებლის გვერდზე.

2011 წლის ივნისი – 2012 წლის დეკემბრის პერიოდში ბანკებში სულ დაფიქსირდა 3,853 პრეტენზია, საიდანაც დღემდე განხილულთაგან 49 პროცენტი ბანკებმა საფუძვლიანად მიიჩნიეს და მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, ხოლო 51 პროცენტი უსაფუძვლო აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვებისას მომხმარებლები-

სათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის“ ამოქმედებიდან პირველ რამდენიმე თვეში მომხმარებელთა საფუძვლიანი პრეტენზიები ჭარბობდა უსაფუძვლოს, ხოლო მოგვიანებით – პირიქით, პრეტენზიების მეტი წილი ბანკებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს.

აღნიშნულის ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მომხმარებელთა პრეტენზიების შედეგად კომერციული ბანკების მიერ იდენტიფიცირებული როგორც ტექნიკური, ასევე მომსახურების ხარისხის მხრივ არსებული ხარვეზები დროულად იქნა აღმოფხვრილი.

**ღიაბრაზა N 3.30** კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიები, რომელთა განხილვა დასრულებულია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წელს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში სულ 325 პრეტენზია შემოვიდა, რომელთაგან უმრავლესობა – 190 ტელეფონით დაფიქსირდა, 70-მა მომხმარებელმა ელექტრონული ფოსტით მოგვმართა, მივიღეთ 49 წერილი, ხოლო 16 მომხმარებელი პირადად გვესტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში შემოსული პრეტენზიების რაოდენობა ბანკში დაფიქსირებულ პრეტენზიებთან შედარებით მცირეა, თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება როგორც შესაბამის კომერციულ ბანკთან, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და მომხმარებელს მიეწოდება კვალიფიციური კონსულტაცია.

ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების მიერ რეგულარულად ხორციელდება კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების მონიტორინგი შერჩევის გზით ამოკრებილი პრეტენზიების შესახებ, ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების მთავარ ფუნქციას 2011 წელს ამოქმედებული „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვებისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის“ აღსრულება წარმოადგენს, განყოფილება განიხილავდა და კომპეტენციის ფარგლებში გასცემდა



რეკომენდაციებს ნებისმიერ პრეტენზიასა თუ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებული იყო ზემოხსენებული წესის რეგულირების სფეროს გარეთ არსებულ საკითხებთან: წესით რეგულირებული ლიმიტის ზემოთ ხელშეკრულებები, ბიზნეს სესხები, კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავი ქონებები და ა.შ.

### კრედიტის რეფინანსირება

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2011 წელს შემოღებული სესხის წინმსწრებად დაფარვის საკომისიოს მაქსიმალური, 2-პროცენტის ლიმიტი კვლავ ძალაში იყო და მაღალი კონკურენციის პირობებში ხდებოდა მისი აქტიურად გამოყენება, ფიქსირდებოდა პრეტენზიების შემთხვევებიც.

### მისტიური მომხმარებლის კვლევა

2011 წლის ბოლოს „შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ (SB-FIC) მხარდაჭერითა და პარტნიორობით დაიგეგმა ე.წ. მისტიური მომხმარებლის კვლევა. კვლევის მთავარი მიზანი იყო კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის სამომხმარებლო კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების განევის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების, ასევე, კლიენტის მიერ გამოხატული პრეტენზიის საფუძველზე პრეტენზიის გაცხადების შესაძლებლობისა და მათზე რეაგირების საკითხების შემოწმება. კვლევა ჩატარდა 2011 წლის დეკემბერი – 2012 წლის თებერვლის პერიოდში როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. კვლევის შედეგად შემოწმდა ბაზარზე არსებული ექვსი ბანკის 30 ფილიალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები კომერციული ბანკების მიერ 2011 წელს ამოქმედებული წესის მოთხოვნების დაცვის კუთხით. აღნიშნული დარღვევები მოიცავდა ბანკების მიერ საკუთარი ინიციატივით პროდუქტის ფინანსური ხარვეზებისა და სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის არმიწოდებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკის არასწორ განმარტებას. ასევე, რამდენიმე შემთხვევაში მომხმარებელს არ მიეცა პრეტენზიის წერილობით დაფიქსირების საშუალება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დარღვევებისა, წესის ამოქმედებიდან გასული მცირე პერიოდის გათვალისწინებით, ბაზარზე არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. გარდა

ამისა, აღმოჩენილი ხარვეზები დეტალურად იყო განხილული თითოეულ კომერციულ ბანკთან. შედეგად, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ბანკების მიერ დაიგეგმა და უკვე განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, თანამშრომელთა დამატებითი ტრენინგების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში, გარე კომპანიის გარდა, ეროვნული ბანკის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ, რაც მიღებული და საკმაოდ ეფექტიანი პრაქტიკაა.

### მსოფლიო დაზოგვის დღე

2012 წლის ოქტომბერში საქართველოში პირველად აღინიშნა მსოფლიო დაზოგვის დღე, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიებით 1925 წლიდან აღინიშნება. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდნენ შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ქართული კომერციული ბანკები, საქართველოს ბანკების ასოციაცია და საქართველოს საბანკო ტრენინგ ცენტრი, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკი. სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის შეიქმნა მსოფლიო დაზოგვის დღის ქართული სიმბოლო – „გროვია“ და დაგროვების კულტურისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლი გროვიას მონაწილეობით. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილე ბანკებმა ბავშვებსა და მშობლებზე ორიენტირებულ სხვადასხვა აქტივობებში გამოიყენეს გროვიას სიმბოლიკური ბროშურები, მაისურები და სხვა მარკეტინგული მასალები.

მსოფლიო დაზოგვის დღის ყოველწლიურად აღნიშვნის ტრადიციის დამკვიდრება ფინანსური სექტორისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალებაა.

### სინერგია

აღსანიშნავია, რომ გარდა მისი ძირითადი ფუნქციის შესრულებისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა რისკის იდენტიფიცირებისა და საბანკო ზედამხედველებისათვის მათი გაზიარების კუთხით – მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც განყოფილებისათვის პრეტენზიებიდან, ბანკის სპეციფიკური ანგარიშგებებიდან ხდებოდა ცნობილი. ეს განსაკუთრებით საყურადღებო საცალო საკრედიტო და საოპერაციო რისკების კუთხით იყო.



## 4 არასაბანკო სექტორი



## 4.1 სადაზღვევო სფერო

სანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკის პრიორიტეტი დაზღვევის ზედამხედველობის რეფორმის გაგრძელება იყო. რეფორმების შედეგად ანგარიშგების ახალ სტანდარტებზე გადასვლა და სადაზღვევო კომპანიების რეგულირების თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე გავრცელებული მეთოდების დანერგვა ბაზრის მონაწილეებისათვის არ აღმოჩნდა მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლისთვის სადაზღვევო სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, ეროვნული ბანკი კვლავ განაგრძობდა სისტემატურ მუშაობას სადაზღვევო სფეროს მეტი განვითარებისა და გამართულად ფუნქციონირებისათვის.

მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებულ ძირითად ცვლილებებამდე (2007 წლის ბოლო) არ არსებობდა სადაზღვევო ბაზრის გამართული საზედამხედველო სისტემა და პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა ზედამხედველს სრულფასოვნად განხორციელებინა მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობა. მოქმედი საკანონმდებლო ბაზა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო დონეზე გავრცელებულ სტანდარტებს, ვინაიდან ის მოკლებული იყო შესაძლებლობას განესაზღვრა სრულყოფილი ფინანსური და საანგარიშგებო მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისთვის და მიეცა საკმარისი უფლებამოსილება ბაზრის ზედამხედველისთვის, რომ ამ უკანასკნელს აღესრულებინა კანონმდებლობის მოთხოვნები თავისი კომპეტენციის ფარგლებში. კომპანიების უმრავლესობა არ ადგენდა ფინანსურ ანგარიშგებებს, ვინაიდან არ არსებობდა პერიოდული ფინანსური ანგარიშის წარდგენის საკანონმდებლო მოთხოვნა და ზედამხედველი ითხოვდა მხოლოდ მწირ სტატისტიკურ ინფორმაციას ბაზრის მონაწილეებისაგან; ის ხარვეზები და შეუსაბამობები, რომლებიც დაშვებული იყო სადაზღვევო რეზერვების დათვლის, მათ დასაფარად აუცილებელი ლიკვიდური აქტივების მოთხოვნის, და ე.წ. „კაპიტალის ადეკვატურობის“ წესებში, რთული აღსაქმელი და შესასრულებელი იყო, როგორც ბაზრის მონაწილეებისათვის, ასევე ზედამხედველისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობა წარმოადგენდა ნორმატივე-

ბის კრებულს, რომლის მოთხოვნებიც მხოლოდ ზედაპირულად სრულდებოდა რეგულირებადი სუბიექტებისა და მარეგულირებლის მიერ და არ ეფუძნებოდა იმ ფაქტორების დეტალურ განხილვასა და შესწავლას, რომელიც ესოდენ აუცილებელია სადაზღვევო კომპანიების სრულფასოვანი და გამართული ფუნქციონირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო სადაზღვევო სექტორის ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება. სისტემა საჭიროებდა რადიკალურ ცვლილებებსა და ზედამხედველობის სამსახურში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას. ამის გათვალისწინებით, სადაზღვევო ბაზრის გაჯანსაღების მიზნით, ახალმა ზედამხედველმა (ფინანსური მონიტორინგის სამსახური) საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა სახის რეფორმებსა და ღონისძიებებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ფინანსური ბაზრის ამ მიმართულების რეალური ზედამხედველობის განხორციელება.

დაფიქსირებული დადებითი მაჩვენებლები, განპირობებულია ზედამხედველის მიერ ბოლო წლების განმავლობაში გატარებული ღონისძიებებითა და რეფორმებით. შეიქმნა ძირითადი სადაზღვევო პარამეტრების, სადაზღვევო სახეობების და მათი სწორი დაჯგუფების ამსახველი საცდელი სტატისტიკური ფორმები, საფუძველი ჩაეყარა ახალი სტატისტიკური კვარტალური და წლიური ფორმების შემუშავების პროცესს. სადაზღვევო კომპანიები ყოველკვარტალურად ავსებდნენ დამატებით ფორმებს, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავდა ზედამხედველის ახალი წესებით დადგენილ პარამეტრებს. თუმცა, მიუხედავად მარეგულირებლის დაუზოგავი ძალისხმევისა, სადაზღვევო ბაზრის ერთიან სტანდარტებზე გადაყვანის პროცესი საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა, რადგან პრაქტიკულად არ არსებობდა ქართული სადაზღვევო ბაზრის ზოგადი ქცევის (Business Code) ან რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ასოციაციის ფარგლებში შემუშავებული და ბაზრის ყველა მონაწილის მიერ მიღებული სტანდარტი. შესაბამისად, სადაზღვევო სფეროსთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების არარსებობის პირობებში, ზედამხედველს უწევდა ისეთი ზოგადი პრინციპების განმარტება და დანერგვა, რომლებიც წარმოადგენენ ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელ,



ელემენტარულ წინაპირობას და რომლებიც ჯერაც არ ჰქონდათ გათავისებულ ბაზრის მონაწილეებს, მიუხედავად სექტორის არსებობის ხანგრძლივი პერიოდისა. (მაგ. გამომუშავებული პრემია, რეზერვების ცვლილება, გადამზღვევის წილი რეზერვებში, ზარალიანობის კოეფიციენტი და ა.შ.).

გატარებული რეფორმის შედეგად შემუშავდა წესი, რომელიც იძლეოდა მინიმალური კაპიტალის ფულადი ნაწილის ყოველდღიური ნაშთების კონტროლის საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა აღრიცხვიანობის პრობლემა დამახასიათებელი იყო სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობისთვის, ძალაში შევიდა ახალი წესი, რომელმაც დაადგინა მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო ოპერაციების ამსახველი დეტალური ინფორმაციის შეგროვებისა და კრებსითი ფორმით წარდგენის მიმართულებით.

შემოდებულ იქნა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო ბიზნესისთვის სპეციალურად შექმნილი სტანდარტები. პირველ ეტაპზე სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვათ ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ელექტრონული ფორმით. ახალი ფინანსური ანგარიშგება საგრძნობლად განსხვავდება სადაზღვევო ბაზარზე წლობით ჩამოყალიბებული ფორმატისაგან – მასში აისახა სადაზღვევო რეზერვების დათვლის და ანგარიშგებაში ასახვის ახალი მიდგომა. ამ გარემოების გათვალისწინებით, ზედამხედველი რამდენიმე თვის განმავლობაში ატარებდა ტრენინგებს სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის – ზედამხედველის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ჯგუფი ადგილზე ეხმარებოდა ორგანიზაციებს ახალი ანგარიშგების დანერგვაში.

გასულ წლებში სადაზღვევო სექტორის ზედამხედველობა ეტაპობრივად გადავიდა რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და შემოწმების პრინციპებზე (risk-based inspection and supervision), რამაც 2012 წლისთვის ზედამხედველს შედარებით გაუადვილა იმ ორიენტირი კომპანიისა და მასთან მიმართებაში გასატარებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება, რომელიც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა. გეგმური შემოწმებების სისტემა ჩანაცვლდა კომპანიების პერიოდული შემოწმების სისტემით,

რომელიც ეფუძნებოდა კონკრეტულ კომპანიაში, მისი ანგარიშგების ანალიზისა და შესწავლის შედეგად დისტანციურად დანახულ ხარვეზებს და პრობლემებს. ზედამხედველის მიერ სადაზღვევო ორგანიზაციებში შემოწმებები ძირითადად ტარდებოდა დისტანციურად დანახული პრობლემების საფუძველზე. ამასთან ერთად, ადგილზე შემოწმების დროს გამოიკვეთა ისეთი პრობლემური საკითხები, რომლებიც საფუძვლად დაედო ახალი წესების შემუშავებასა და ამოქმედებას. აღსანიშნავია, რომ ზედამხედველის შეზღუდული უფლებამოსილება სადაზღვევო ბაზრის მონაწილეებისათვის სანქციების დანესებისა და განხორციელების მიმართულებით არაერთ დაბრკოლებას ქმნიდა სადაზღვევო ბაზრის სათანადო რეგულირებისთვის. სხვა მარეგულირებელი ნორმატივების პარალელურად საჭირო გახდა იმ რეგულაციების ცვლილებაც, რომლებიც სადაზღვევო კომპანიების მიერ კანონმდებლობის დარღვევის პროცესში იქნებოდა გამოყენებული და რეგულატორს მომავალი დარღვევის პრევენციისა და აღკვეთის საშუალებას მისცემდა. ამ მიზნით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- განისაზღვრა სადაზღვევო ორგანიზაციის ლიცენზირებისა და ლიცენზიის გაუქმების პირობები/პროცედურა, რაც ცვლილებებამდე რეგულირდებოდა მხოლოდ ლიცენზირების სფეროში არსებული ზოგადი ჩანაწერებით და არ ადგენდა რაიმე სპეციალურ მოთხოვნას სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ერთ ნორმატიულ აქტში თავმოყრილ იქნა ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე მოთხოვნები, როგორცაა მზღვეველის მინიმალური კაპიტალის არსებობა, ზედამხედველის მიერ მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის უშუალო თუ ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;
- დაზუსტდა მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მუხლები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მზღვეველთა ქმედუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის მხრივ;
- ჩამოყალიბდა დარღვევებისა და სანქციების მუხლი, რითაც საშუალება მიეცა რეგულატორს სადაზღვევო ორგანიზაციის ან მისი



- ადმინისტრატორის მხრიდან სადაზღვევო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში თანმიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანმიმდევრულად გამოეყენებინა სხვადასხვა ტიპის და ხასიათის სანქციები, არსებული დარღვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- სადაზღვევო კანონმდებლობის ინოვაციურ ცვლილებას და რეფორმას წარმოადგენდა მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმების განერა, რასაც ცალკე თავი დაეთმო „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნულით რეგულატორს დამატებით საშუალება მიეცა სრულფასოვნად ყოფილიყო ჩართული და ეკონტროლებინა „არაჯანსაღი“/„სახიფათო“ მზღვეველი, წარემართა მისი იძულებითი ადმინისტრაცია, ლიკვიდაცია თუ გაკოტრების საქმე და ამით დაეცვა მომხმარებელთა ინტერესები;
  - სადაზღვევო სფეროს მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტის – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებმა პარალელურად გამოიწვია შესაბამისი ცვლილებები ცალკეულ წესებშიც. აღსანიშნავია, „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი“, რომელიც სადაზღვევო ბაზრის ეფექტური ზედამხედველობის მნიშვნელოვან ბერკეტად იქცა, ვინაიდან, მასში დეტალურად გაიწერა ფულადი ჯარიმების დაწესების პროცედურა და მათი ოდენობები სადაზღვევო ორგანიზაციის მხრიდან კანონმდებლობის, მათ შორის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის დარღვევისათვის. ბოლო წლების განმავლობაში მარეგულირებლის მიერ დაწესებულმა ჯარიმების ჯამურმა ოდენობამ 3.4 მილიონი ლარი შეადგინა;
  - არანაკლებ მნიშვნელოვანია და ამავე მიზანს ემსახურება „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესი“, სადაც თანმიმდევრულად არის განერილი ამ განსაკუთრებულ რეჟიმებთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის, მზღვეველის ლიკვიდაციის და გაკოტრების საქმის პროცესი. ზემოაღნიშნული წესი უკვე პრაქტიკულად იქნა გამოყენებული ლიკვიდაციაში და გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტების მიმართ და ეფექტური აღმოჩნდა მათი კრედიტორების უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
  - მიღებულ იქნა „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლითაც განისაზღვრა სადაზღვევო ორგანიზაციის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობები დაზღვევის სხვადასხვა სახეობებისათვის და გაიწერა მინიმალურ ფულად სახსრებთან დაკავშირებული შეზღუდვები;
  - უმნიშვნელოვანესი იყო „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის წესი“ შემუშავება, რომელმაც სხვა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღიარებულ პრინციპებთან ერთად დაწერა ანგარიშგების ერთიან ფორმატზე გადასვლა ახალი და მოქნილი ელექტრონული ფორმების მეშვეობით;
  - შემუშავდა „მზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის წესი“, რომლითაც განისაზღვრა ჯანმრთელობის დაზღვევის სტატისტიკური ანგარიშის დეტალური ფორმა, რომელმაც საშუალება მისცა რეგულატორს გაეკონტროლებინა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ძირითადი მიმართულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური დეტალები და სტატისტიკური სურათის დანახვის მეშვეობით მიეცა მომავალი ძირითადი ტენდენციების დანახვის შესაძლებლობა. ამასთანავე, დამატებით შემუშავდა ანგარიშგების სხვადასხვა კვარტალური ფორმები, რომლითაც ზედამხედველს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების გადამზღვეველების და კომპანიის მიმართ არსებული სასამართლო დავების შესახებ;
  - დაიხვეწა „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის“ და „სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა



და მათი სტრუქტურის განსაზღვრის“ წესები. ამის შედეგად, მზღვეველს გაუჩნდა საკუთარი საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესი სადაზღვევო ვალდებულებების დასათვლელად დეტალურად განერილი სახელმძღვანელო და საკუთარი ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტი;

- სადაზღვევო ბაზარზე საშუალოდ საქმიანობის დარეგულირებას ემსახურებოდა „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესის“ შემუშავება და მიღება, რომლითაც განისაზღვრა, როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი სადაზღვევო ბროკერის ფილიალის/წარმომადგენლობის საქართველოში საქმიანობის დაწყებისას სავალდებულო რეგისტრაციის პირობები. იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო ბროკერი საფინანსო სფეროს მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს, ახალმა ჩანაწერებმა საშუალება მისცა რეგულატორს ზედამხედველობის მიღმა არ დაეტოვებინა ზემოაღნიშნული სუბიექტი.


2012 წლისთვის საკანონმდებლო ბაზამ განსაზღვრა სადაზღვევო ბაზრის განვითარების არსებული სტადიისათვის რელევანტური, სადაზღვევო საქმიანობაში არსებული საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება. ამასთან, რეფორმების გატარებით მიღწეული შედეგების უნიკალურობა იმაშიც გამოიხატა, რომ საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ პრაქტიკასთან მაქსიმალურად ჰარმონიზაციის პარალელურად, რეგულატორი ცდილობდა სადაზღვევო ბაზრის ქართული რეალობისა და განვითარების მასშტაბების დაკავშირებას ახლად წაყენებულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, ახალი წესების თუ მოთხოვნების წაყენება და განსაზღვრა ხდებოდა ეტაპობრივად და გრძელვადიან პერსპექტივაში ემსახურებოდა ბაზრის მონაწილეების უმტკივნეულო ადაპტირებას ახალი პირობების მიმართ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სადაზღვევო კომპანიების მიერ მარეგულირებლისათვის წარმოდგენილი ანგარიშგებების შევსების ხარისხი. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშგების დახვეწის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა სანქციების მიმართულებით მიღებული სპეციალური ნორმატივი, რომელმაც აიძულა კომპანიები სერიოზულად მოკიდებოდნენ წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხარისხის გაუმჯობესებამ საშუალება მისცა ეროვნულ ბანკს ყოველკვარტალური ანგარიშგებიდან გადასულიყო ყოველთვიურ ანგარიშგებაზე, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დროულად მოხდეს კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და რისკების არსებობის შემთხვევაში - მათი გამოვლენა. აღნიშნული მიზნით, 2011 წლის მიწურულს, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენისა“ და „მზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის“ წესებში. შესაბამისად, 2012 წლიდან ზედამხედველს საშუალება აქვს კომპანიებისგან მიიღოს ანგარიშგებები წესებში შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

ერთ-ერთ პროგრესულ ცვლილებად შეიძლება განიხილოს ციფრული ხელმოწერით დამოწმებულ ელექტრონულ ანგარიშგებებზე გადასვლა, რამაც საგრძნობლად გაამარტივა ანგარიშგებების, როგორც მონოდების, ისე მარეგულირებლის მიერ მათი შემოწმების პროცესი. 2011-2012 წლების განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ქმედებები განახორციელა ბაზრის მონაწილეებისათვის ზემოაღნიშნული კომფორტის და ანგარიშგების წარმოდგენის გამარტივების კუთხით და შესამჩნევად მარტივი გახადა, როგორც რეგულირებად მონაწილეებთან ურთიერთობა, ასევე სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცედურების გვერდის ავლა.




**ღიაზრამა N 4.1** მოზიდული პრემიის ოდენობის დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაზრამა N 4.2** მზღვეველების ფინანსური მდგომარეობა წლების მიხედვით და პროცენტული ზრდა<sup>24</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობის (ე.წ. საბანკო გარანტიების) რისკიანობიდან გამომდინარე, პერიოდულად ხორციელდებოდა პროდუქტის ანალიზი, შედეგად შემუშავდა და დაწესდა შეზღუდვები აღნიშნული სახეობის მიმართ, რაც გულისხმობს მზღვეველის მიერ აღებული ვალდებულების ზღვრულ თანაფარდობას საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში. „მზღვეველის

სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის წესში“ შევიდა ცვლილებები და აღნიშნულ წესს დაემატა ახალი ფორმა, რომლის წარმოდგენის ვალდებულება დაეკისრათ მზღვეველებს ყოველთვიურად. შედეგად შესაძლებელი გახდა ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში დაწესებული შეზღუდვების მონიტორინგი.

24. 2012 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 2011 წლის მონაცემების კორექტირება და წინა წლის მონაცემები წარმოდგენილია კომპანიების მიერ მოწოდებული განახლებული ოდენობებით




2009 წლის ბოლოდან დაიწყო სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჯანმრთელობის დაზღვევა, (დაზღვეულთა რაოდენობა 2010 წლის ბოლოსთვის შეადგენდა – 983 242, 2011 წლის ბოლოსთვის – 938 927, ხოლო 2012 წლის ბოლოსთვის 1 386 760 ადამიანს). ეს პროგრამა აგრეთვე მოიცავდა სადაზღვევო კომპანიების მიერ გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასაც. ამ პროგრამამ საშუალება მისცა სადაზღვევო ბაზარს მნიშვნელოვნად განვითარებულიყო ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, მოეზიდა დამატებით

კვალიფიციური პერსონალი, გაეუმჯობესებინა მომსახურების ხარისხი.

გარდა ზემოაღნიშნული პროექტებისა, სადაზღვევო კომპანიებმა (ძირითადად შვილობილი კომპანიების მეშვეობით), ააშენეს 49 სამედიცინო დაწესებულება, რისთვისაც განახორციელეს მასშტაბური ინვესტიციები (დაახლოებით 100 მლნ ლარი) ჰოსპიტალურ სექტორში. მიუხედავად განხორციელებული ინვესტიციებისა, ჯამურად სადაზღვევო სექტორმა გაუძლო ზემოთაღნიშნულ მნიშვნელოვან გამოწვევებს და აგრძელებს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობას.

**ღიპარამა N 4.3** სადაზღვევო შემოსავალი და დამდარი სადაზღვევო ზარალი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 15 სადაზღვევო კომპანია მოქმედებდა, საიდანაც 11 ახორციელებს როგორც არასიცოცხლის, ისე სიცოცხლის დაზღვევას, ხოლო დანარჩენი 4 მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევას. კომპანიების სადამფუძნებლო სტრუქტურა საკმაოდ დივერსიფიცირებულია: ორი მზღვეველი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანიის ფილიალს, 3 სადაზღვევო კომპანიას 100 პროცენტით ფლობს არარეზიდენტი დამფუძნებელი, 2 სადაზ-

ღვევო კომპანიაში არარეზიდენტი დამფუძნებელი ნაწილობრივ მონაწილეობს, ხოლო 8 სადაზღვევო კომპანია 100 პროცენტით წარმოადგენს რეზიდენტების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას. გარდა ამისა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულ სადაზღვევო ბროკერთა რაოდენობამ 15 შეადგინა, საიდანაც 7 ბროკერი 2012 წელს დარეგისტრირდა.

2012 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ გაფორმებული პოლისების რაოდენობა 3.5 მილიონს შეადგენს და წინა წლის მონაცემთან შედარებით 34 პროცენტით არის გაზრდილი, აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია ახალი



სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებით. მისი წილი მთლიანად გაფორმებულ პოლისებში 26.8 პროცენტია.

უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული პოლისების მთლიან რაოდენობაში მაღალი პროცენტული წილი, სამედიცინო დაზღვევის შემდეგ (69.1 პროცენტი), სიცოცხლის დაზღვევაზე მოდის (14.4 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის დაზღვევაში დიდ წილს სამედიცინო დაზღვევასთან კომბინირებული პოლისები მოიცავს.


2012 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ 537.8 მილიონი ლარი შეადგინა. მოზიდული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაცია (5 წამყვანი მზღვეველი) 65.3 პროცენტს შეადგენს, რაც 2011 და 2010 წლების მაჩვენებლებთან შე-

დარებით, შესაბამისად 6.4 და 13.0 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დაზღვევის უმეტეს სახეობებში წინა წელთან შედარებით შეინიშნება მოზიდული სადაზღვევო პრემიის ზრდა, და ჯამში მოზიდული პრემიის ოდენობა 2011 წლის მონაცემთან შედარებით 58 პროცენტით გაიზარდა.

2012 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიის 70.7 პროცენტი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, სადაც 2/3-ს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის სხვადასხვა პროგრამა შეადგენს. მეორე ადგილი მოზიდულ პრემიაში ქონების დაზღვევას უჭირავს 10.3 პროცენტული წილით, ხოლო შემდეგ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა მოდის 5.8 პროცენტით.

**ღიაგრამა N 4.4** სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა მოზიდული პრემიის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადაზღვევო კომპანიების პერიოდის სადაზღვევო შემოსავალი (გამომუშაებული სადაზღვევო ნეტო პრემია) 2012 წელს 333 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო პერიოდის დამდგარი ნეტო სადაზღვევო ზარალი 271.5 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2011 წლის შესაბამის მაჩვენებლებს 25 და 28 პროცენტით აღემატება. როგორც მოზიდული პრემიის, ასევე სადაზღვევო შემოსავლის ძირითად ნაწილს სამედიცინო დაზღვევა წარმოადგენს 79.5 პროცენტით. რაც შეეხება დამდგარ ნეტო სა-

დაზღვევო ზარალს, სამედიცინოს წილი აღნიშნულ პარამეტრში 90 პროცენტს აჭარბებს.

ზარალიანობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლით შეიძლება გამოვყოთ სამედიცინო დაზღვევა (93.4 პროცენტი). აღნიშნული სახეობა, მოცულობიდან გამომდინარე, შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს მთლიანად სადაზღვევო ბაზრის ზარალიანობის მაჩვენებელზე, რომელიც თავის მხრივ 81.5 პროცენტს წარმოადგენს.

**ღიაბრაზა N 4.5** სადაზღვევო შემოსავალი და სადაზღვევო ზარალი წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადაზღვევო კომპანიების მიერ 2012 წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალის მთლიანმა მოცულობამ 264.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 19 პროცენტით აღემატება 2011 წლის შესაბამის მონაცემს.

2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მზღვეველების მიერ გადაზღვევაზე განეული ხარჯი 70.9 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება გადაზღვევის პრემიას, მისი ოდენობა 75.7 მილიონ ლარს შეადგენს და გასულ წელთან შედარებით 15.6 პროცენტით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ გადაზღვევის წილი სადაზღვევო ვალდებულებებში, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 74 პროცენტს შეადგენს.

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირების დროს აღებულია მხოლოდ წლის ბოლოს მოქმედი კომპანიების ანგარიშგებები, შესაბამისად მათშივეა ასახული იმ კომპანიების საქმიანობის შედეგები, რომლებმაც წლის განმავლობაში შეწყვიტეს ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე განსხვავდება რიგი მონაცემები ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშგებებში.

საანგარიშო პერიოდში, სადაზღვევო ბაზრის საინვესტიციო შემოსავალმა 11.9 მლნ ლარი, წმინდა საკომისიო ხარჯმა 1.3 მლნ ლარი, ადმინისტრაციულმა და სხვა საოპერაციო ხარჯმა 55.6 მლნ ლარი, ხოლო ფინანსურმა ხარჯმა 9.7 მლნ ლარი შეადგინა.




ფინანსური მაჩვენებლების შეჯერების შემდეგ 2012 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 7.3 მლნ ლარი.

2012 წელს საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი (Operating ratio) შეადგენს 98.7 პროცენტს. საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტის დაანგარიშებისას გამოყენებული პარამეტრებია: ზარალიანობის კოეფიციენტი 83.5 პროცენტი, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების კოეფიციენტი (Expence ratio) 22.0 პროცენტი და უკუგება ინვესტიციებიდან (Return on investment) 6.8 პროცენტი.

სადაზღვევო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 630.2 მლნ ლარს, რაც გასულ წელთან შედარებით 25.7 პროცენტით არის გაზრდილი. სადაზღვევო კომპანიების აქტივებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს: სადაზღვევო მოთხოვნებს – 255.2 მლნ ლარი, ფულად სახსრებს და დეპოზიტებს – 105.6 მლნ ლარი და ინვესტიციებს შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში – 96.8 მლნ ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 21.2 მლნ ლარით.

ღიაბრაზი N 4.6 აქტივების სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მზღვეველების საბალანსო ვალდებულებების საერთო მოცულობა 2012 წლის ბოლოს შეადგენს 510.9 მლნ ლარს, რაც 23.9 პროცენტით აღემატება გასული წლის მონაცემს. სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სადაზღვევო ბრუტო რეზერვების მონაცემს – 382.1 მლნ ლარი და ფინანსურ ვალდებულებებს – 64.3 მლნ ლარი.

სადაზღვევო კომპანიების ჯამურმა კაპიტალმა 2012 წლის ბოლოს შეადგინა 119.3 მლნ ლარი, რაც 33.8 პროცენტით აღემატება გასული წლის მონაცემს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის განმავლობაში მზღვეველების სააქციო და საემისიო კაპიტალის ჯამი (დამფუძნებლების მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიცია) 40 მლნ ლარით არის გაზრდილი.



**ღიზრება N 4.7** მზღვევლების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2011-12 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## 4.2 საპენსიო სქემები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო ბაზარზე რეგისტრირებულია სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფუძნებული 6 საპენსიო სქემა, საიდანაც მხოლოდ 2 საპენსიო სქემა ახორციელებს აქტიურად საპენსიო დაზღვევას. აღნიშნულ საპენსიო სქემებში მონაწილეთა რაოდენობამ 2012 წლის დასასრულს შეადგინა 18 397 მოქალაქე. 2012 წელს საპენსიო სქემების მონაწილეების მიერ განხორციელებულმა საპენსიო შენატანების ჯამურმა ოდენობამ 2.4 მილიონი ლარი შეადგინა. საპენსიო სქემების ჯამური ვალდებულებები საპენსიო სქემების მონაწილეების მიმართ 2012 წლის 31 დეკემბრისათვის 11.3 მილიონ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 19 პროცენტით არის გაზრდილი.

## 4.3 ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2012 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისა და ზედამხედველობის პროცესი ბოლო წლებში ამ სფეროს მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით მიმდინარეობდა.

2007 წლის ივლისში ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ლიკვიდაციის შემდეგ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კომპეტენციაში გადავიდა. დაიწყო რადიკალური ცვლილებები, როგორც საკანონმდებლო ბაზის შეცვლის და მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების კუთხით, ასევე რეგულირების პრინციპების მოდერნიზაციის თვალსაზრისით. იმ დროისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზისა და შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოქმედი



ნორმატივები არათუ შეუსაბამო და არარელევანტური იყო ბაზარზე არსებულ რეალობასთან მისი განვითარების სტადიიდან გამომდინარე, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ბაზრის რეგულირებას და წარმოადგენდა ე.წ. „უმოქმედო კანონმდებლობის“ ნაკრებს. საჭირო იყო დარგის მყისიერი რეფორმა და იმ მიდგომების შეცვლა, რომლებიც მონოპოლიურ მდგომარეობაში აყენებდნენ ბაზრის ზოგიერთ მონაწილეს, მეორეს მხრივ, აკისრებდნენ გაუმართლებლად ზედმეტ ვალდებულებას ინვესტორებს და ამით ხელს უშლიდნენ ბაზრის განვითარების პროგრესირებას.

საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების პროცესი 2007-2008 წლების განმავლობაში განხორციელდა. ცვლილებების მიზანი იყო არსებული კანონმდებლობის დახვეწა, უმოქმედო და ზედმეტი ვალდებულებების მქონე მოთხოვნების გაუქმება და განვითარების დაბალ სტადიაზე მყოფი ბაზრისა და მისი მონაწილეებისათვის შედარებით ლიბერალური კანონმდებლობის შეთავაზება, რაც, თავის მხრივ, ნაახალისებდა კომპანიების შემდგომი განვითარების და წინსვლის პროცესს.

საფონდო ბაზრის რეგულირებაში განხორციელებულ რეფორმებამდე, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დასაშვები იყო მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე. მოქმედი კანონმდებლობა აბსოლუტურად უგულვებელყოფდა ინვესტორის დამოუკიდებელ შესაძლებლობას, ბროკერის ან/და საბროკერო კომპანიის შუამავლობის გარეშე განხორციელებინა ფასიანი ქაღალდებით გარიგება. შესაბამისად, ინვესტორის ნების მიუხედავად, შეუძლებელი იყო გარიგების დადება ბროკერის გვერდის ავლით, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო დაინტერესებული მხარის მიერ გასაწევ ზედმეტ დანახარჯთან და სხვა აუცილებლობას მოკლებულ ქმედებებთან. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ერთადერთ პლატფორმად საფონდო ბირჟა განიხილებოდა. გარიგების მხარეები, მათი კონტრაქტორი საბროკერო კომპანიების მეშვეობით მხოლოდ საფონდო ბირჟაზე ყიდულობდნენ/ყიდდნენ ფასიან ქაღალდებს, რაც ასევე გარკვეულ სირთულეებს წარმოშობდა ინვესტორებისთვის. ცვლილებების განხორციელების შემდეგ ინვესტორს მიეცა შესაძლებლობა, თავისი

ნებისა და შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა, დასჭირდებოდა თუ არა მას კვალიფიციური საბროკერო კომპანია შუამავლის სახით და რამდენად სურდა გარიგების საფონდო ბირჟაზე დადება. ამავე დროს, რაიმე შესაძლო უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობით განისაზღვრა ე.წ. ფიქსინგის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფდა ბირჟის სავაჭრო სისტემაში განთავსებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის სისტემატიზაციას და „ორმაგი გარიგებების“ მცდელობის თავიდან აცილებას.

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ბაზარზე კონკურენციის დამკვიდრების კუთხითაც გადადგმული ნაბიჯები: ცვლილებებამდე დასაშვები იყო მხოლოდ ერთი საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის არსებობა. კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა კი შესაძლებელი გახადა ყველა დაინტერესებული მხარე გამხდარიყო ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების ლიცენზიის მაძიებელი და დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში განხორციელებინა შესაბამისი საქმიანობა.

ამავე პერიოდში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა ჩანაწერები, რომლებიც ბევრად უფრო ამარტივებდნენ ზედამხედველობასა და რეგულირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება განესაზღვრა იმ აღიარებულ ბირჟათა ნუსხა, რომელთა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორები სანდო რეპუტაციით სარგებლობდნენ და იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ფასიანი ქაღალდები აღნიშნულ ბირჟებზე უკვე ივაჭრებოდა, საქართველოში მათ სავაჭროდ განთავსებას აღარ დასჭირდებოდა დამატებითი ნებართვა. მოგვიანებით (2010 წელი) აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შეიქმნა კანონქვემდებარე ნორმატივი, რომლითაც განისაზღვრა აღიარებული ბირჟების ნუსხა და ამ ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში განთავსებისთვის დადგინდა მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ ამ ფასიან ქაღალდებზე ინფორმაციის მოპოვებას გულისხმობდა. 2012 წელს ახალმა წესმა უკვე გამოიწვია ინტერესი საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან და

დაიწყო რიგი მოლაპარაკებები ალიარებულ ბირჟებზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტებთან საქართველოს ბაზრით დაინტერესებისა და მომავალი პარტნიორობის თაობაზე.

2009-2010 წლებში კანონმდებლობაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებების შემდეგ, აქცენტი კანონქვემდებარე აქტების სრულყოფას დაეთმო. ბაზრის თითოეული მონაწილე ეტაპობრივად გადავიდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე და მიუხედავად დასაწყისში არსებული სირთულეებისა, ამ ეტაპისთვის შესაძლებელი გახდა ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობის ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება. ანგარიშების სრულყოფისა და დახვეწის მიმართულებით კონსულტაციები დღესაც გრძელდება.

2009 წლიდან აქტიურად ვთანამშრომლობთ ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციასთან (ANNA). ადრე მოქმედი წესი ახლად ემიტირებულ ფასიან ქაღალდებს მხოლოდ ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს ანიჭებდა. საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები ეროვნული ნომრით ვერ განთავსდებოდა სხვა ქვეყნების ბირჟებზე სავაჭროდ და ემიტენტები, იძულებულნი ხდებოდნენ საქართველოში ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ მიემართათ უცხოეთში მყოფი ასოციაციის წარმომადგენლებისათვის საერთაშორისო ნომრის მისაღებად. 2011 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ფასიანი ქაღალდებისთვის ნომრის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანო, გახდა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციის პარტნიორი. პარტნიორობის თაობაზე გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ეროვნულ ბანკს მიენიჭა საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრების გაცემის უფლებამოსილება. ამავე ორგანიზაციის დახმარებით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ნომრების მინიჭება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისთვისაც. შემოღებული იქნა ფასიანი ქაღალდის მაიდენტიფიცირებელი ახალი ნომერი CFI, რომელიც უფრო დეტალურად აღწერს ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის მახასიათებლებს და თვისებებს.

დღეისათვის ეროვნულ ბანკს აქვს წვდომა ორგანიზაციის საინფორმაციო ბაზასთან, რომლის მეშვეობითაც პერიოდულად ხდება იმ ინფორმაციის განახლება, რომელიც უკავშირდება ქართული

ფასიანი ქაღალდების ნომრების მინიჭებას, ცვლილებას და გაუქმებას.

რეგულირების პროცესში გამოვლინდა ხარვეზები კანონმდებლობაში. კოლიზიური ასპექტები, რომლებიც უკავშირდებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენებას სუბიექტების დაჯარიმების დროს, ვერ უზრუნველყოფდა ეროვნული ბანკის უფლებამოსილების სრულყოფილად გამოყენებას. 2012 წელს ძალაში შევიდა ახალი ნორმატიული აქტი, რომელმაც განსაზღვრა ბაზრის მონაწილეების მიერ შესაძლო დარღვევების ნუსხა და ის ზომები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული დარღვევების დროს.

2011-2012 წლებში დაიწყო ანგარიშვალდებულ საწარმოებთან დაკავშირებული პროექტის განხორციელება. პრობლემას წარმოადგენს მოქმედი საწარმოების მხოლოდ ფორმალური ანგარიშვალდებულება, რაც 90-იანი წლების პრივატიზაციის შედეგით არის გამოწვეული. აღნიშნული საწარმოები განკერძოების შედეგად გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად, მათი ფასიანი ქაღალდები კანონის ძალით და ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე განთავსდა საფონდო ბირჟაზე, ხოლო პრივატიზაციის გეგმა მიჩნეულ იქნა ემისიის პროსპექტად. საწარმოების უმრავლესობა არ ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით და არ ატარებს იმ კლასიკურ ფუნქციას, რომელსაც საჯარო კომპანიები ითავსებენ. 2010 წელს ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც ანგარიშგებისგან თავისუფლდებოდნენ ის კომპანიები, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ ნავაჭრი საფონდო ბირჟაზე, ჰყავდათ 50-ზე ნაკლები აქციონერი, ან რომელთა საქმიანობაც იყო შეჩერებული, ასევე ის კომპანიები რომლებიც იმყოფებოდნენ გადახდისუუნარობის ან/და რეაბილიტაციის რეჟიმში. 2012 წელს საქართველოს მთავრობასთან ერთად დაიგეგმა პროექტი, რომელიც გარდა ზემოაღნიშნული პრივილეგიებისა გაითვალისწინებდა ანგარიშვალდებულ საწარმოთა სტატუსის მოხსნას მათი საქმიანობის, აქტიურობის, ფინანსური მდგომარეობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ბოლო წლების განმავლობაში დაინერგა ინფორმაციის/ანგარიშების წარმოდგენის ელექტრონული პრაქტიკა, 2012 წლისთვის შეიქმნა სრულყოფილი ელექტრონული რეესტრი იმ საწარმოების, მათი



აქციონერების და წილობრივი მონაწილეობის ცვლილების შესახებ, რომელსაც ეროვნულ ბანკში პერიოდულად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

2012 წლის განმავლობაში დამტკიცდა 2 სანარმოს ემისიის პროსპექტი. სს „თელასმა“ გამოუშვა 31 281 532 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, ხოლო სს „ლიბერთი ბანკმა“ 10 000 000 ცალი პრივილეგირებული აქცია 0.01 ლარის ნომინალური ღირებულებით. სს „ლიბერთი ბანკის“ აქციების შეთავაზების დასრულება 2013 წლის ივნისში იგეგმება.

2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობას ეწეოდა 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენ-

ტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია და 2 რეგისტრატორი. 10 საბროკერო კომპანიიდან 3 არ იყო საფონდო ბირჟის წევრი. რეგისტრატორების მიერ ინარმოებოდა 651 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი.


2012 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 46.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 4 პროცენტით აღემატება წინა წლის მონაცემს. 25 პროცენტით გაიზარდა და 17.6 მლნ ლარი შეადგინა ვალდებულებების საერთო მოცულობამ. კაპიტალის საერთო მოცულობამ 29 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2011 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 5 პროცენტით არის შემცირებული.

**ცხრილი N 4.1** საბროკერო კომპანიების აქტივობა (2012წ)

საბროკერო კომპანიის დასახელება	გარიგების რაოდენობა	მოცულობა	სესხის რეზერვი
სს „ბი ჯი კაპიტალი“	319	49,049,326	728,245,157
შპს „ლიბერთი სიქიურიტიზ“	163	6,014,323	117,276
სს საბროკერო კომპანია „კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“	41	1,007,735	38,789
შპს „თბილისტერკაპიტალი“	16	342,735	21,000
შპს „ქართუ ბროკერი“	2	100,195	5,875
შპს „თიბისი ბროკერი“	4	17,103	1,130
შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“	-	-	-
შპს „მენა ფაინანშიალ სერვისის ენდ ტექნოლოჯის“	-	-	-
შპს „სტოქს“	-	-	-
შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +“	-	-	-
შპს „კაუკასუს ფაინანშიალ სერვისის“	-	-	-
<b>სულ</b>	<b>545</b>	<b>56,531,417</b>	<b>728,429,228</b>

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა

**ღიაზრამა N 4.8** საბროკერო კომპანიების მთლიანი აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის მონაცემები 2007-2012




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სისტემაში დაშვებული იყო 133 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების გარიგებათა საერთო ოდენობამ 735.6 მლნ ლარი შეადგინა (59 მლნ ცალი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიაზე დაიდო 8.8 მლნ ლარის გარიგება, ხოლო ბირჟის გარეთ 726.7 მლნ ლარის გარიგება. დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო მოცულობაში, რეგისტრატორების მიერ ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა მოცულობას 9 პროცენტი, ხოლო ღირებულებას 43 პროცენტი უჭირავს (მოცულობით – 8 მლნ ცალი, ღირებულებით – 7 მლნ ლარი).

საბროკერო კომპანიების მიერ ბირჟაზე დადებულ და დაფიქსირებულ გარიგებათა ღირებულებამ 728.4 მლნ ლარი შეადგინა.

2011 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ფასიანი ქაღალდებით დადებულ გარიგებათა ღირებულება 38-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოცულობა 1.73-ჯერ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ბირჟაზე განხორციელებული გარიგებების ოდენობა შეადგენდა 339-ს, ხოლო არასაბირჟო გარიგებებისა 538-ს, რაც მეტყველებს ბაზრის მონაწილეების მხრიდან არასაბირჟო გარიგებებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე.

**ღიაზრამა N 4.9** ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 2007-2012




წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა

**ცხრილი N 4.2** კრებსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით (2011-2012 წწ)

წელი	გარიგებების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების მოცულობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
	2012	2011	2012	2011	2012	2011
საბირჟო	339	860	9,950,399	12,077,996	8,847,355	2,503,704
არასაბირჟო	538	421	49,101,717	90,352,271	726,721,480	16,840,554
<b>სულ</b>	<b>877</b>	<b>1,281</b>	<b>59,052,116</b>	<b>102,430,267</b>	<b>735,568,835</b>	<b>19,344,258</b>

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა


**ღიაზრამა N 4.10** საბირჟო და არასაბირჟო გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა


2012 წელს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული იყო 17.4 მლნ ფასიანი ქაღალდი და 22.6 მლნ ლარის ფულადი სახსრები.

**ღიაზრამა N 4.11** დეპონირებული ფასიანი ქაღალდები (2012 წ)




წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი

**ღიაზრამა N 4.12** ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდების ბრუნვა წლების მიხედვით (2008-2012)




წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი

**დიაგრამა N 4.13** დეკონირებული ფულადი სახსრები (2012<sup>6</sup>)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი

**დიაგრამა N 4.14** ცენტრალურ დეპოზიტარში დეკონირებული ფულადი სახსრების ბრუნვა წლების მიხედვით (2008-2012)




წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი



**დიაგრამა N 4.15**


კრედიტული ინფორმაცია 2012 წლის განმავლობაში დადებული გარიგების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებლის შესახებ ემიტენტების მიხედვით



■ საქართველოს ბანკი: 727,146,505 ლარი  
■ სხვა: 8,422,331 ლარი

**დიაგრამა N 4.16**


2012 წლის განმავლობაში არასაბიზნოსო გარიგებების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებელი ემიტენტების მიხედვით



■ საქართველოს ბანკი: 718,488,379 ლარი  
■ სხვა: 8,233,101 ლარი

**დიაგრამა N 4.17**

2012 წლის განმავლობაში სავაჭრო სესიებზე დადებული გარიგებების ღირებულებათა პროცენტული მაჩვენებელი ემიტენტების მიხედვით



■ საქართველოს ბანკი: 8,658,126 ლარი  
■ ლიბერთი ბანკი: 131,527 ლარი  
■ სხვა: 57,702 ლარი

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა


**4.4 სხვა ფინანსური ინსტიტუტები**

2012 წლის 31 დეკემბრისათვის საფინანსო სფეროს სხვა მონაწილეებს წარმოადგენდა 18 საკრედიტო კავშირი, 62 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 964 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და 34 ფულადი გზავნილების განმასხორციელებელი პირი.

2012 წლის ბოლოსთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2011 წლის მონაცემებთან შედარებით 53 პროცენტით გაიზარდა და 678.9 მლნ ლარი შეადგინა. 61 პროცენტით გაიზარდა და 508,3 მილიონი ლარი შეადგინა მთლიანმა ვალდებულებებმა, ხოლო მთლიანი კაპიტალის ოდენობამ 170.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33 პროცენტით იზარდა შედეგად.




**ღიაზრამა N 4.18** მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებების დინამიკა აქტივებთან მიმართებაში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი აქტივების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს წმინდა სესხები.

**ღიაზრამა N 4.19** სესხების ზრდის დინამიკა აქტივებთან მიმართებაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი საკრედიტო პორტფელი 2011 წლის მონაცემთან შედარებით გაიზარდა 48.7 პროცენტით და 518.5 მლნ ლარი შეადგინა იგი ძირითადად წარმოდგენილია სამი სექტორით:

1. ვაჭრობა და მომსახურება – 139.5 მლნ ლარი (პორტფელის 27 პროცენტი);
2. სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა – 143.2 მლნ ლარი (პორტფელის 27.6 პროცენტი);
3. სამომხმარებლო სესხები – 176.9 მლნ ლარი (პორტფელის 34.1 პროცენტი).

**ღიაბრამა N 4.20** მთლიანი პორტფელის სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პერიოდების მიხედვით აქტივების ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ვალდებულებების მატებით, რაც ძირითადად არარეზიდენტი

საფინანსო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრების აკუმულირებით არის გამოწვეული.

**ღიაბრამა N 4.21** ნასესხები სახსრების სტრუქტურა, არარეზიდენტი ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მოზიდული რესურსების დინამიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია, რომ 2012 წელს გარკვეულწილად გაიზარდა ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების წილობრივი მაჩვენებელი. სხვა ნასესხები სახსრები ძირითადად წარმოდგენილია რეზიდენტი ბანკებიდან მოზიდული სახსრებით.

ზემოაღნიშნული პარამეტრების ზრდა, ბაზრისათვის შეთავაზებულ პროდუქტებზე არსებული მაღალი მარჟების ფონზე, პირდაპირპროპორციულად აისახა სისტემის მომგებიანობის მაჩვენებლებზე (ROE, ROA).



**ღიაგრამა N 4.22** მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები (ROE, ROA)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი სისტემატურად მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც მიზნად ისახავს ამ სექტორის

განვითარებას და მისი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწას.



# 5 საგადახდო სისტემები



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2010-2011 წლებში გატარებული რეფორმის შედეგად ქვეყანაში დაინერგა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ახალი სისტემა (GPSS), მართვის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მექანიზმებით. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, ქვეყანაში განხორციელებული ბანკთაშორის ანგარიშსწორება შესრულდეს კიდევ უფრო უსაფრთხოდ და სწრაფად. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა საგადახდო სისტემების ფუნქციონირებისა და საგადახდო მომსახურების განხორციელებისათვის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით. კერძოდ, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“. აღნიშნული კანონით საგადახდო ბაზრის ყველა მონაწილისათვის განისაზღვრა ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო მათი საქმიანობის განხორციელებისათვის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი როგორც სისტემური, ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკების მართვის მხრივ. მიღებული კანონი შესამჩნევად აძლიერებს მომხმარებელთა დაცვის მექანიზმებს საგადახდო მომსახურების ურთიერთობებში. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა საგადახდო ინსტრუმენტებით (მათ შორის საგადახდო ბარათებით) განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხების დარეგულირება. ასეთი ტრანზაქციებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება კანონის მიღებამდე ხორციელდებოდა პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების და აგრეთვე საერთაშორისო საბარათე სისტემების წესებისა და პროცედურების მიხედვით. შესაბამისად არ არსებობდა ერთიანი მიდგომა უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების მხრივ.

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსა-


ხურების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა, რომ „გადამხდელი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა“ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიყენებული ზარალი გამოწვეულია გადამხდელის (მომხმარებელი) დანაშაულებრივი ქმედებით ან ამავე კანონით განსაზღვრული საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების დაუცველობით. კერძოდ, მომხმარებელი ვალდებულია საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის თაობაზე თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან ამ პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ პირს. ამ შეტყობინების შემდეგ მომხმარებელი სრულად თავისუფლდება მიყენებული ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან, ხოლო ამგვარ შეტყობინებამდე წარმოშობილ ზარალს 100 ლარის ზემოთ ანაზღაურებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.

#### **RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციების სტატისტიკა**

2012 წლის განმავლობაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემაში განხორციელდა 11.2 მლნ გადახდის ოპერაცია, თანხობრივი მაჩვენებლით 126 მილიარდი ლარი. გადარიცხვების ბრუნვის საშუალო დღიური მაჩვენებელი შეადგენდა 44.3 ათას საბუთს, თანხობრივად 498.9 მლნ ლარს. 2011 წელთან შედარებით RTGS სისტემაში გადარიცხვების რაოდენობა გაიზარდა 889 ათასით (8.7 პროცენტით), ხოლო თანხობრივი მაჩვენებელი გაიზარდა 44.7 მილიარდი ლარით (55.3 პროცენტით).




**ღიაბრაზა N 5.1** RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2012 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიაბრაზა N 5.2** RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2002-2012 წელი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

RTGS სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს როგორც მაღალი თანხობრივი მოცულობის, ასევე მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების კუთხით. 2012 წელს ეროვნული ბანკის RTGS სისტემით დამუშავდა საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების საერთო ბრუნვის (თანხობრივი სიდიდის) 72.3 პროცენტი. აღნიშნული სულ მცირე 4-ჯერ აღემატება უნაღლო გადახდებისათვის საქართველოში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა სისტემას/საშუალებას<sup>25</sup> და ამგვარად ფინანსური რესურსების შეუფერხებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. რაც

შეეხება უნაღლო გადახდების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, RTGS სისტემა ამ მხრივაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს – მისი მეშვეობით ხორციელდება უნაღლო გადახდების საერთო რაოდენობის 24 პროცენტი, თუმცა ამ მაჩვენებლით ის ჩამორჩება როგორც ბანკების შიდა გადახდებს (37 პროცენტი), ასევე ბარათებით გადახდებს (38 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტით განხორციელებული უნაღლო გადახდები საქართველოს ტერიტორიაზე ტრადიციულად უმნიშვნელო როლს თამაშობს.

25. გარდა ქვეყანაში არსებული საგადახდო სისტემებისა, ბანკები საჭიროების შემთხვევაში უნაღლო ანგარიშსწორებისათვის ასევე იყენებენ პირდაპირ საკორესპონდენტო ურთიერთობებსაც. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოური ვალუტით გადარიცხვებს.

**დიაგრამა N 5.3** გადახდის ოპერაციები საგადახდო სისტემებისა და მათი შესრულების სხვა საშუალებების მიხედვით (2012 წ.)



**შენიშვნა:** უცხ. ვალუტით არარაღ. ბანკების გამოყენებით გადარიცხვა მოიცავს რეზიდენტი ბანკების კლიენტებს შორის გადარიცხვას, რომლის მიხედვითაც ბანკებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდა არარეზიდენტ ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშებით.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უნაღდო ფორმით გადახდის ოპერაციების შესრულებისას RTGS სისტემის ზემოაღნიშნული როლიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის უწყვეტ ფუნქციონირებას. (2012 წლის განმავლობაში სისტემის უწყვეტობის მაჩვენებელი შეადგენდა 99.8 პროცენტს)

**საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი – IBAN**

2010 წლის მაისიდან საქართველოს კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს თავიანთი მომხმარებლების ანგარიშების IBAN ფორმატში გადაყვანა, თუმცა გადახდის ოპერაციების განხორციელება შესაძლებელი იყო როგორც ახალი, ასევე ძველი ფორმატის ანგარიშებით.


2013 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო გადახდის ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ IBAN ფორმატის ანგარიშებით. აღსანიშნავია, რომ IBAN ანგარიშების გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა და გადახდის ოპერაციის თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვის ხანგრძლივობა.

**ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტები**

საქართველოში მომხმარებელი უნაღდო გადახდების განსახორციელებლად სულ უფრო მეტად იყენებს ელექტრონულ საშუალებებს (საგადახდო ბარათებს, ინტერნეტ-ბანკინგს და სხვა). 2012 წელს, წინა წლის მსგავსად მომხმარებლების მიერ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტებიდან წამყვან როლს თამაშობს საგადახდო ბარათები (მათზე მოდის განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობის 47.5 პროცენტი). შედარებით მცირე ტემპით გაიზარდა ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და წლის ჯამური შედეგებით 22 პროცენტი შეადგინა მთლიან უნაღდო გადახდებში. აღსანიშნავია, რომ ამ ელექტრონული ინსტრუმენტებით გადახდების წილის ზრდა ძირითადად ქალაქით წარდგენილი საკრედიტო საგადახდო დავალებების ხარჯზე მოხდა. თანხობრივი მაჩვენებლებით ინტერნეტ-ბანკით ინიცირებული დავალების საფუძველზე განხორციელებული გადახდები უნაღდო გადახდის ოპერაციებს შორის ლიდერია (მისი წილი შეადგენს 53 პროცენტს იხ. დიაგრამა N 5.4).



**დიაგრამა N 5.4** უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიცირების საშუალებების მიხედვით, 2012 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დისტანციური საბანკო მომსახურება**

საქართველოში მომხმარებლებისათვის დისტანციურად საბანკო მომსახურების მიღება ხელმისაწვდომი 2000 წლიდან გახდა, რასაც სპეციალური პროგრამა „კლიენტი-ბანკი“ უზრუნველყოფდა. პარალელურად ბანკებმა დისტანციური მომსახურების ახალი საშუალებების, კერძოდ, ინტერნეტ-ბანკინგის და ტელეფონ-ბანკინგის შემუშავება დაიწყეს, რომელიც ბაზარზე 2001 წლიდან გამოჩნდა. ბოლო წლების განმავლობაში ინტერნეტ ბანკინგმა ნაწილობრივ ჩაანაცვლა კლიენტი-ბანკის სერვისი. დღეისათვის საქართველოში დისტანციური მომსახურების საშუალებებით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობა 750 ათასზე მეტია.<sup>26</sup>

**საგადახდო ბარათები**


2012 წელს საქართველოში არსებული 19 კომერციული ბანკიდან საგადახდო ბარათებს უშვებდა 16 ბანკი. საგადახდო ბარათებით შესრულებული ოპერაციების დამუშავება ხდებოდა 6 საბარათე

საპროცესინგო ცენტრის საშუალებით, საიდანაც 4 მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე (2013 წლის დასაწყისშივე მათ რიცხვს დაემატა კიდევ ერთი ადგილობრივი საპროცესინგო ცენტრი).

2012 წლის ბოლოსთვის საქართველოში გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობამ 4.9 მლნ-ს მიაღწია. წლის ბოლოს მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებულია 1.1 საგადახდო ბარათი. 2011 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით გამოშვებული ბარათების რაოდენობის ზრდამ შეადგინა 24 პროცენტი. თითქმის არ შეცვლილა თანაფარდობა საკრედიტო და სადებეტო ბარათებს შორის. საკრედიტო ბარათები შეადგენს სულ გამოშვებული ბარათების 15% პროცენტს. თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრედიტო ბარათების რაოდენობა გაიზარდა 218 ათასით, რაც პროცენტულად შეადგენს 37 პროცენტს. 2007-2012 წლებში გამოშვებული ბარათების დინამიკა ნაჩვენებია დიაგრამა N 5.5-ზე.

26. დისტანციური მომსახურების საშუალებებით მოსარგებლე უნიკალური კლიენტების რიცხვი სავარაუდოდ უფრო მცირეა, რადგანაც ერთი და იგივე პირი შესაძლებელია სარგებლობდეს რამდენიმე ბანკის დისტანციური მომსახურებით.

**ღიაბრაზა N 5.5** გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა, 2007 — 2012




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის განმავლობაში VISA ბარათების წილი სულ გამოშვებულ ბარათებში შემცირდა 8 პროცენტით და წლის ბოლოსთვის შეადგინა 76 პროცენტი, ხოლო MasterCard ბარათებისა და ლოკალური ბარათების წილები გაიზარდა 4 პროცენტით და 3 პროცენტით შესაბამისად. American-

Express-ის ბარათების წილი დარჩა უცვლელი (3 პროცენტი). 2012 წლის აგვისტოს თვიდან აქტიურად დაიწყო MasterCard-ის ბრენდის უკონტაქტო ბარათების გამოშვება. ასევე ფუნქციონირებს წინასწარი გადახდის ბარათებიც.

**ღიაბრაზა N 5.6** გამოშვებული ბარათები საბარათო სისტემების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ სულ განხორციელდა 58 მლნ ოპერაცია 7.7 მლრდ ლარის მოცულობით,

აქედან მხოლოდ 3 პროცენტი რაოდენობრივად და 6 პროცენტი თანხობრივად შესრულდა საზღვარგარეთ. 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს საბარათო ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 14 პროცენტით, ხოლო თანხა 9 პროცენტით.



**დიაგრამა N 5.7** საქართველოში გამოშვებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები წლების მიხედვით (2007-2012)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წელს ქართული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის მხოლოდ 34 პროცენტი, ხოლო თანხის 14 პროცენტი მოდის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შესრულებულ გადახდებზე. 2011 წელთან შედარებით 2012 წელს საგადახდო ბარათებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის წილი სულ ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებში გაიზარდა 9 პროცენტული პუნქტით რაოდენობრივად და 3 პროცენტული პუნქტით თანხობრივად. ასევე, აღსანიშნავია რომ 2012 წელს წინა წელთან შედარებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საგადახდო ბარათებით განხორციელებული გა-

დახდის ოპერაციები გაიზარდა 56 პროცენტით რაოდენობრივად და 44 პროცენტით თანხობრივად, როცა ნაღდი თანხის გატანის ოპერაციები გაიზარდა უმნიშვნელოდ (0.01 პროცენტით რაოდენობრივად და 4.97 პროცენტით თანხობრივად).

უკანასკნელი წლების განმავლობაში სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში არსებული პოს-ტერმინალების ქსელი უფრო სწრაფად იზრდება ბანკო-მატებისა და ბანკის ფილიალებში განლაგებული პოს-ტერმინალებთან შედარებით. დიაგრამა N 5.8-ზე ნაჩვენებია საგადახდო ბარათების მომსახურე ობიექტების სტატისტიკა 2008-2012 წწ-ში.

**დიაგრამა N 5.8** საგადახდო ბარათების მიმღები ობიექტების დინამიკა (2008-2012)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წელს მიღებული საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ განისაზღვრა საგადახდო ინსტრუმენტით (მათ შორის საგადახდო ბარათით) საქართველოში განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შემთხვევაში ინსტრუმენტის მფლობელისა და გამომშვების პასუხისმგებლობები. საგადახდო ბარათების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებთან ერთად მომზადდა რეკომენდაციები საგადახდო ბარათების მფლობელთათვის, რომელიც განთავსდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საიტზე.

[http://nbg.gov.ge/cp/uploads/recommendation/recommendations\\_for\\_card\\_users.pdf](http://nbg.gov.ge/cp/uploads/recommendation/recommendations_for_card_users.pdf)

### **საგადახდო სისტემების რეგულირება**

2012 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“. ამ კანონით შეიქმნა ერთიანი საკანონმდებლო ბაზა საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო მომსახურების განხორციელებისა და საგადახდო სისტემების ფუნქციონირებისათვის. კანონით განისაზღვრა საგადახდო მომსახურების სახეები, საგადახდო სისტემების, საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპები, ფინანსური გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

მიღებული კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლეს გადახდის, კლირინგისა და ანგარიშსწორების საბოლოო ნარმოადგენს. საბოლოობის პრინციპის საკანონმდებლო უზრუნველყოფა ამცირებს სისტემურ რისკებს და ხელს უწყობს საგადახდო სისტემების სტაბილურ ფუნქციონირებას, განსაკუთრებით ეკონომიკური კრისიზით გამოწვეული ფინანსური შოკების დაძლევის დროს. გარდა ამისა, ფინანსური გირაოს ცნების შემოღებით საგადახდო სისტემის მონაწილეებისათვის იქმნება დამატებითი ინსტრუმენტები საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკების მართვისათვის.

2012 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა პროექტის – „საქართველოს საგადახდო სისტემების მარეგულირებელი ბაზის მოდერნიზაცია“ (Modernizing Payment Systems Regulatory Framework) ფარგლებში. პროექტი სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის შექმნას ინოვაციური/საცალო საგადახდო ინსტრუმენტებისა და დისტანციური ბანკინგისთვის.

2012 წელს შემუშავდა საგადახდო სისტემის ოპერატორებისა და საგადახდო სერვისის პროვაიდერების რეგისტრაციის წესები, რის საფუძველზეც დაიწყო აღნიშნული პირების რეგისტრაცია.

2012 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდა 7 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.



## 6. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება



სანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სამუშაოები საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფის მიმართულებით.

2012 წლის 15-17 ნოემბერს ქ. თბილისში გამართულ კიბერუსაფრთხოებისა და IT ინოვაციების რიგით მე-5 რეგიონულ კონფერენციაზე (GITI 2012), საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამ ნომინაციაში გაიმარჯვა - „ყველაზე წარმატებული ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა“, „საუკეთესო IT მენეჯმენტი“ და „წლის საუკეთესო IT“. აღნიშნული კონფერენცია ტექნოლოგიური კუთხით რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს, რომლის მთავარი თემა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებებია.

2012 წლის დეკემბერში ამოქმედდა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ნაღდი ფულის მართვის სისტემა. სისტემის დანერგვის შემდეგ ეროვნული ბანკის ახალ საკასო ცენტრში ნაღდი ფულის მართვის პროცესი გახდა სრულად ავტომატიზირებული.

ნაღდი ფულის მართვის სისტემა სრულად არის ინტეგრირებული ძირითად საბანკო სისტემასთან, რაც იძლევა საშუალებას დროის რეალურ რეჟიმში ძირითად საბანკო სისტემაში აისახოს ნაღდი ფულის მართვის პროცესთან დაკავშირებული შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერები.

ფუნქციონალის გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე ცვლილება შევიდა დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაში, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში ბანკთაშორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას, ფასიანი ქაღალდების მართვის სისტემაში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარს, ძირითად საბანკო სისტემასა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში. ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ეროვნულ ბანკში არსებული ცვლილებების მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით.

აღწერილი სისტემების დანერგვით მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკის საოპერაციო რისკები, გაიზარდა სისტემების უსაფრთხოება, სტაბილურობა და მდგრადობა. ასევე გაიზარდა ინფორმაციის საიმედოობა, კონფიდენციალობა,

მთლიანობა და ხელმისაწვდომობა.

ეროვნული ბანკის სერვერული ცენტრის საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სარეზერვო სერვერული ცენტრის მონყოფაზე აუდიტორული შემოწმების არაერთი რეკომენდაციაა განეული, რომელთა თანახმად ასევე მიზანშეწონილია სარეზერვო სერვერული ცენტრი მოენწყოს ძირითადი სერვერული ოთახისაგან მოშორებულ ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული კვლევების, ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების, სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკების გამოცდილების შესწავლისა და მაქსიმალური უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა შემდეგი სტრატეგია: ერთმანეთისაგან მოშორებით აიგოს ძირითადი და სარეზერვო სერვერული ცენტრები, რომლებიც უნდა მოენწყოს „სერვერული ცენტრების ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტის TIA-942“ ნორმების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ინფრასტრუქტურის მონყოფის ყველაზე მაღალ სტანდარტს.

ხსენებული სტრატეგიის შესაბამისად, 2012 წელს დასრულდა ქ. თბილისში ერთმანეთისაგან დაშორებული ორი სერვერული ცენტრის აგება. ასევე ეროვნულმა ბანკმა შექმნა სარეზერვო ცენტრი, სადაც განთავსებულია მცირე ზომის სარეზერვო სერვერული ცენტრი და გათვლილია ბანკის ყველაზე კრიტიკული სერვისების მუშაობის უზრუნველსაყოფად. სამივე სერვერულ ცენტრში გამოყენებულია ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები და აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო გამოცდილებას. სერვერულმა ცენტრებმა გაიარეს უსაფრთხოების სისტემების ევროპული ასოციაციის (European Security Systems Association) სერვერული ცენტრების სერტიფიცირება ECB-S, რომელიც ადასტურებს მათ მაღალ საიმედოობას.

აღნიშნული სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტების დაცვამ სერვერულ ცენტრებში მნიშვნელოვნად შეამცირა ფიზიკური ინფრასტრუქტურის არსებულ რისკები და გაზარდა ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი. სხვადასხვა სერვერულ ცენტრებში განთავსებულ მონაცემთა სანახებს შორის ჩაერთო ინფორმაციის სინ-



ქრონული რეპლიკაცია, რაც საშუალებას იძლევა ორ სერვერულ ცენტრში დროის რეალურ რეჟიმში გვექონდეს ერთნაირი ინფორმაცია.

დღის წესრიგში დადგა ბანკის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავება საერთაშორისო BS 25999 სტანდარტის შესაბამისად, რომლის განხორციელებაც გასულ წელს უცხოელი ექსპერტები და მსოფლიო ბანკის დახმარებით დაიწყო. შემუშავდა რისკების შეფასების და ბიზნესზე ზეგავლენის ანგარიში, რომელზე დაფუძნებითაც ამჟამად მუშავდება ალდგენის სტრატეგია და მომავალში უნდა შემუშავდეს ბანკის ბიზნეს უწყვეტობის გეგმა.

ამავე დროს დაგეგმილია ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნულ ბანკში დაინერგოს ISO27001 სტანდარტის შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ფორმალიზებულს გახდის ბანკში მონაცემთა დაცვის პროცესებს.

კომერციული ბანკების ფილიალებსა და სერვის ცენტრებში მომხმარებელთათვის საბანკო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების და ქალაქის დოკუმენტების მინიმიზაციის მიზნით გასული წლის ბოლოს დაიწყო საცალო საბანკო მომსახურებაში ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის (sign pad-ის) დანერგვის პროექტი,

რომლის მიზანიც არის უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა.


2012 წელს განხორციელდა ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალმდგრადი სატელეფონო სისტემის იმპლემენტაცია, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე IP ტექნოლოგიაზე, რაც გაცილებით მეტ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს იძლევა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მაკროეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების სამუშაოთა სრულყოფის მიზნით, გადაწყდა განხორციელდეს ამ პროცესების ავტომატიზაციის პროექტი – ფინანსური, მაკროეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების სისტემის (სებსტატი) შემუშავება და დანერგვა. საანგარიშო პერიოდში დაიწყო აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, შეიქმნა სისტემის მოთხოვნების დოკუმენტი და მიმდინარეობს სისტემის შექმნა.

2012 წელს ოქროს ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც წარმატებით იქნა გაშვებული ექსპლუატაციაში.



# 7. შიდა აუდიტი და ბუღალტრული აღრიცხვა



საქართველო, VII სანუკუნი

GEORGIA, ONE HUNDRED LARI  
2004



საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის, საქმიანობა საანგარიშო პერიოდში მოიცავდა როგორც მარნმუნებელ, ასევე საკონსულტაციო მომსახურებას. ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი სფეროების ოპერაციულ გარემოში ახალი საინფორმაციო სისტემების დანერგვის გათვალისწინებით, შიდააუდიტორულმა სამსახურმა განაახლა საქმიანობის გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგია, შეიმუშავა მარნმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურებათა წლიური გეგმები, რომელთა შესაბამისადაც სამსახურმა წარმართა საქმიანობა საანგარიშო წლის მანძილზე.

აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებული და ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული 2012 წლის შიდააუდიტორული შემომნებებისა და მიმოხილვების გეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 27 თემატური შემომნება და მიმოხილვა. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში მომზადდა შესაბამისი აუდიტორული შეფასებები ცალკეული ბიზნეს-პროცესების მიხედვით რისკების მართვის, შიდა კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობისა და მარეგლამენტირებული ნორმატიული ბაზის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. საკონსულტაციო მანდატის ფარგლებში, ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდის მანძილზე, ოპერაციული მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, განუღ იქნა შესაბამისი კონსულტაციები.

შიდააუდიტორული სამსახური აგრძელებდა მარნმუნებელი მომსახურების პროცესში განუღლი რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესზე მონიტორინგსა და ყოველკვარტალურ ანგარიშგებას. ასევე, ხორციელდებოდა გარე აუდიტორული კომპანიის მიერ ეროვნული ბანკისათვის განუღლი რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის „უსაფრთხოების მექანიზმების“ შეფასების ბოლო ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, შიდააუდიტორულმა სამსახურმა განახორციელა საქმიანობის ხარისხის ყოველწლიური შიდა პერიოდული შეფასება, სამსახურის საქმიანობის შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შიდა პერიოდული შეფასების ფარგლებში, გამოვლენილი გაუმჯობესების პოტენციალი აისახა სათანადო რეკომენდაციებში, რომელიც ემსახურება მარნმუნებელი მომსახურების დაგეგმვის, აუდიტორული შერჩევის ტექნიკისა და ანგარიშგების პროცესის შემდგომ სრულყოფას, პროფესიული სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქმიანობის შემდგომი ფორმალიზაციისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით, შიდააუდიტორულმა სამსახურმა შეიმუშავა „შიდააუდიტორული სამსახურის მიერ განუღლი გეგმიური მარნმუნებელი მომსახურების შედეგების ანგარიშგების პოლიტიკისა და პროცედურების“ და „შერჩევითი აუდიტორული შემომნების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ პროექტები. ასევე, შიდააუდიტორულმა სამსახურმა ქართულ ენაზე თარგმნა შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების“ განახლებული ვერსია, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის იანვრიდან.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციების ავტომატიზაციის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით. კერძოდ, წარმატებით დასრულდა „ნაღდი ფულის მართვის მოდულის“ პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის სამუშაოების პირველი ეტაპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა წარმოებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია.



## 8. სავაჭრო-საეზო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაცია




ფულის ნიშნებით ეკონომიკის მოთხოვნის შეუფერხებელი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდა ფულის ნიშნების დამზადების, შემოტანის, შენახვის და ემისიასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირებას, მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამაღლებას, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების

დადგენილი წესით დამუშავებას, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესებას, მიმოქცევისთვის უვარგისი ლარის ბანკნოტების განადგურებასა და ნორმატიული ბაზის დახვეწას.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 1.92 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტებმა – 1.86 მლრდ ლარი, ხოლო მონეტებმა – 55 მლნ ლარი (დიაგრამა N 8.1).


**დიაგრამა N 8.1** მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული (დეკემბერი, 2012)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 164.5 მლნ ლარით, ანუ 9.4 პროცენტით გაიზარდა (დიაგრამა N 8.2).

**დიაგრამა N 8.2** ნაღდი ფული მიმოქცევაში (2011-2012 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2012 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკ-ნოტების რაოდენობა 158.6 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 97.1 პროცენტით შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში მიმოქცევაში მაღალი ნომინალის (10, 20, 50, 100 და 200 ლარის ნომინალის) ბანკნოტების რაოდენობა 9.2 პროცენტით გაიზარდა, ასევე გაიზარდა მიმოქცევაში 5 ლარის ნომინალის ბანკნოტების რაოდენობა 13 პროცენტით, ხოლო 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების რაოდენობა მიმოქცევაში წლის განმავლობაში 2.7 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების ოდენობას, საანგარიშო პერიოდში იგი 13.7 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოს 33.6 მლნ ლარი შეადგინა.

აქვე აღსანიშნავია, მიმოქცევაში 2011 წელთან შედარებით ეროვნული ვალუტის ხურდა ფულის - „თეთრის“ 10.2 პროცენტით ზრდის ფაქტი (2011 წელს მიმოქცევაში ხურდა ფულის ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 8.5 პროცენტს შეადგენდა).

ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამუშაოები ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით შესავსებად. ასევე, 2012 წელს განხორციელდა ოქროს ზოდების დასამზადებლად შესაბამისი პარტნიორის შერჩევისა და მასთან ხელშეკრულების გაფორმების სამუშაოები.

საქართველოს ეროვნულ ბანკში სალაროს მეურნეობის სრულყოფის, მისი ტექნიკური მოდერნიზაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების ოპტიმიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა ფულის ნიშნების მიღება-გაცემის, დახარისხება-დამუშავების, მათი უსაფრთხოდ განთავსებისა და მიმოქცევისათვის უვარგისი ფულის ნიშნების განადგურების საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის მიმართულებით. აღნიშნული, ერთის მხრივ, გულისხმობდა ევროსტანდარტების შესაბამისი, უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი საკასო ცენტრის აშენებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და საკასო-საემისიო ოპე-

რაციების აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვას.

ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკასო ცენტრის აშენებით, საცავების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვითა და საკასო-საემისიო ოპერაციების აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვით შესაძლებელი გახდა: ფულის ნიშნების მწარმოებლებისაგან, კომერციული ბანკებისა და სხვა კლიენტურისაგან ნაღდი ფულის მიღების, გადათვლა-დახარისხების, ექსპერტიზის, განადგურების, შენახვის, დაცვისა და კლიენტურაზე ფულის ნიშნების გაცემის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; კომერციული ბანკების მომსახურების დონის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს როგორც ნაღდი ფულის მიღება-გაცემის ოპერაციების, ისე საინკასაციო საქმიანობის დახვეწა-გაუმჯობესებას; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკის ფულის ნიშნებით უზრუნველყოფის, მიმოქცევის არხების მოძველებული და ყალბი ფულისაგან განმედიის საქმიანობის დახვეწა და შესაბამისად ლარისადმი მოსახლეობის ნდობის გამყარება; საკასო ოპერაციებთან დაკავშირებული პერსონალის შრომის პირობების მაქსიმალური გაუმჯობესება.

2011 წელთან შედარებით, გაიზარდა ნაღდი ფულის ბრუნვები. კერძოდ, შემოსავლებმა ეროვნული ვალუტით შეადგინა 3.28 მლრდ ლარი, რაც 2.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შემოსავლებს, ხოლო გასავლებმა – 3.44 მლრდ ლარი, რაც 3.5 პროცენტით აღემატება 2011 წლის გასავლებს. აღნიშნულ პერიოდში უცხოური ვალუტის შემოსავლებმა 54 მლნ აშშ დოლარი და 1.7 მლნ ევრო, ხოლო გასავლებმა 500 ათასი აშშ დოლარი და 1 მლნ ევრო შეადგინა. ამასთან, საზღვარგარეთიდან ინკასირებული თანხების მოცულობამ 1.5 მლრდ ლარი და 50 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მასის ზრდის პარალელურად, მცირედით გაიზარდა მიმოქცევიდან ამოღებულ ლარის ბანკნოტებში მოძველებული ბანკნოტების პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, თუ 2011 წელს მოძველებული ლარის ბანკნოტების რაოდენობა საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსული ბანკნოტების მთლიანი თანხის 13.8 პროცენტს შეად-




გენდა, 2012 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 14.3 პროცენტი შეადგინა.

ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირებისა და ფულის ნიშნების დახარისხების დადგენილი დონის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 3 ივნისის განკარგულებით დადგენილი პერიოდული ტარდებოდა საკასო ცენტრის ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ფულის ნიშნების დახარისხების დონის შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის სალაროებიდან, კომერციული ბანკებიდან, ვალუტის საგადამცველო სფეროდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი იქნა 23 938 ცალი საექვო ფულადი ნიშანი.

2012 წელში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების და მონეტების პროცენტული თანაფარდობა მოცემულია დიაგრამა N 8.3-ზე.

**დიაგრამა N 8.3** ყალბი ლარის ბანკნოტები და მონეტები პროცენტულად




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 2011 წელთან შედარებით შემცირებულია 9.1 პროცენტით, ყალბი დოლარების რაოდენობა – 5.9 პროცენტით, ხოლო ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა – 41 პროცენტით. რაც შეეხება 50 თეთრის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობას, გასულ პერიოდთან შედარებით შემცირებულია 3.9-ჯერ, ხოლო 1


ლარის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობა – 1.6-ჯერ (ნომინალების მიხედვით 2011-2012 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N 8.4 და დიაგრამა N 8.5). ამასთან, სხვა უცხოური ყალბი ვალუტების რაოდენობა შემცირებულია 1.3-ჯერ.

**ღიზარება N 8.4 2011-2012 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკოტების რაოდენობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ღიზარება N 8.5 2011-2012 წლებში გამოვლენილი ყალბი მონეტების რაოდენობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კერძოდ, დაინტერესებულ პირთათვის ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმების სწავლების, ლარის ბანკოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრისა და ზოგადად ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაცი-

ის ამაღლების მიზნით, სწავლება ჩაუტარდა 274 პირს.

2012 წელს წარმატებით მიმდინარეობდა როგორც საინვესტიციო, ისე საიუბილეო მონეტების რეალიზაცია. კერძოდ, ქალაქ ყვარლის ფულის მუზეუმის, საკასო ცენტრისა და საიუველირო კომპანია „ზარაფხანის“ საშუალებით რეალიზებულმა სხვადასხვა სახის ფასეულობამ შეადგინა 11 446 ერთეული – თანხით 1.3 მლნ ლარი. მათ



შორის, ოქროს მონეტები 823 ერთეული, თანხით – 1.2 მლნ ლარი, ვერცხლის მონეტები 326 ერთეული თანხით – 19.6 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი ფასეულობა 10 297 ერთეული თანხით – 70.0 ათასი ლარი.

ქვეყანაში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, ქართული ფულის ცნობადობის გაზრდისა და ეროვნული ბანკის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციის ნაწილობრივ შეთავსების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი 2012 წლის ნოემბრის ბოლოს გადატანილი იქნა ქალაქ ყვარელში.

ქალაქ ყვარელში ფულის მუზეუმში განთავსებულ ექსპოზიციაში წამყვანი ადგილი ეთმობა ეროვნულ ვალუტა – ლარს და ასევე ეროვნულ ბანკს, რათა მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ვიზიტორთა ინფორმირება და ამით მუზეუმმა გარკვეულწილად შეასრულოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ისტორიული ნაწილი, ცალკე ნაწილი ეთმობა მსოფლიო ფულის გამოფენას.

ქართული ფულის ისტორიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის განვითარებისა და მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ეროვნულ ბანკის ფულის მუზეუმი აქტიურად სთავაზობს საზოგადოებას საგანმანათლებლო-შემეცნებით კურსებს.

აღსანიშნავია, რომ ფულის მუზეუმში დღითიდღე მატულობს გამოფენილი ექსპონატების

დამთავალიერებლთა რიცხვი და მათი ინტერესი, როგორც ქართული, ისე მსოფლიო ნუმიზმატიკისა და ბონისტიკისადმი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს ესტუმრა 3 686 ვიზიტორი.

2012 წელს გრძელდებოდა საკასო-საემისიო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის სრულყოფის სამუშაოები. კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ახალ საკასო ცენტრში გადასვლის პროცესის დასრულებისა და პარალელურ რეჟიმში საქართველოს ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულისა და ფასეულობის აღრიცხვის ავტომატიზირებული მართვის მოდულის (CMM სისტემის) დანერგვის საფუძველზე დაიხვეწა და სრულყოფა განიცადა საქართველოს ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულის მიღება-გაცემის, აღრიცხვის, შენახვის და საინკასაციო საქმიანობასთან დაკავშირებულმა პროცედურებმა, რომლის შესაბამისად შემუშავებულ იქნა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 29 ნოემბრის N105/04 ბრძანებით დამტკიცდა „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი“.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავდა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 30 ნოემბრის N115/04 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საქართველოს ეროვნულ ბანკში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი“.



## 9. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა



საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოსახლეობისათვის დროულად მიწოდების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმართებოდა როგორც მასობრივი ინფორმაციის, ისე კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკი ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს.

ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი რეფორმების, საბანკო სექტორისათვის შეთავაზებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებამდე სწორად და ამომწურავად მიტანის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაკები მართავდნენ პერიოდულ შეხვედრებს ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, რომელიც არა არსებული, არამედ მოსალოდნელი ინფლაციის მართვაზეა ორიენტირებული, მიზნად ისახავს ფასების დონის საშუალო და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების სწორი ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბება. ამ კუთხით კი უაღრესად საყურადღებოა მონეტარული პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება.

ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოსალოდნელი შედეგების, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკისა და ეკონომიკაზე მისი გავლენის შესახებ საზოგადოების ოპერატიულად ინფორმირების მიზნით, ეროვნული ბანკი მოქმედებდა სხვა წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად. კერძოდ, საქართვე-



ლოს ეროვნული ბანკი ცდილობდა, ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოეჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და აეხსნა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი ყოველთვიურად გამოსცემდა „თვის მიმოხილვას“, ყოველკვარტალურად გამოსცემდა „ინფლაციის მიმოხილვას“ და „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენს“, ოპერატიულად აქვეყნებდა სტატისტიკურ მონაცემებს და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზებს. 2012 წელს მოამზადა და გამოსცა „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2011“; და „საქართველოს საგადასახდლო ბალანსი, 2011“; საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე – [www.nbg.ge](http://www.nbg.ge).

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებისა და ცალკეულ სფეროებში უცხო ქვეყნების ცენტრალური ბანკების გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართვე-

ლოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის გამოცდილების გაზიარების მიზნით რამდენიმე უცხოური საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში.

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, 2012 წლის აპრილში, საქართველოს ეროვნულ ბანკში გატარებული რეფორმებისა და ინოვაციური სისტემების გაცნობის მიზნით, ეროვნულ ბანკს ავღანეთის ცენტრალური ბანკის დელეგაცია ეწვია. სტუმრებმა ქართველი კოლეგებისგან მიიღეს ინფორმაცია საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემის დანერგვის შესახებ. ამავე სისტემის გაცნობის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სექტემბერში, RTGS და CSD სისტემების მიმწოდებელი ამერიკული კომპანიის „მონტრანის“ რეკომენდაციით, ეროვნულ ბანკს სურინამის ცენტრალური ბანკის დელეგაციაც სტუმრობდა. ოქტომბერში კი, საქართველოს ეროვნულ ბანკში ყირგიზეთის ფინანსთა, ეკონომიკისა და რეფორმების სამინისტროების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. შეხვედრის მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული რეფორმების გაცნობა და არსებული გამოცდილების გაზიარება იყო. ვიზიტის შედეგების შეჯამებისას ყირგიზეთის დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა და ცვლილებებმა, რომელიც სამაგალითოა მთელს რეგიონში, დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ეკონომიკისა და კონკრეტულად ქართული საბანკო სექტორის განვითარების საქმეში, სწორედ ამიტომ მოექცა საქართველო ცენტრალური აზიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ყურადღების ცენტრში.

გასულ წელს საქართველოსა და მოლდოვას ეროვნულ ბანკებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმად მხარეები იღებენ ვალდებულებას, თავიანთი

კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყონ საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებას, ასევე გაუზიარონ ერთმანეთს დანერგილი წარმატებული გამოცდილება. მემორანდუმს 2012 წლის ივნისში ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ და მოლდოვას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დორინ დრაგუტანუმ.

საბანკო სექტორში არსებული ვითარებისა და მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გაცნობის მიზნით, 2012 წელს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების აღმასრულებელი დირექტორი მენო სნელი სტუმრობდა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დაიგეგმა ნიდერლანდის ჯგუფის წევრი ქვეყნების 2013 წლის შეხვედრის გამართვა თბილისში.

გასულ წელს საქართველო მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციის მასპინძელიც იყო. კერძოდ 31 მარტს, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ევროპული ფონდის სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპისათვის (EFSE) ორგანიზებით, თბილისში, სასტუმრო რედისონში „EFSE“-ის წლიური შეხვედრა გაიმართა. კონფერენციაში მონაწილე სამასზე მეტმა დელეგატმა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის შესაძლებლობებზე იმსჯელა.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2012 წლის ივნისში, ცენტრალური ბანკების სტატისტიკის საკითხებზე ექსპერტთა მე-2 რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლა. ქართველ ექსპერტებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობდნენ ლიტველი, სომეხი, უკრაინელი და ყაზახი სპეციალისტები. მსჯელობის მთავარი თემა საგარეო სექტორის სტატისტიკასთან დაკავშირებული საკითხები იყო.



## 10. საქართველოს ეროვნული ბანკის აღამიანური რესურსების მართვა




დამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ბანკის დაკომპლექტებას საჭირო პროფესიის, სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრებით, პერსონალის შერჩევის პროცედურისა და თანამდებობრივი წინსვლის პირობების ოპტიმიზაციას, ქვედანაყოფთა სტრუქტურის დახვეწას ეროვნული ბანკის სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად, ბანკში დასაქმებულ თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი შრომის მოტივაციის ზრდას.

საანგარიშო პერიოდში სამუშაო პროცესების თვისობრივი ცვლილებების გამო განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება და შეიქმნა უსაფრთხოების დეპარტამენტი.

2012 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა 311 თანამშრომელი, ამათგან 235 მოხელე, 43 დამხმარე და 33 შტატგარეშე მოსამსახურე. მოხელეების საშუალო ასაკი იყო – 38, დამხმარე მოსამსახურეების – 44 და შტატგარეშე მოსამსახურეების – 40; მათი 87 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობიდან 45 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.

**ღიაბრაზა N 10.1** ეროვნული ბანკის თანამშრომლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები (სულ 311 თანამშრომელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში განხორციელებული თვისობრივი ცვლილებების გამო, რაც რიგ შემთხვევებში გამოიწვია ახალი სისტემების დანერგვამ, განახლებული იქნა, ან შეიქმნა ახალი „სამუშაოს აღწერები“.

სამუშაო გარემოსა და პირობების შესახებ თანამშრომლების დამოკიდებულებისა და მოლოდინების გარკვევის მიზნით, ჩატარდა კვლევა ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მიმდინარეობს პრობლემურ საკითხებზე პერმანენტული მუშაობა.

განხორციელდა წარჩინებული სტუდენტების ეროვნულ ბანკში სტაჟიორებად აყვანა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის“ საფუძველზე. აყვანილი იქნა 45 სტაჟიორი, რომელთაგან დღეს 3 ეროვნული ბანკის თანამშრომელია. ამავე მემორანდუმის ფარგლებში ეროვნული ბანკის თანამშრომლების მიერ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ჩატარდა 20 ლექცია.



## 11. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება



ს ანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის სამუშაოები. კერძოდ, 2012 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“. კანონის მიღების მიზანია საქართველოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირება. იგი განსაზღვრავს საგადახდო სისტემის, საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპებს, ასევე ფინანსური გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კანონით დადგინდა, რომ საგადახდო სისტემა მოიცავს ფულადი სახსრების საგადახდო სისტემას, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემასა და კლირინგის სისტემას. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდა ისეთი აქტუალური საკითხი, როგორცაა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ელექტრონული ფულის გამოშვება.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. კერძოდ:

– ეროვნულ ბანკს მიენიჭა სრული უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და მათთვის მინიმალური მოთხოვნების დადგენის, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესების გზით;

– შემოღებულ იქნა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ცნება და ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება იურიდიული პირი მიიჩნიოს კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება, რაც მოიცავს მის რეგისტრაციას, რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამულაზვნების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობისა და სხვა მოთხოვნების დადგენას, ასევე შემონიშნებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;

– განხორციელებული ცვლილებით ეროვნულ ბანკსა და ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის მიმონერა შეიძლება

განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც ენიჭებათ თანაბარი იურიდიული ძალა.

2012 წელს მომზადდა და გამოიცა რიგი ნორმატიული აქტები. მათ შორის: „საგადახდო სისტემების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესი“. აღნიშნული წესით განისაზღვრა რეგისტრაციის პირობები – რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რეგისტრაციის გაუქმების კონკრეტული საფუძვლები. ასევე დადგინდა პროვაიდერის მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაცია.

ზემოთ ხსენებული კანონის შესაბამისად, ასევე შემუშავდა „საგადახდო სისტემის ოპერატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი“, რომლითაც განისაზღვრა საგადახდო ოპერატორის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების პირობები, ასევე სისტემის წესების მინიმალური მოთხოვნები.

ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება“. მითითებული დოკუმენტით განისაზღვრა სადეპოზიტო სერტიფიკატის ცნება – საბანკო დეპოზიტი (ანაბარი), რომელიც წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა. დებულებით ასევე დაკონკრეტდა სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების, რეგისტრაციის, მიმოქცევისა და დაფარვის საკითხები.

საქართველოში ოქროს ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 22 ივნისის N61 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულება“, რომლის შესაბამისად ეროვნული ბანკი უშვებს საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტს – ოქროს სერტიფიკატს. აღნიშნული სერტიფიკატი არის ეროვნული ბანკის უფადო და უპროცენტო ფასიანი ქაღალდი, რომლითაც ეროვნული ბანკი ვალდებულია მისი განაღდების მოთხოვნის შემთხვევაში,



სერტიფიკატის მესაკუთრეზე (მისი სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მეშვეობით) გასცეს შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა „ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესი“. ხსენებული წესის თანახმად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების და/ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ფულადი ჯარიმები, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილემ და/ან მისი მმართველი ორგანოს

რომელიმე წევრმა დაარღვია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები განიცადა საფინანსო სექტორის წარმომადგენლების საქმიანობის მარეგულირებელმა ნორმატიულმა აქტებმა. კერძოდ, განახლებული რედაქციით ჩამოყალიბდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირის და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესები.

2012 წელს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ იქნა 41 კანონქვემდებარე აქტი.



## 12. სტატისტიკური საშემიანობა



2012 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საქმიანობას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლებისა და მონაცემთა წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებით, ფინანსური და საგარეო სექტორების სტატისტიკაზე მომხმარებელთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

თითქმის ორწლიანი ინტენსიური მუშაობისა და კომერციულ ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეძლო 2013 წლის იანვრიდან სატესტო რეჟიმში გაეშვა მაკროეკონომიკური, ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ინფორმაციული სისტემა – სებასტატი (საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა).

სებასტატის მიზანია ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ცენტრალიზაცია და ავტომატიზაცია, ფინანსური ინსტიტუტებიდან ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებიდან მონაცემთა გამოქვეყნების ჩათვლით. მისი კონცეფციის რეალიზაცია უზრუნველყოფს:

- სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ცენტრალიზაციას და მონაცემთა მოთხოვნების დუბლირების აღმოფხვრას, რაც უზრუნველყოფს რესპონდენტთა საანგარიშგებო ტვირთის მნიშვნელოვან შემცირებას;
- მონაცემთა მოპოვების სტანდარტიზაციას და უნიფიცირებას ყველა ტიპის ფინანსური ინსტიტუტებისათვის, მონაცემთა სტრუქტურის აღწერაზე (DSD – Data Structure Definition) დაფუძნებული საერთაშორისო სტატისტიკური პრაქტიკის გამოყენებით;
- მონაცემთა ადრეულ დონეზე დეტალურ კონტროლს, დაწყებული ფინანსურ ინსტიტუტებში მათი დამუშავების ეტაპიდან და მიღებული ინფორმაციის მაღალ ხარისხს;
- ფინანსურ სექტორში შესაძლო ინოვაციების სტატისტიკური ასახვის შესაძლებლობას უმოკლეს ვადაში;
- სტატისტიკური მეტამონაცემების სისტემის შექმნას და მის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მომხმარებლისათვის;
- მონაცემთა გავრცელების ვადების შემცირებას. სებასტატს მნიშვნელოვანი უპირატესობები გა-

აჩნია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ:

- მოპოვებული ინფორმაცია დეტალურად არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის მაქსიმალურ დაკმაყოფილებას;
- ნაშთების სტატისტიკის გარდა, გათვალისწინებულია ნაკადების სტატისტიკის მოპოვებაც, რაც, ერთი მხრივ, საგრძნობლად აფართოებს აგრეგირებული მაჩვენებლების ანალიტიკურ მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ მიახლოებას;
- წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის საბოლოო პროდუქტების (მონეტარული მიმოხილვები, სექტორალური ფინანსური ანგარიშები და ა.შ.) წარმოების პერსპექტივების თვალსაზრისით;
- მისი მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობას იცენტრალური ბანკების სტატისტიკისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების საერთაშორისო მეთოდოლოგიებთან, რაც უზრუნველყოფს სებასტატის მეტამონაცემების გამჭვირვალობის მაღალ ხარისხსა და ხელმისაწვდომობას;
- იგი მნიშვნელოვნად ამცირებს შრომით დანახარჯებს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასა და გავრცელებაზე და აფართოებს ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობებს;
- აუმჯობესებს ცენტრალური ბანკის ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხს.

სებასტატის კონცეფცია გულისხმობს ფინანსური ინსტიტუტებიდან მისაღები ინფორმაციის სტრუქტურირებას შინაარსის მიხედვით, რის საფუძველზეც ყალიბდება მონაცემთა 5 ოჯახი (FIM – ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლები, FID – ყოველდღიური ფინანსური მაჩვენებლები, FEX – უცხოური ვალუტის ოპერაციები, MTR – ფულადი გზავნილები, BPC – საბანკო საგადახდო ბარათები); თითოეული ოჯახის შიგნით მოთხოვნილი მონაცემების აღწერა ხდება შესაბამისი კლასიფიკატორების (CodeList) მეშვეობით, რის საფუძველზეც ხდება მოთხოვნილი მონაცემის მაიდენტიფიცირებელი უნიკალური კოდის – გასაღების ფორმირება. შესაბამისი გა-





## 13. სტატისტიკური ცხრილები



- 1 ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები
- 2 სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა
- 3 წლიური ინფლაცია
- 4 სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა
- 5 ფულის მასის აგრეგატების დინამიკა
- 6 ეროვნული ბანკის მიმოხილვა
- 7 სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
- 8 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
- 9 მონეტარული კოეფიციენტების დინამიკა
- 10 მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი
- 11 კომერციული ბანკების კრეზიტით აქტივებისა და პასივების დინამიკა
- 12 კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა და საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთები
- 13 კომერციული ბანკების მიერ გაცემული ვადიანი სესხებით დავალიანება
- 14 კომერციული ბანკების ვადაგადაცილებული სესხებით დავალიანება
- 15 სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარით განხორციელებული ოპერაციები
- 16 სავალუტო ბაზარზე ევროთი განხორციელებული ოპერაციები
- 17 გაცვლითი კურსები: ლარი/აშშ დოლარი
- 18 გაცვლითი კურსები: ლარი/ევრო
- 19 საგადასახდელი ბალანსი
- 20 საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
- 21 მთლიანი საგარეო ვალი
- 22 საგარეო ვაჭრობა
- 23 უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
- 24 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები
- 25 უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები
- 26 საფინანსო სექტორის ინსტიტუტები
- 27 საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
- 28 კომერციული ბანკების დაჯგუფება ფულადი სახით განაღდებული სანესდებო კაპიტალის მიხედვით 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
- 29 საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



# 1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	ზომის ერთეული	2000	2005	2010	2011	2012
<b>1. რეალური სექტორი</b>						
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი	მლნ ლარი	6043.1	11620.9	20743.4	24344.0	26138.9
მშპ ერთ სულზე	ლარი	1362.5	2689.1	4675.7	5447.1	5811.7
მრეწველობის პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	1793.4	3242.9	5855.3	7458.7	8244.3
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	1857.2	2585.4	2396.7	2877.7	2951.1
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი	%	101.8	109.6	106.3	107.2	106.1
<b>2. ინფლაცია</b>						
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	%	104.6	106.2	111.2	102.0	98.6
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	%	106.9	107.3	115.7	101.3	97.0
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	%	102.1	103.5	100.9	97.0	98.2
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	%	101.0	100.9	104.2	96.7	97.5
მომსახურება	%	101.9	104.2	100.9	105.9	101.3
<b>3. სახელმწიფო ბიუჯეტი *</b>						
შემოსავალი	მლნ ლარი	640.2	2607.5	5421.5	6444.3	7063.9
ხარჯი	მლნ ლარი	833.8	2618.6	5466.5	5825.9	6608.6
ბიუჯეტის საოპერაციო სალდო	მლნ ლარი	x	x	-45.0	618.4	455.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	მლნ ლარი	x	x	873.6	849.3	576.2
ბიუჯეტის მთლიანი სალდო პროფიციტი(+) / დეფიციტი(-)	მლნ ლარი	-193.6	-11.0	-918.6	-230.9	-120.9
%-ად მთლიან შიდა პროდუქტთან	%	-3.2	-0.1	-4.4	-1.2	-0.5
<b>4. დასაქმება</b>						
დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა	ათასი კაცი	1840.7	1744.6	1628.1	1664.2	...
უმუშევრობის დონე	%	10.3	13.8	16.3	15.1	...
<b>5. სოციალური ინდიკატორები</b>						
მოსახლეობის თვიური ფულადი შემოსავალი	მლნ ლარი	149.4	272.6	567.2	617.0	...
მოსახლეობის თვიური ფულადი ხარჯი	მლნ ლარი	246.7	309.1	497.7	599.3	...
ნომინალური საშუალო ხელფასი	ლარი	72.3	204.2	597.6	636.0	...
ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	107.1	130.2	107.3	106.4	...
რეალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	122.6	120.4	100.2	98.0	...
საარსებო მინიმუმი (პერიოდის ბოლოსათვის):						
შრომისუნარიანი მამაკაცისათვის	ლარი	114.5	98.3	149.6	156.9	149.1
საშუალო მომხმარებლისათვის	ლარი	100.4	87.1	132.5	139.0	132.1
საშუალო ოჯახისათვის	ლარი	199.2	164.9	250.9	263.3	250.1

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ფინანსთა სამინისტრო.

**შენიშვნები:**

ა) სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბაზად აღებულია ყოველი წინა წლის დეკემბერი.

ბ) მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ გამოკითხული ოჯახები ხშირად სრულად არ უჩვენებენ ფულად შემოსავლებს.

\*) 2000—2005 წელი — ძველი კლასიფიკაციით.



## 2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა

(წინა წლის დეკემბერი=100)

	2000		2005		2010		2011		2012	
	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან								
იანვარი	100.4	0.4	102.1	2.1	101.1	1.1	102.1	2.1	100.5	0.5
თებერვალი	100.2	-0.2	102.4	0.3	102.6	1.5	104.9	2.8	100.7	0.2
მარტი	100.1	-0.1	103.0	0.6	102.4	-0.2	104.9	0.0	100.5	-0.2
აპრილი	99.8	-0.2	103.5	0.4	102.7	0.2	104.8	-0.1	100.5	0.0
მაისი	99.7	-0.1	102.1	-1.3	102.3	-0.4	105.2	0.4	99.6	-0.9
ივნისი	99.5	-0.3	100.6	-1.4	102.0	-0.3	100.9	-4.0	98.7	-0.9
ივლისი	99.2	-0.3	98.6	-1.9	101.8	-0.2	99.3	-1.6	97.8	-0.9
აგვისტო	100.4	1.2	99.2	0.6	104.1	2.3	100.3	1.1	97.9	0.1
სექტემბერი	102.2	1.8	101.1	1.9	107.4	3.1	100.9	0.6	98.6	0.8
ოქტომბერი	103.5	1.2	102.9	1.7	109.5	2.0	100.8	-0.2	98.7	0.0
ნოემბერი	104.1	0.6	104.3	1.4	110.7	1.1	101.4	0.7	98.8	0.1
დეკემბერი	104.6	0.5	106.2	1.8	111.2	0.5	102.0	0.6	98.6	-0.3

**შენიშვნა:** სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბაზად აღებულია წინა წლის დეკემბერი.

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

## 3. წლიური ინფლაცია

	2000		2005		2010		2011		2012	
	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო								
იანვარი	8.5	18.6	9.3	6.1	2.7	1.6	12.3	7.9	0.5	7.5
თებერვალი	3.1	17.2	9.2	6.3	5.6	1.9	13.7	8.6	-2.1	6.2
მარტი	1.1	15.4	9.7	6.6	5.8	2.2	13.9	9.3	-2.2	4.8
აპრილი	-0.4	13.5	10.3	7.0	5.6	2.6	13.5	10.0	-2.1	3.5
მაისი	1.1	11.8	8.9	7.3	4.0	2.7	14.3	10.8	-3.3	2.1
ივნისი	2.3	10.3	9.0	7.8	3.7	2.8	10.0	11.3	-0.2	1.3
ივლისი	4.3	9.0	6.0	7.8	7.0	3.4	8.5	11.4	0.6	0.7
აგვისტო	5.6	7.8	7.2	8.0	9.5	4.4	7.2	11.2	-0.4	0.1
სექტემბერი	6.4	6.7	7.7	8.1	9.8	5.2	4.6	10.8	-0.1	-0.3
ოქტომბერი	7.2	5.8	7.8	7.9	9.6	5.7	2.3	10.1	0.1	-0.5
ნოემბერი	5.3	4.5	7.9	8.3	10.5	6.4	1.9	9.3	-0.5	-0.7
დეკემბერი	4.6	4.0	6.2	8.2	11.2	7.1	2.0	8.5	-1.4	-0.9

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

#### 4. სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა (პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
სარეზერვო ფულის მასა												
2008	1652937	1686844	1722001	1820171	1815127	1897531	1960868	1706188	1828527	1691326	1470552	1642081
2009	1505078	1464069	1441942	1578292	1622579	1654015	1872829	1856192	1815233	1850711	1794465	1874961
2010	1713536	1796689	1779993	1840471	1794175	1814726	1850494	1871817	1954729	1997837	1975036	2081129
2011	2226104	2430168	2311381	2505956	2432249	2448706	2542648	2621688	2595533	2664581	2566552	2901072
2012	2780441	2819931	2642387	2691390	2671575	2775362	2937988	3107542	3285540	3094823	2937213	3255314
ნაღდი ფული მიმოქცევაში												
2008	1184525	1225042	1287123	1391544	1348253	1413237	1468171	1439132	1399208	1350739	1248192	1290703
2009	1165976	1140243	1141167	1198714	1180359	1201168	1245729	1295874	1285586	1303035	1315117	1457938
2010	1357686	1356142	1398806	1412001	1431384	1460407	1501064	1530686	1500695	1503652	1487064	1618180
2011	1474969	1443728	1395350	1436103	1429488	1467042	1536990	1581259	1596306	1602717	1555417	1753584
2012	1565827	1528540	1542650	1535298	1523101	1606258	1685922	1822229	1999238	1854465	1808343	1918059
თანხები ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე												
2008	189974	173893	152157	145816	162319	188181	208115	116684	341116	237194	108216	230142
2009	208701	194900	175676	268577	335522	343687	516147	448446	407773	423279	350098	289732
2010	217510	299978	239217	164134	197181	132106	124090	91298	166772	214645	190543	157887
2011	196845	187779	134548	258562	214431	183062	179249	136526	278250	302443	263213	164433
2012	218346	171276	222443	291414	303374	272620	178077	360751	335152	287636	176845	270702
სავალდებულო რეზერვები												
2008	278254	287724	282537	282811	304555	296113	284582	150372	88204	103394	114144	121236
2009	130401	128926	125099	111001	106698	109160	110953	111872	121873	124398	129250	127291
2010	138340	140570	141969	141836	140190	148473	153540	159678	242133	239590	234329	244750
2011	507489	738549	771121	766509	779967	780070	794036	796237	719977	756920	736422	752332
2012	777989	792708	760194	764760	758070	821984	824818	877961	891592	859422	850225	874358



## 5. ფულის მასის აგრეგატების დინამიკა

(პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
ფართო ფული (M3)												
2008	4058254	4091244	4150554	4381380	4298190	4341414	4525406	4014688	4089682	4009512	4062943	4421698
2009	4146756	4035788	3815625	3637932	3676519	3746884	3922696	4133601	4258469	4392846	4374193	4763607
2010	4721983	4792164	4837432	4938623	4945487	5154387	5750228	5840047	5874149	5852008	5775637	6199009
2011	5970730	5959088	5899006	6062639	5995136	6164201	6221285	6481689	6558254	6550014	6352921	7097777
2012	6808396	6918706	6831744	6785909	7194519	7242927	7867540	7971705	7789119	7732669	7648450	7903739
ფართო ფული, უცხოური ვალუტით დეპოზიტების გარეშე (M2)												
2008	2118091	2214564	2398218	2502047	2466434	2573610	2710358	2421845	2405603	2301163	2070356	1999220
2009	1862990	1803649	1778077	1816818	1817639	1855529	1959227	2001147	2084222	2137782	2169100	2330486
2010	2207763	2304117	2400944	2494090	2452361	2537542	2612155	2650543	2625141	2696435	2785505	2960254
2011	2762739	2781235	2731566	2999071	2901295	2939244	3136504	3249717	3225245	3340316	3273675	3783180
2012	3646713	3711576	3560996	3694523	3637588	3686240	3921188	4019735	4050885	3918457	3802499	4069162
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)												
2008	1038612	1072474	1122923	1219459	1186454	1235407	1290945	1245779	1196489	1154045	1059340	1082554
2009	991498	961048	960173	1005005	1004352	1020409	1075848	1083575	1093340	1110999	1100696	1229436
2010	1132677	1142394	1186814	1219755	1234321	1269456	1315057	1334415	1306717	1302947	1280023	1372989
2011	1248360	1224546	1183232	1213635	1217040	1248893	1306298	1341026	1343738	1344431	1308118	1438992
2012	1308176	1285343	1276827	1273870	1277898	1344033	1422108	1534747	1633345	1555433	1498179	1550028
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით												
2008	1079479	1142090	1275296	1282589	1279980	1338203	1419414	1176067	1209114	1147118	1011017	916667
2009	871492	842601	817904	811813	813287	835120	883379	917572	990882	1026783	1068404	1101050
2010	1075086	1161722	1214129	1274335	1218041	1268086	1297097	1316128	1318424	1393488	1505482	1587265
2011	1514379	1556690	1548334	1785436	1684255	1690351	1830207	1908691	1881507	1995885	1965557	2344188
2012	2338537	2426233	2284169	2420652	2359690	2342207	2499080	2484988	2417540	2363025	2304321	2519134
დეპოზიტები უცხოური ვალუტით												
2008	1940163	1876680	1752335	1879332	1831756	1767804	1815048	1592843	1684080	1708349	1992587	2422478
2009	2283767	2232139	2037548	1821114	1858881	1891355	1963469	2132454	2174247	2255063	2205093	2433121
ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომითა და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებთან მიმართებაში აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და რეალური წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც მოვიპოვეთ აუდიტის მსვლელობისას აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

29 მარტი 2013

თბილისი, საქართველო

## საქართველოს ეროვნული ბანკი

მომგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
<b>უცხოური ოპერაციები</b>			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		246	586
მოთხოვნები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		3,683	5,609
სხვა		397	1,579
		4,326	7,774
გასაყიდად არსებული ინვესტიციები		23,859	23,795
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		414	803
		28,599	32,372
<b>ადგილობრივი ოპერაციები</b>			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		31,811	34,064
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		11,272	13,360
სხვა		139	201
		43,222	47,625
გასაყიდად არსებული ინვესტიციები		9,192	16,178
		52,414	63,803
		81,013	96,175
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
<b>უცხოური ოპერაციები</b>			
ვალდებულებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(14,015)	(16,928)
<b>ადგილობრივი ოპერაციები</b>			
გამოშვებული სავალდებულებები ფასიანი ქაღალდები		(36,773)	(38,332)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(13,467)	(10,892)
		(64,255)	(66,152)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე</b>		<b>16,758</b>	<b>30,023</b>
სხვა აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენა	17	344	320
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>17,102</b>	<b>30,343</b>
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე:			
-საკურსო სხვაობებიდან		7,337	(134,459)
-სავაჭრო ოპერაციებიდან		(784)	(14)
საკომისიო შემოსავლები	4	1,076	435
საკომისიო ხარჯები	4	(827)	(1,611)
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალიზებული ფასიანი ქაღალდებიდან		12,664	(244)
წმინდა არარეალიზებული (ზარალი)/მოგება ფასიანი ქაღალდებიდან და წარმოებული ინსტრუმენტებიდან		(10)	172
სხვა შემოსავლები	5	3,009	3,389
<b>არასაპროცენტო შემოსავალი/(ზარალი)</b>		<b>22,465</b>	<b>(132,332)</b>

## საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

შენიშვნა	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6,25	(11,317)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(5,454)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		(8,596)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,753)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(1,454)
სხვა ხარჯები		(12)
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>	<b>(30,586)</b>	<b>(23,034)</b>
<b>წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>	<b>8,981</b>	<b>(125,023)</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>		
წმინდა არარეალიზებული (ზარალი)/მოგება გასაყიდად		
არსებული ინვესტიციებიდან	(8,663)	5,180
<b>წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b>	<b>318</b>	<b>(119,843)</b>

**ბანკის საბჭოს სახელით:**

საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქადაგიძე

29 მარტი 2013

თბილისი, საქართველო

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
სალომე სხირტლაძე

29 მარტი 2013

თბილისი, საქართველო

9-59 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**საქართველოს ეროვნული ბანკი**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>აქტივები:</b>			
<b>აქტივები უცხოური ვალუტით</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,474,372	1,690,301
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	355	1,214
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	366,645	373,034
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	186	-
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	11	166,500	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	2,740,671	2,481,219
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	13	11,443	11,493
სხვა აქტივები	17	779	2,742
		<b>4,760,951</b>	<b>4,711,272</b>
<b>აქტივები ეროვნული ვალუტით</b>			
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	8,159	124,997
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	391,076	13,505
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	13	522,321	562,361
გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებები	14	2,818	3,160
ძირითადი საშუალებები	15	74,772	27,019
არამატერიალური აქტივები	16	4,625	5,702
სხვა აქტივები	17	7,422	43,345
		<b>5,772,144</b>	<b>5,491,361</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>5,772,144</b>	<b>5,491,361</b>
<b>გაღებულ ვალდებულებები და კაპიტალი:</b>			
<b>გაღებულ ვალდებულებები უცხოური ვალუტით</b>			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	945,146	761,636
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	209,228	184,933
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	957,585	1,350,738
სხვა ვალდებულებები	17	659	1,499
		<b>2,112,618</b>	<b>2,298,806</b>
<b>გაღებულ ვალდებულებები ეროვნული ვალუტით</b>			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	20	1,918,059	1,753,584
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	392,108	385,852
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	744,628	573,818
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	21	1,168	621
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	562,844	442,128
სხვა ვალდებულებები	17	12,467	8,618
		<b>5,743,892</b>	<b>5,463,427</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>5,743,892</b>	<b>5,463,427</b>
<b>კაპიტალი:</b>			
საწესდებო კაპიტალი	23	15,000	15,000
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	23	4,309	-
გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	23	8,943	17,606
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		-	(4,672)
		<b>28,252</b>	<b>27,934</b>
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>28,252</b>	<b>27,934</b>
<b>სულ გაღებულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>5,772,144</b>	<b>5,491,361</b>

**ბანკის საბჭოს სახელით:**

საბჭოს თავმჯდომარე  
გიორგი ქადაგიძე

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
სალომე სხირტლაძე

29 მარტი 2013  
თბილისი, საქართველო  
9-59 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილე- ბეგლი მოგება	სულ კაპიტალი
<b>1 იანვარი 2011</b>	<b>15,000</b>	<b>60,692</b>	<b>59,659</b>	<b>12,426</b>	<b>23,986</b>	<b>171,763</b>
წლის სრული ზარალი ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხვა	-	-	-	5,180	(125,023)	(119,84)
სარეზერვო ფონდიდან გადატანა	-	(60,692)	-	-	(23,986)	(23,986)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა	-	-	(59,659)	-	60,692	-
<b>31 დეკემბერი 2011</b>	<b>15,000</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>17,606</b>	<b>(4,672)</b>	<b>27,934</b>
წლის სრული მოგება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 23)	-	-	4,309	(8,663)	8,981	318
<b>31 დეკემბერი 2012</b>	<b>15,000</b>	<b>-</b>	<b>4,309</b>	<b>8,943</b>	<b>-</b>	<b>28,252</b>

ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე  
გიორგი ქადაგიძე

29 მარტი 2013  
თბილისი, საქართველო

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
სალომე სხირტლაძე

29 მარტი 2013  
თბილისი, საქართველო

9-59 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ლარში)


შენიშვნა	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		
მიღებული პროცენტი	104,449	105,517
გადახდილი პროცენტი	(60,952)	(63,321)
მიღებული საკომისიო შემოსავალი	1,076	434
გადახდილი საკომისიო ხარჯები	(827)	(1,611)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა ზარალი	12,176	(128)
წმინდა რეალიზებული ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	(784)	(14)
სხვა მიღებული შემოსავალი	2,892	3,374
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(11,317)	(10,262)
ფულის ბეჭდვაზე გაწეული ხარჯი	(9,798)	(3,997)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,332)	(5,476)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>	<b>31,583</b>	<b>24,516</b>
<b>წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</b>		
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(376,712)	183,005
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	5,639	(932)
საგაჭრო ფასიანი ქაღალდები	(16,858)	16,881
სხვა აქტივები	1,394	(36,484)
<b>წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:</b>		
მიმოქცევაში გაშვებული ფული	164,475	135,404
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	189,604	739,152
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	194,556	(41,904)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	547	341
სხვა ვალდებულებები	2,916	3,928
<b>ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>197,143</b>	<b>1,023,907</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>		
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან	117	14
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(5,649)	(4,334)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(218)	(4,357)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შესყიდვა	-	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების დაფარვიდან მიღებული შემოსავლები	-	62,613
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შესყიდვა	(2,635,457)	(2,880,663)
გასაყიდად არსებული ინვესტიციების გაყიდვით მიღებული შემოსავლები	2,506,024	1,733,653
<b>ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(135,183)</b>	<b>(1,093,074)</b>

**საქართველოს ეროვნული ბანკი**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**  
**2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ლარში)*

	შენიშვნა	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:</b>			
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გასანაწილებელი მოგების გადარიცხვა		-	(23,986)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		1,563,944	1,393,677
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(1,443,097)	(1,310,333)
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებების დაფარვა		(385,459)	(100,094)
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(264,612)	(40,736)
<i>ფულსა და ფულის ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი</i>		(13,278)	(104,575)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(215,929)	(214,478)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	7	1,690,301	1,904,779
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	7	1,474,372	1,690,301

**ბანკის საბუღალსო სახელით:**

  
 \_\_\_\_\_  
**საბუღალსო თავმჯდომარე**  
**გიორგი ქლადაგიძე**

29 მარტი 2013  
 თბილისი, საქართველო

  
 \_\_\_\_\_  
**ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
 დეპარტამენტის უფროსი**  
**სალომე სხირტლაძე**

29 მარტი 2013  
 თბილისი, საქართველო

9-59 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

წინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შენიშვნები  
2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)

---

## 1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. იგი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში „კანონი“) და სრულად ჩაანაცვლა 1995 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებული კანონი.

კანონის მე-3 მუხელში გაწერილია ბანკის შემდეგი მიზნები და ფუნქციები:

- ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა;
- ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს საქართველოში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ისე, რომ არ შეფერხდეს მისი ძირითადი ამოცანის შესრულება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულების შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს ფულადი და სავალუტო პოლიტიკა;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- იყოს საქართველოს მთავრობის საბანკო და ფინანსური აგენტი;
- უზრუნველყოს საგადასახდო სისტემის შედეგიანი მუშაობა;
- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის ფინანსური და საგარეო სექტორის სტატისტიკა;
- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით, ორგანული კანონის საფუძველზე განახორციელოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;
- განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ბანკი საქართველოს წარადგენს უცხოური ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ბანკის პასუხისმგებლობასა და ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

ბანკი უფლებამოსილია გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულებები უცხოურ ცენტრალურ ბანკებთან მისი საქმიანობის ფარგლებში. მას შეუძლია საკუთარი სახელით, და უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სახელით, გააფორმოს კლირინგის, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ხელშეკრულებები უცხოურ საჯარო და კერძო კლირინგის სააგენტოებთან.

ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების კაპიტალსა და საქმიანობაში ფულად, სავალუტო და საბანკო სფეროებში თანამშრომლობის მიზნით.

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი (2012)	სახელი (2011)
თავმჯდომარე	გიორგი ქადაგიძე (პრეზიდენტი)	გიორგი ქადაგიძე (პრეზიდენტი)
წევრი	არჩილ მესტიერიშვილი	არჩილ მესტიერიშვილი
წევრი	ოთარ ნადარაია	ოთარ ნადარაია
წევრი	ლაშა ჯუღელი	ლაშა ჯუღელი
წევრი	ნიკოლოზ გონგლიაშვილი	თემურ შენგელია
წევრი	ვაჟა ჯანყარაშვილი	მიხეილ ტოკმაზიშვილი
წევრი		სიმონ გელაშვილი

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქუჩა 2, 0114, თბილისი, საქართველო. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ერთი, ხოლო 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი საკასო მომსახურების ცენტრი. 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო შესაბამისად 322 და 290 თანამშრომელი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

### ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

### წარდგენის კრიტერიუმის სხვა საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებებისა, როგორც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ ბუღალტრულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ბანკი ვალდებულია ბუღალტრული ჩანაწერები აწარმოოს ლარში და ამავე ვალუტაში მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ლარი წარმოადგენს ბანკის საანგარიშგებო და ფუნქციონალურ ვალუტას, ვინაიდან ეს არის ბანკის ეკონომიკური გარემოს ვალუტა. სხვა ვალუტაში განხორციელებული გარიგებები აისახება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე), ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

### 3. ბუნალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

#### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით არ ხდება, მას ემატება გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივისა და ვალდებულების შესყიდვასა და გამოშვებას. აღნიშნული აქტივებისა და ვალდებულებების შემდგომი შეფასების პოლიტიკა განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ შესაბამის ბუნალტრულ პოლიტიკებში.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### *ფინანსური აქტივები*

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგება ან ზარალის ჯამს შორის, აღიარებას მოგებასა და ზარალში ექვემდებარება.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ბანკი ანაწილებს აღიარების შეწყვეტამდე ფინანსური აქტივის არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებულ შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრულ შემოსავალში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, აღიარებულ უნდა იქნას მოგებაში და ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

##### *ფინანსური ვალდებულებები*

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე, ვადიან დეპოზიტებს ერთდღიანი დეპოზიტების ჩათვლით და იმ მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადით, რომლებსაც არ გააჩნიათ საკონტრაქტო ვალდებულებები.

## **ძვირფასი ლითონები**

ოქროს სამახსოვრო მონეტები აღიარებას ექვემდებარება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. სამახსოვრო მონეტების გაყიდვისას წარმოშობილი მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამახსოვრო მონეტებზე გაწეული სხვა ხარჯები აღიარებას გადახდისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## **მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ**

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი სესხების, ავანსებისა და დეპოზიტების სახით განსხვავებული ვადებით განათავსებს სახსრებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე. ისინი არ წარმოიქმნება დაუყოვნებელი, ან მოკლევადიანი გადაყიდვის მიზნით და არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, ან გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციები. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ თავდაპირველად რეალური ღირებულებით აისახება, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს სესხებისა და მოთხოვნების აღიარების შეწყვეტას ან გაუფასურებას, ან ამორტიზაციას.

## **საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წევრობა**

კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ბანკი მოქმედებს როგორც საქართველოს მთავრობის შუამავალი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან მიმართებაში, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისთვის საწევრო შენატანების გადახდას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია მონეტარული ურთიერთობების, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და რეგულარული გაცვლითი ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით; ეკონომიკური განვითარების და დასაქმების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა ქვეყნების დროებითი ფინანსური ხელშეწყობისათვის. წევრობის კვოტა (საწევრო შენატანები) წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების ძირითად წყაროს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი რესურსებს წევრი ქვეყნებისაგან იღებს. თითოეული ქვეყნის შენატანი განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური დონის გათვალისწინებით და მხედველობაში მიიღება მსგავსი ქვეყნების შენატანები. წევრის შენატანი ასახავს მის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური და ორგანიზაციული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გადახდილი საწევრო დენომინირებულია SDR-ში და გადაფასებულია ლარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მისი ფინანსური წლის ბოლოს დაწესებული სავალუტო გაცვლითი კურსით. კვოტა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ისინი არ წარმოადგენს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს, არამედ განიხილება როგორც გარე-საბალანსო ანგარიშები და შესაბამისად ნაჩვენებია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამასთანავე, ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო სავალუტო ფონდს აქვს უფლებამოსილება შექმნას უპირობო ლიკვიდობა SDR განყოფილების წევრი ქვეყნებისათვის კვოტის პროპორციულად ზოგადი SDR სახსრების განაწილებით. ზოგადი სახსრების განაწილება ემსახურება რეზერვების შევსების გრძელვადიან გლობალურ საჭიროებებს ეკონომიკური სტაბილიზაციის, დეფლაციისა და ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილების თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აგრეთვე განახორციელა SDR სახსრების სპეციალური განაწილება წევრი ქვეყნებისთვის დაგროვილი SDR სახსრების კვოტასთან მიმართებაში გაზრდის მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იხდის SDR სახსრების აქტივის მხარეს დარიცხულ პროცენტს და ამასთანავე, ანალოგიურ საპროცენტო განაკვეთს აწესებს თითოეული წევრის წმინდა დაგროვილ SDR სახსრებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულება თავისი წევრი ქვეყნებისათვის არ განსაზღვრავს SDR სახსრების საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებს. ბანკი აღრიცხავს SDR პოზიციას თავის ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა SDR განყოფილებაში მონაწილეობით გამოწვეული უფლებები და ვალდებულებები, SDR სახსრების განაწილებით გამოწვეული უფლებებისა და ვალდებულებების ჩათვლით, წარმოადგენს SDR განყოფილების წევრი ქვეყნის უფლებებსა და ვალდებულებებს. წევრი ქვეყანა ვალდებულია დაფაროს მიღებული SDR სახსრები SDR განყოფილებიდან გამოსვლის ან SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებულ ზოგად და სპეციალურ სახსრებს ბანკი აღრიცხავს, აქტივის მხარეს როგორც SDR-ის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში და ვალდებულების მხარეს, როგორც ვალდებულებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

### **მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, თუ ფინანსური აქტივი განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, ან მოგებასა და ზარალში ასახულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივები განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი იმ შემთხვევაში, თუ:

- შესყიდულია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომელიც ერთად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განეკუთვნება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს გააჩნიათ ჰეჯირების ინსტრუმენტის დანიშნულება.

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამოიზნული ფინანსური აქტივების გარდა თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს რეალური ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ელიმინირდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;
- ფინანსური აქტივი შეადგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე ბანკის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეტ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” უფლებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) რეალური ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში გადაფასებისას წარმოქმნილი მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, რომელიც წარმოდგენილია წმინდა ზარალში სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. რეალური ღირებულება განსაზღვრულია 26-ე შენიშვნაში მოცემული განმარტების შესაბამისად.

### **წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი ვალუტისა და ლიკვიდობის რისკის მართვისა და სავაჭრო მიზნებისათვის იყენებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათ შორის ფორვარდებს და სვოპებს. ბანკის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ განისაზღვრება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები და არ ექვემდებარება ჰეჯირების ბუღალტრულ აღრიცხვას. წარმოებული ინსტრუმენტი თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით წარმოებული ინსტრუმენტის კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შედეგად ანგარიშგების თარიღისათვის გადაფასდება მათი რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება ეფუძნება კოტირებულ საბაზრო ღირებულებას, ან საფასო მოდელს, რომელიც ითვალისწინებს მოცემული ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო და კონტრაქტით გათვალისწინებულ ფასებსა და სხვა ფაქტორებს. წარმოებული ინსტრუმენტი მიჩნეულია აქტივებად, თუ რეალური ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად იმ შემთხვევაში თუ იგი უარყოფითია.

წარმოებული ინსტრუმენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში. ამ ფინანსური ინსტრუმენტებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებიდან მიღებულ წმინდა მოგებასა თუ ზარალში.

### **გასაყიდად არსებული ინვესტიციები**

გასაყიდად არსებული ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციებს კაპიტალში და სავალლო ფასიან ქაღალდებში, რომელთა ფლობა განზრახულია განუსაზღვრელი ვადით. გასაყიდად არსებული ინვესტიციები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით. შემდგომში ფასიანი ქაღალდების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და გადაფასების შედეგი აისახება პირდაპირ კაპიტალში, გარდა გაუფასურების დანაკარგებისა, უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება-ზარალისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა, რომლებიც პირდაპირ აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაყიდვის შედეგად კაპიტალში ასახული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება. გასაყიდად არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. თუ არ არსებობს მოქმედი ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას დისკონტირებული ფულადი სახსრებისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით განსაზღვრავს. შეფასების მეთოდები მოიცავს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, კარგად გათვითცნობიერებული და გარიგებაში მონაწილეობის სურვილის მქონე მხარეებს შორის განხორციელებული საბაზრო გარიგებების მონაცემების გამოყენებას, ასევე ანალიტიკური ხასიათის სხვა მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების ანალიზს და ვარიაციული მოდელის გამოყენებას. თუ არსებობს შეფასების მეთოდი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ბაზარზე ინსტრუმენტების შესაფასებლად და თუ იყო ნაჩვენები, რომ ეს მიდგომა უზრუნველყოფს სარწმუნო შეფასებას, რომელიც საბაზრო გარიგებებისათვის გამოიყენება, ბანკი ამ მეთოდს იყენებს.

### **დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები**

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს სავალლო ფასიან ქაღალდებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული ვადასებით. ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით. დისკონტის ამორტიზაცია დაფარვის ვადის დადგომამდე პერიოდის განმავლობაში აისახება

როგორც საპროცენტო შემოსავალი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### **ჩამოწერილი სესხები და ავანსები**

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში აისახება.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ბანკი ადგენს იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს, რომლებიც არ არის ასახული რეალური ღირებულებით. ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მისაღები თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მიეკუთვნოს გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც ხელმძღვანელობის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე აღებული არ არის არსებითი.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე რეზერვის ხარჯის ანგარიშის საშუალებით (ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისათვის), ან პირდაპირი ჩამოწერით (თვითღირებულებით ასახული აქტივებისათვის). ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ბანკი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მსესხებლის ან გამომწეგების ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკები, მსგავსი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ დანაკარგების შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორებს. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების თანხა საკმარისია რისკს დაქვემდებარებულ აქტივებზე გაწეული დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ბანკმა განიცადოს დანაკარგები, რომლებიც აღემატება აღრიცხული გაუფასურების რეზერვის ოდენობას.

### **გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები**

გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი, იმ შემთხვევაში თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ აქტივების საბალანსო ღირებულება

აღდგება გაყიდვის გარიგების შედეგად და არა აქტივის გამოყენების გაგრძელების შედეგად, და თუ აქტივის (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გაყიდვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ მის არსებულ მდგომარეობაში. ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს და დასრულებულად ასახოს გაყიდვა აქტივის გასაყიდად განკუთვნილად აღიარების თარიღიდან ერთ წელიწადში.

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდად განკუთვნილი აქტივების რეალური ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, გაუფასურების დანაკარგები აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც ზარალი გასაყიდად განკუთვნილ გრძელვადიან აქტივებზე. აქტივების გაყიდვის ხარჯების გამოკლებით რეალური ღირებულების შემდგომი ზრდა აღიარებას ექვემდებარება დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების თანხით, რომელიც უკვე აისახა ამ კონკრეტულ აქტივთან მიმართებაში.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
ტრანსპორტი	20
სხვა	20

რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენებად ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების მოხმარების პერიოდი შეფასებულია, როგორც განსაზღვრული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ობიექტური მანკვნებლის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

## **საგადასახადო დაბეგვრა**

ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

## **მიმოქცევაში გაშვებული ფული**

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ კანონისა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით შემცირებული ნომინალური ღირებულებით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწვევისთანავე.

როდესაც კომერციული ბანკები უბრუნებენ ბანკს ბანკნოტებს, ხდება მათი მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან ამოღება და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი ან განადგურება, ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა.

## **ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების, კლიენტთა და ფინანსთა სამინისტროს მიმართ და გამოშვებული სავალლო ფასიანი ქაღალდები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები, ან მათი ეკონომიკური კომპონენტები კლასიფიცირდება როგორც ვალდებულებები, როდესაც კონტრაქტის პირობების საფუძველზე ბანკს გააჩნია ვალდებულება მფლობელს გადასცეს ფულადი სახსრები, ან სხვა ფინანსური აქტივი, ან დაფაროს ვალდებულება ფულადი სახსრების ფიქსირებულ თანხაზე, ან სხვა ფინანსური აქტივი საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე გაცვლის საშუალებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების, კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალლო ფასიან ქაღალდებს და ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ. ისინი თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით გარიგების პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

## **ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

## **პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოვების მიღებაა ნავარაუდები.

## **საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ**

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა რაიმე მოქმედი საპენსიო გეგმა, ან პენსიაზე გასვლის შემდგომი კომპენსაცია. 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა საპენსიო სქემის მიხედვით ვალდებულებები 523 და 638 ლარის ოდენობით (შენიშვნა 17), რაც წარმოადგენს 2009 წლის 29 მაისს გაუქმებული საპენსიო პროექტის მიხედვით გადასახდელ ვალდებულებებს. ამ საპენსიო პროექტის ფარგლებში ბანკი საკუთარი თანამშრომლებისაგან იღებდა საპენსიო შენატანებს და საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ დაგროვილი თანხიდან უხდიდა თანამშრომლებს პენსიას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

## **შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

### ***საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი***

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და საპროცენტო შემოსავლების მქონე სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით აღრიცხვა წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების ან შემოღების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში. გამოთვლისას გათვალისწინებულია ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული საკონტრაქტო პირობები (მაგ.: წინასწარი გადახდის შესაძლებლობა) რაც მოიცავს ნებისმიერ გასამრჯელოს, ან დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს, და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი შეცვლის გადახდებისა და შემოსავლების შეფასებებს, საჭირო ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აისახება როგორც საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება), გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში.

### ***საკომისიო შემოსავლები და ხარჯები***

ბანკი იღებს საკომისიო შემოსავლებს კონტრაგენტებისათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებსა და გადარიცხვების საკომისიოს, რაც აისახება როგორც მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი. საკომისიო ხარჯები მოიცავს საოპერაციო და ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს, და გარე ხელმძღვანელისათვის გადახდილ საკომისიოს.

### **უცხოური ვალუტის გადაფასება**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება ფუნქციონალურ ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში – საკურსო სხვაობებში, რომელიც ბანკს გადააქვს უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გადაფასების მომავალი წმინდა ზარალის კომპენსირების მიზნით, როგორც აღწერილია 23-ე შენიშვნაში. სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

**გაცვლითი კურსები**

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6567	1.6703
ლარი/1 ევრო	2.1825	2.1614
ლარი/1 ავსტრალიური დოლარი	1.7200	1.6980
ლარი/1 ფუნტი სტერლინგი	2.6653	2.5776
ლარი/1 SDR	2.5567	2.5644

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ბანკი ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, როდესაც ასახავს იმ ფინანსური აქტივების გადაცემას, რომლებიც არ ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას.

**ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია**

იმ შემთხვევაში, თუ სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ აქტივებად კლასიფიცირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივების გაყიდვა ახლო მომავალში აღარ იგეგმება, შესაძლებელია მათი რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების კატეგორიებიდან შემდეგ კატეგორიებში:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მოცემულ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას, შეიძლება რეკლასიფიცირდეს სესხებისა და მოთხოვნებში, თუ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი ფლობდეს ამ აქტივებს ახლო მომავალში ან დაფარვის ვადამდე;
- სხვა ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულ, ან დაფარვის ვადამდე ფლობილი ინსტრუმენტების კატეგორიებში შესაძლებელია მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას, იმ შემთხვევაში რეკლასიფიცირდება სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში, თუ ბანკს აქვს განზრახვა და უნარი ფლობდეს მას ახლო მომავალში, ან დაფარვის ვადამდე.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ხორციელდება მათი რეალური ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით. მოგებასა თუ ზარალში უკვე აღიარებული მოგებისა და ზარალის რეზერვის აღდგენა არ ხორციელდება. ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით რეალური ღირებულება ხდება მისი ახალი თვითღირებულება, ან თუ მართებულია მისი ამორტიზებული ღირებულება.

**ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო**

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი მითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ მოგებასა და ზარალზე პერიოდის ბოლოსათვის. დაშვებები და განსჯითი შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ბანკის ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში. ბანკის ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი დაშვებები და შეფასებები.

## **ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება**

მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტები და ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ასახულია რეალური ღირებულებით. ამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება წარმოადგენს დადგენილ თანხას, რომლითაც იგი გაიცვლება მოსურვე მხარეებს შორის გარდა იძულებითი, ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ კოტირებული ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულება არსებობს, რეალური ღირებულება იანგარიშება საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ ჩანს ბაზრის მონაცემებიდან, ან მათი განსაზღვრა შეუძლებელია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რეალური ღირებულება დგინდება სხვა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება თითოეული პროდუქტისა და ფასის დადგენის მოდელს და იყენებს ფინანსურ თეორიებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდოლოგიას. ფასის დადგენის მოდელი ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კონტრაქტის პირობებს და შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, ცვალებადობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგი. იქ, სადაც არ არსებობს ბაზარზე დაფუძნებული პარამეტრები, ხელმძღვანელობა ადგენს ამ პარამეტრის შეფასების საუკეთესო შედეგს იმის გათვალისწინებით, თუ ინსტრუმენტის რა ფასი დადგინდებოდა ბაზარზე. ამ მიდგომის განხორციელებისას გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს: სარწმუნო განსახილველ მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციის მეთოდებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის გარიგების ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე. ნებისმიერი სხვაობა გარიგების ფასსა და ღირებულებას შორის, რომელიც შეფასების ტექნიკას ეფუძნება არ აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო დასაბუთება არის გარიგების ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შედარების საფუძველზე.

ბანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებასთან დაკავშირებული ბუღალტრული დაშვება, იმ შემთხვევაში როდესაც კოტირებული საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს შეფასების არასაწრმუნოების მთავარ წყაროს, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მისი პერიოდული ცვლილებისა, რადგანაც იგი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებს საპროცენტო განაკვეთებთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგთან, შეფასების კორექტირებასა და გარიგების სპეციფიურ მახასიათებლებთან მიმართებაში; და (II) შეფასების ცვლილების აღიარების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს აქტივებსა და ასევე მოგებასა ან ზარალზე, რომელიც შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა დაშვებები საპროცენტო განაკვეთებთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგთან და შეფასების კორექტირებასთან მიმართებაში, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, რომელთათვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები, შეფასების როგორც დიდ ასევე პატარა ცვლილებას არსებითი გავლენა ექნებოდა ბანკის წარმოადგენილ წმინდა მოგებაზე.

## **გაუფასურების დანაკარგების რეზერვი სესხებსა და ავანსებზე**

ბანკი გაუფასურების შეფასების მიზნით რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და ავანსებს. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და ავანსების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეფასების არასაწრმუნოების მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, რადგანაც მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისათვის არსებულ ინფორმაციაზე, და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ბანკი ეყრდნობა ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დანაკარგების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, რაც უკავშირდება ბანკის აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი მიმართავს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

***ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა***

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ და იურიდიულ მოძველებას, ფიზიკურ მოხმარებასა და ცვეთას და აქტივის საოპერაციო გარემოს პარამეტრებს. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთისა და ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

**ახალი და შუსწორებული ფინანსური აღრიცხვის სამართაშორისო სტანდარტების (შასს) მიღება**

**ცვლილებები ბასს 1-ში “სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების წარდგენა”**

ბანკმა წინასწარ მიიღო ბასს 1-ის ცვლილებები “სხვა სრული შემოსავლის წარდგენა”-სთან დაკავშირებით ძალაში შესვლის თარიღამდე, 2012 წლის 1 ივლისით დაწყებული ანგარიშგების პერიოდი. მოცემული შესწორებების საფუძველზე დამკვიდრდა ახალი ტერმინოლოგია “სრული მოგება-ზარალის ანგარიშგების” და “შემოსავლის ანგარიშგების”. ბასს 1-ის “სხვა სრული მოგება-ზარალის წარდგენა” ცვლილებების შესაბამისად “სრული მოგება-ზარალის ანგარიშგების” ნაცვლად დამკვიდრდა “მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება”, ასევე “შემოსავლის ანგარიშგების” ნაცვლად - “მოგება-ზარალის ანგარიშგება”.

ცვლილებები ბასს 1-ში “სხვა სრული შემოსავლის წარდგენა” იძლევა შესაძლებლობას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, როგორც ერთ ისევე ორ, მაგრამ თანმიმდევრულ ანგარიშგებად წარდგენას. მიუხედავად ამისა, ცვლილებები ბასს 1-ში “სხვა სრული შემოსავლის წარდგენა” მოითხოვს სხვა სრული შემოსავლის პუნქტების ორ კატეგორიად დაჯგუფებას სხვა სრული შემოსავლის განყოფილებაში: (ა) პუნქტები, რომელთა რეკლასიფიცირება არ მოხდება შემდგომში მოგება-ზარალის ფარგლებში და (ბ) პუნქტები, რომელთა რეკლასიფიცირება შესაძლებელია შემდგომში მოგება-ზარალში კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ცვლილებების მიღება მოხდა რეტროსპექტიულად, შესაბამისად მოხდა “სხვა სრული შემოსავლის წარდგენის” მოდიფიცირება ცვლილებების ასახვის მიზნით. წარდგენაში ზემოხსენებული ცვლილებების გარდა ცვლილებები ბასს 1-ში “სხვა სრული შემოსავლის წარდგენა” არ გამოიწვევს არანაირ გავლენას მოგება-ზარალზე, სხვა სრულ შემოსავალზე ან სრულ შემოსავალზე.

## გამოცემული და ჯერ არ მიღებული ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღისათვის, გამოცემულ იქნა, თუმცა ძალაში არ იყო შესული, შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ხანკმა არ მიიღო მათი ძალაში შესვლის თარიღამდე:

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“<sup>3</sup>
- ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“<sup>3</sup>
- ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებები“<sup>3</sup>
- ფასს 12 „სხვა კომპანიებში მონაწილეობის წარდგენა“<sup>3</sup>;
- ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“<sup>2</sup>;
- ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებების” ცვლილება – “ განმარტებები – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა”<sup>1</sup>;
- ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტებისა” და ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებების” ცვლილებები - ფასს 9-ის ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღი და ტრანზიციის განმარტებები”<sup>3</sup>;
- ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება”, ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებები” და ფასს 12 „სხვა კომპანიებში მონაწილეობის წარდგენა” ცვლილებები - “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება”, “ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებები” და “სხვა კომპანიებში მონაწილეობის წარდგენა: ტრანზიციის განმარტებები”<sup>1</sup>;
- ფასს 19 (შეიცვალა 2011 წელს) “თანამშრომელთა გასამრჯელო”<sup>2</sup>;  
ფასს 27 (შეიცვალა 2011 წელს) “ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები”<sup>2</sup>;  
ბასს 28 „ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში” (შეიცვალა 2011 წელს)<sup>2</sup>;
- ბასს 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენის” ცვლილება – “ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა”<sup>4</sup>;
- ფასს-ის ცვლილებები – ცვლილებები შევიდა 2009-2011წწ. ფასს-ის ყოველწლიური შესწორებებიდან: ბასს 1-ის ცვლილებების გარდა (*იხ. ზემოთ*)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ძალაშია 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით;

<sup>2</sup> ამ ხუთი სტანდარტიდან თითოეული სტანდარტი ძალაში შევა 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისათვის და მათი ადრე გამოყენება დაშვებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ხუთივე სტანდარტის ადრე გამოყენება (გარდა ფასს 12-ისა, რომლის ადრე გამოყენება დაშვებულია სხვა სტანდარტებისგან დამოუკიდებლად).

<sup>3</sup> ძალაშია 2015 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით.

<sup>4</sup> ძალაშია 2014 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდისთვის ადრე გამოყენების დაშვებით.

### ფასს 7-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა” და ბასს 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: პრეზენტაცია” ცვლილებები – “ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მასთან დაკავშირებული წარდგენები”

ბასს 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: პრეზენტაცია” ცვლილება მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება განმარტავს შემდეგ ტერმინებს: “მიენიჭა გაქვითვის იურიდიული უფლება”, და “სინქრონული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

ფასს 7-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა” ცვლილება მოითხოვს საწარმოსგან ინფორმაციას გაქვითვასა და მასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე (როგორცაა დამატებითი მოთხოვნები) ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში არსებული შეთანხმების საფუძველზე.

წარდგინებები უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად შესაბამისი პერიოდებისათვის.

## **ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”**

ფასს 9, “ფინანსური ინსტრუმენტები”, რომელიც გამოშვებულ იქნა 2009 წლის ნოემბერში და შეიცვალა 2010 წლის ოქტომბერში, წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან და აღიარების შეწყვეტასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის, რომელსაც ეხება ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, აღიარების შემდგომი განსაზღვრა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სასესხო ინსტრუმენტები, რომლებსაც ბიზნეს მოდელის შესაბამისად იყენებენ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების მიღების მიზნით და რომელთაც გააჩნიათ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილ ძირითად თანხებზე დარიცხვული პროცენტის გადახდებს, ზოგადად აისახება ამორტიზებული ღირებულებით ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოს. ყველა სხვა სასესხო ინსტრუმენტი აისახება რეალური ღირებულებით აღიარების შემდგომი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. წინა პერიოდებში, ბასს 39-ის საფუძველზე მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილების ერთიანი თანხა აღიარებას ექვემდებარებოდა მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში უკავშირდება (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული) ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ისეთი ცვლილების ასახვას, რომელიც გამოწვეულია ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით. კერძოდ, ფასს 9-ს გათვალისწინებისას, ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აისახება, რეალური ღირებულების ცვლილების თანხა ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შემთხვევაში აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი აღიარება გამოიწვევს, ან გაზრდის ბუღალტრულ შეუსაბამობას მოგებასა და ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი რეალურ ღირებულებაზე არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში. წინა პერიოდებში, ბასს 39-ის საფუძველზე მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ერთიანი თანხა აღიარებას ექვემდებარებოდა მოგებასა და ზარალში.

ბანკის ხელმძღვანელობა აპირებს ფასს 9-ს მიღებას 2015 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდიდან მომზადებული ბანკის ფინანსური ანგარიშგებისთვის და თვლის, რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამსახველ თანხებზე.

## **ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასება”**

ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასება” მიზნად ისახავს შესაბამისობის გაუმჯობესებასა და სირთულეების აღმოფხვრას იმის საშუალებით, რომ უზრუნველყოფს რეალური ღირებულების ზუსტ განმარტებას, რეალური ღირებულების შეფასების და წარდგენის მოთხოვნების ერთიან წყაროს, რაც გამოყენებულ იქნება ფასს-ში. სტანდარტი მოიცავს რეალური ღირებულების განსაზღვრას, ცალკე ფასს-ისთვის რეალური ღირებულების შეფასების საშუალებებს, რეალური ღირებულების შეფასების წარდგენის აუცილებლობას. ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასების” არეალი ფართოა, ის გამოიყენება როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რისთვისაც სხვა ფასს-ის შემთხვევებში საჭიროა რეალური ღირებულების შეფასება და განმარტებები გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ზოგადად, ფასს 13-ის “რეალური ღირებულების შეფასების” წარდგინების მოთხოვნები გაცილებით უფრო ვრცელი და ამომწურავია, ვიდრე რაც სხვა მოქმედი სტანდარტებით მოითხოვება. მაგალითად, რაოდენობრივი და ხარისხობრივი წარდგინებები, რომლებიც ემყარება სამსაფეხურიან რეალურ ღირებულებას და მოითხოვება მხოლოდ ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენები”, გაფართოვდება ფასს 13 “რეალური ღირებულების შეფასებით”, რათა მოიცვას ყველა სახის აქტივები და ვალდებულებები.

ბანკი არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს ექნებათ არსებითი ზეგავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან საკმედიანობის შედეგებზე.

**4. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები**

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>საკომისიო შემოსავლები:</b>		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	1,049	413
სხვა	27	22
<b>სულ საკომისიო შემოსავლები</b>	<b>1,076</b>	<b>435</b>
<b>საკომისიო ხარჯები:</b>		
გარე მენეჯერისათვის გადახდილი საკომისიო	(494)	(500)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(202)	(182)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(131)	(37)
ვალდებულების საკომისიოს დაბრუნება	-	(892)
<b>სულ საკომისიო ხარჯები</b>	<b>(827)</b>	<b>(1,611)</b>

**5. სხვა შემოსავლები**

სხვა შემოსავლები მოიცავს:

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შემოსავალი მიღებული გრანტიდან	1,102	590
შემოსავალი ჯარიმებიდან	882	433
სამაქსოვრო მონეტების გაყიდვიდან მიღებული მოგება	633	1,462
სხვა	392	904
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>3,009</b>	<b>3,389</b>

## 6. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	10,721	9,665
ანაზღაურებადი შევსება და ბიულეტენი	596	597
<b>სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები</b>	<b>11,317</b>	<b>10,262</b>
საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებასთან დაკავშირებული ხარჯები	1,233	1,267
საინფორმაციო მომსახურება	822	648
დაცვის ხარჯები	633	636
კომუნალური ხარჯები	589	421
სოციალური დახმარება	408	359
საწვავის ხარჯები	259	192
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	205	37
სარეკლამო ხარჯები	179	37
პროფესიული მომსახურება	170	176
მივლინება და მასთან დაკავშირებული ხარჯები	145	196
კომუნიკაციის ხარჯები	106	71
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	73	262
დაზღვევის ხარჯები	48	39
რემონტი და შეკეთება	28	22
საოფისე ხარჯი	26	23
სხვა	530	332
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>5,454</b>	<b>4,718</b>
ცვეთის ხარჯი (შენიშვნა 15)	2,459	2,429
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 16)	1,294	616
<b>სულ ცვეთა და ამორტიზაცია</b>	<b>3,753</b>	<b>3,045</b>

ბანკის მიერ დაფინანსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხარჯები მოიცავს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან დაკავშირებულ ხარჯებს.

## 7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	237,730	147,917
მიმდინარე ანგარიშები	149,450	78,930
ვალიანი დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში 90 დღემდე ვადით	1,087,192	1,463,454
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>1,474,372</b>	<b>1,690,301</b>

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 1,102,981 და 1,190,379 ლარი განთავსებული იყო საერთაშორისო აღიარებული ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო) ცხრა (2011: ხუთი) კომერციულ და ცენტრალურ ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტებზე.

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტების ოთხმოცდაათ დღემდე ვადის მქონე დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შესაბამისად შეადგენდა 0.16-3 და 0.06-4.4 პროცენტს.

### 8. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით:</b>		
მოთხოვნები არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
დეპოზიტები	355	1,214
<b>სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოური ვალუტით</b>	<b>355</b>	<b>1,214</b>
<b>მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით</b>		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
კომერციულ ბანკებზე გაცემული ბოლო ინსტანციის სესხი	26,666	-
რეფინანსირების სესხები	364,410	13,505
<b>სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნული ვალუტით</b>	<b>391,076</b>	<b>13,505</b>

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტების ოთხმოცდაათ დღეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 0 და 0 პროცენტს.

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა რეფინანსირების სესხები გაცემული სამ კომერციულ ბანკზე 364,410 ლარის ოდენობით და ორ კომერციულ ბანკზე 13,505 ლარის ოდენობით, შესაბამისად 5.25-5.3 და 6.8-6.85 წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და ბოლო ინსტანციის სესხი გაცემული ერთ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 26,666 ათასი ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13%.

## სესხის უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ. უზრუნველყოფის მიღებული ტიპებია ა) საქართველოს მთავრობასა და ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, ბ) საერთაშორისო ბანკის გარანტიები; ვ) კომერციული ბანკებისგან სესხის აქტივების მოთხოვნა; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს თითოეული ტიპის უზრუნველყოფის დასაკავებელ თანხას. კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბანკის საბჭო უფლებამოსილია უზრუნველყოფის გარეშე გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია მსესხებლის აქტივების დაყადაღების უფლება.

რეფინანსირების სესხებზე მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ბანკის საბჭო მონიტორინგს უწევს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას და განიხილავს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის განხილვისას.

## 9. SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში ("სსფ")

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>აქტივები:</b>		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	366,645	373,034
<b>ვალდებულებები:</b>		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში № 1	948	998
მიმდინარე ანგარიში № 2	25	27
	973	1,025
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები:		
“სთენდ-ბაი” შეთანხმება (SBA)	420,452	759,349
სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდა (PRGF)	169,567	221,089
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	283,797	285,873
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	82,796	83,402
	956,612	1,349,713
<b>სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ</b>	<b>957,585</b>	<b>1,350,738</b>
<b>გარე-საბაღანსო ნაშთები:</b>		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	338,511	398,944
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(1,429,718)	(1,877,565)

## **SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში**

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის მიმდინარე ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების ზოგად და სპეციალურ განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2012 და 2011 წლების განმავლობაში საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შესაბამისად შეადგინა 0.1 და 0.4 პროცენტი.

## **საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები**

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში №1 და მიმდინარე ანგარიში №2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში №1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში №2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

## **საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები**

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები წარმოადგენს 0.5 წლიური საპროცენტო განაკვეთის მქონე ათ წლიან PRGF სესხს, რომელიც მიღებულ იქნა სიღარიბის დაძლევისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის. PRGF-ECF (“Extended Credit Facility”) ტრასტი სახსრებს ცენტრალური ბანკებისაგან, სამთავრობო და სხვა ოფიციალური დაწესებულებებისგან სესხულობს ძირითადად საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და გასცემს PRGF-ზე უფლების მქონე ქვეყნებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სხვა სახსრებისათვის ამგვარი ტრასტი არ არსებობს. 2010 წლის 7 იანვრიდან პროცენტი PRGF-ECF სესხებზე დროებით გაუქმდა 2011 წლის 31 დეკემბრამდე. 2012 წლის 21 დეკემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბჭომ 2014 წლის 31 დეკემბრამდე გადაავადა 2010 წლის 7 იანვარს შემოდებული პროცენტის გაუქმება PRGF სესხზე. 2014 წლის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადახედავს საპროცენტო განაკვეთებს PRGF-ECF სახსრებისთვის და ამ თარიღიდან ყოველ ორ წელიწადში განიხილავს მათ. 2014 წლის შემდეგ PRGF-ECF სესხებზე მოსალოდნელი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 0.25 პროცენტს.

ხუთ წლიანი დაფარვის ვადისა და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე SBA სახსრები გაცემულ იქნა ერთიანი საერთაშორისო რეზერვებისა და ინვესტირების ნდობის აღდგენის მიზნით. 2012 და 2011 წლების განმავლობაში წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი SBA სახსრებზე შესაბამისად შეადგინს 1.05-1.15 და 1.11-1.6 პროცენტს. SBA სესხის დაფარვა დაიწყო 2011 წელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მთლიანად დენომინირებულია SDR-ში. PRGF სესხის სრულად დაფარვა მოსალოდნელია 2017 წელს, ხოლო SBA სესხის – 2014 წელს.

## **SDR სახსრების განაწილება**

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კოტის პროპორციულად. 2009 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებას, უკავშირდება გლობალური ლიკვიდობის ხელშეწყობას. ცვლილების თანახმად სახსრების სპეციალური განაწილება შეეხო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრებს, მათ შორის საქართველოს, 2009 წლის 9 სექტემბერს. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილნი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების

განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი 2012 და 2011 წლებში შესაბამისად შეადგენდა წლიურ 0.03-0.15 და 0.11-0.59 პროცენტს.

### **საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 150.3 მილიონი SDR-ის ოდენობით წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი.

### **საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები**

ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 338,511 ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,429,718 ლარისაგან. ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება იცვლება ყოველწლიური გადაფასებისას და ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშიდან სახსრების მიღებისას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

10. წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
ფიუნერსის მარჟა	191		-	
	საბალანსო ღირებულება	პირობითი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	პირობითი ღირებულება
საპროცენტო განაკვეთის ფიუნერსი:				
საპროცენტო განაკვეთზე ფიუნერსთან დაკავშირებული ვალდებულება	(5)	73,889	-	-
წმინდა პოზიცია ფიუნერსზე	(5)	73,889	-	-
<b>წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული წმინდა აქტივები</b>	<b>186</b>	<b>73,889</b>	<b>-</b>	<b>-</b>

11. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები:</b>		
US Treasury Notes	125,651	108,646
	125,651	108,646
<b>სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები:</b>		
African Development Bank	3,446	8,358
	3,446	8,358
<b>სააგენტოს სავალო ფასიანი ქაღალდები:</b>		
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	16,578	-
Kommunalbanken AS, Oslo	7,461	-
Federal Home Loan	6,645	5,006
Federal Home Loan Mortgage	4,970	1,669
Province of Ontario, Canada, Toronto	1,749	-
Norway Sovereign Agency	-	7,539
KFW International Finance	-	16,703
Canadian Regional Authority	-	3,348
	37,403	34,265
<b>სულ სავაჭრო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>166,500</b>	<b>151,269</b>

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სავაჭრო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები:

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
სახელმწიფო სავალდებულები ფასიანი ქაღალდები	0.125%-3.375%	2013-2014	0.375%-1.375%	2012-2013
სუპრანაციონალური სავალდებულები ფასიანი ქაღალდები	3.00%	2014	0.54%	2012
სააგენტოს სავალდებულები ფასიანი ქაღალდები	0.375%-4.1%	2013-2014	0.38%-0.66%	2012-2014

## 12. გასაყიდად არსებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>გასაყიდად არსებული ინვესტიციები უცხოური ვალუტით:</b>		
სახელმწიფო სავალდებულები ქაღალდები		
US Treasury Notes	961,022	1,293,568
French Treasury Notes	380,256	191,068
Australian Treasury Bills	117,235	100,183
French Treasury Bills	99,293	208,545
Government of Austria Bonds	71,167	32,494
Government of Germany Bonds	70,966	105,904
Government of Australia Bonds	64,210	110,092
Government of Luxembourg Bonds	31,998	2,734
Government of Finland Bonds	30,140	28,431
Government of Netherlands Bonds	24,111	68,586
Dutch Treasury Bills	-	8,645
	<u>1,850,398</u>	<u>2,150,250</u>
სუპრანაციონალური სავალდებულები ქაღალდები		
European Investment Bank	394,800	240,496
Bank for International Settlements	54,645	90,473
Inter-American Development Bank	53,949	-
IBRD World Bank	41,179	-
Nordic Investment Bank,	11,548	-
Asian Development Bank	7,849	-
	<u>563,970</u>	<u>330,969</u>
სააგენტოს სავალდებულები ქაღალდები		
Federal Home Loan Mortgage Corporation	90,169	-
Kreditanstalt fuer Wiederaufbau	67,918	-
Federal National Mortgage Association	41,763	-
Federal Home Loan	33,252	-
Queensland Treasury Corporation,	31,359	-
Bank Nederlandse Gemeenten	25,719	-
Province of Ontario	13,981	-
New South Wales Treasury Corporation	12,156	-
Oesterreichische Kontrollbank AG	9,986	-
	<u>326,303</u>	<u>-</u>
<b>სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები უცხოური ვალუტით</b>	<b><u>2,740,671</u></b>	<b><u>2,481,219</u></b>
<b>გასაყიდად არსებული ინვესტიციები ეროვნული ვალუტით</b>		
სახელმწიფო სავალდებულები ქაღალდები		
Government of Georgia Bonds	8,159	124,997
<b>სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები ეროვნული ვალუტით</b>	<b><u>8,159</u></b>	<b><u>124,997</u></b>

გასაყიდად არსებული ინვესტიციების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
US Treasury Notes	0.125%-4.25%	2013-2014	0.375%-3.625%	2012-2014
French Treasury Note	4.5%-6.5%	2013-2014	0.75%-4.5%	2012-2013
Australian Treasury Bills	2.918%-3.045%	2013	3.85%-4.34%	2012
French Treasury Bills	0.03%-0.057%	2013	0.835%-1.48%	2012
Government of Germany Bonds	0.25%-4.25%	2013-2014	0.75%-4.25%	2012-2013
Government of Australia Bonds	0.75%-4.5%	2013-2014	4.5%-6.5%	2012-2014
Government of Netherlands Bonds	1%-4.25%	2013-2014	1.75%-5.00%	2012-2013
Other foreign government bonds/bills	3.125%-5.375%	2013-2014	1.215%-5.375%	2012-2013
European Investment Bank	1.25%-6%	2013-2014	1.25%-5.375%	2012-2014
Bank for International Settlements	3%-3.7%	2013-2014	3.00%-4.00%	2012-2014
Inter-American Development Bank	0.375%-5.5%	2013	-	-
IBRD World Bank	0.5%-3.5%	2013	-	-
Other foreign supranational bonds	0.375%-5.5%	2013-2014	-	-
Kreditanstalt fuer Wiederaufbau	1.375%-5.5%	2013-2014	-	-
Federal Home Loan Corporation	0.375%-1%	2013-2014	-	-
Queensland Treasury Corporation	6%	2013	-	-
Bank Nederlandse Gemeenten	3.75%-4.375%	2013-2014	-	-
Other Agency	0.375%-6%	2013-2014	-	-
Government of Georgia Bonds	13%	2013	12%-13%	2012-2016

13. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
<b>დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში:</b>				
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები				
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	11,443	10,913	11,493	10,807
<b>სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები უცხოურ ვალუტაში</b>	<b>11,443</b>	<b>10,913</b>	<b>11,493</b>	<b>10,807</b>
<b>დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში:</b>				
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	522,321	520,846	562,361	560,846
<b>სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>522,321</b>	<b>520,846</b>	<b>562,361</b>	<b>560,846</b>

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	3.80%	2014	3.80%	2014
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	6.00%	2013	6.00%	2012

საქართველოს მთავრობის ობლიგაციები ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

#### 14. გასაყიდად ფლობილი ძირითადი საშუალებები

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
საწყისი ნაშთი	3,160	329
შესყიდვა	426	8
ძირითადი საშუალებებიდან გადმოტანილი ჩამოწერა	2,220	2,823
შეფასების დანაკარგები	(2,831)	-
	(157)	-
<b>საბოლოო ნაშთი</b>	<b>2,818</b>	<b>3,160</b>

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	დაუთავრე- ბელი მშენებლობა	სატრანს- პორტო საშუალებები და სხვა	სულ
<b>თავდაპირველი ღირებულებით:</b>					
<b>1 იანვარი 2011</b>	20,783	5,087	4,068	15,394	45,332
შესყიდვა	507	687	9,880	211	11,285
გასვლა	(276)	(372)	(6,710)	(233)	(7,591)
გადატანა გასაყიდად კლასიფიცირებულ აქტივებში (შენიშვნა 14)	(3,269)	(134)	-	(533)	(3,936)
<b>31 დეკემბერი 2011</b>	17,745	5,268	7,238	14,839	45,090
შესყიდვა	48,512	2,300	14	1,745	52,571
გასვლა	(9)	(1,014)	(67)	(2,613)	(3,703)
გადატანა გასაყიდად კლასიფიცირებულ აქტივებში (შენიშვნა 14)	(2,361)	-	-	-	(2,361)
გადატანა	7,171	-	(7, 171)	-	-
<b>31 დეკემბერი 2012</b>	71,058	6,554	14	13,971	91,597
<b>დაგროვილი ცვეთა:</b>					
<b>1 იანვარი 2011</b>	(3,804)	(3,453)	-	(10,037)	(17,294)
ცვეთის დარიცხვა	(419)	(505)	-	(1,505)	(2,429)
გასვლა	2	320	-	217	539
გასაყიდად რეკლასიფიცირების გამო ელიმინირებული (შენიშვნა 14)	501	109	-	503	1,113
<b>31 დეკემბერი 2011</b>	(3,720)	(3,529)	-	(10,822)	(18,071)
ცვეთის დარიცხვა	(351)	(620)	-	(1,488)	(2,459)
გასვლა	4	1,004	-	2,556	3,564
გასაყიდად რეკლასიფიცირების გამო ელიმინირებული (შენიშვნა 14)	141	-	-	-	141
<b>31 დეკემბერი 2012</b>	(3,926)	(3,145)	-	(9,754)	(16,825)
<b>ნარჩენი საბალანსო ღირებულება:</b>					
<b>2012 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>67,132</b>	<b>3,409</b>	<b>14</b>	<b>4,217</b>	<b>74,772</b>
<b>2011 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>14,025</b>	<b>1,739</b>	<b>7,238</b>	<b>4,017</b>	<b>27,019</b>

მიწა და შენობა - ნაგებობებში შესყიდვის სახით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ცენტრალური ოფისი და ახალი საკასო მომსახურების ცენტრი 27,024 და 16,824 ლარი, შესაბამისად.

**16. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

**თავდაპირველი ღირებულებით**

<b>1 იანვარი 2011</b>	3,500
შესყიდვა	6,035
გასვლა	(2,759)
<b>31 დეკემბერი 2011</b>	6,776
შესყიდვა	218
გასვლა	(42)
<b>31 დეკემბერი 2012</b>	6,952
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
1 იანვარი 2011	(2,090)
წლის დარიცხვა	(616)
გასვლის შედეგად ელიმინირებული	1,632
<b>31 დეკემბერი 2011</b>	(1,074)
წლის დარიცხვა	(1,294)
გასვლის შედეგად ელიმინირებული	41
<b>31 დეკემბერი 2012</b>	(2,327)
<b>ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b>	
<b>31 დეკემბერი 2012</b>	4,625
<b>31 დეკემბერი 2011</b>	5,702

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

**17. სხვა აქტივები და ვალდებულებები**

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>სხვა აქტივები უცხოური ვალუტით:</b>		
წინასწარი გადახდები	775	2,630
სხვა მოთხოვნები	4	112
<b>სულ სხვა აქტივები უცხოური ვალუტით</b>	<b>779</b>	<b>2,742</b>
<b>სხვა აქტივები ეროვნული ვალუტით:</b>		
სამახსოვრო ოქროს მონეტები	4,632	1,421
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	2,063	2,670
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	776	516
წინასწარი გადახდები	160	39,073
სხვა მოთხოვნები	939	1,157
	8,570	44,837
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(1,148)	(1,492)
<b>სულ სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>7,422</b>	<b>43,345</b>

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები შესაბამისად შეადგენს 2,633 და 2,419 ლარს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>სხვა ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:</b>		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	659	1,499
<b>სულ სხვა ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში</b>	<b>659</b>	<b>1,499</b>
<b>სხვა ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში:</b>		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	6,502	1,553
გადავადებული შემოსავლები	3,932	5,002
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	1,354	1,303
საპენსიო სქემის ვალდებულებები	523	638
სხვა ვალდებულებები	156	122
<b>სულ სხვა ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>12,467</b>	<b>8,618</b>

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად შეადგენს 9,194 და 5,115 ლარს.

სხვა აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოიცავს:

	<b>სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი</b>
<b>1 იანვარი 2011</b>	(1,816)
გაუფასურების აღდგენა	320
ჩამოწერა	4
<b>31 დეკემბერი 2011</b>	(1,492)
გაუფასურების აღდგენა	344
<b>31 დეკემბერი 2012</b>	<b>(1,148)</b>

სხვა აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვს.

**18. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ**

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	<b>31 დეკემბერი 2012</b>	<b>31 დეკემბერი 2011</b>
<b>ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოურ ვალუტაში:</b>		
საკორესპონდენტო ანგარიშები	70,788	9,304
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები	874,358	752,332
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ უცხოურ ვალუტაში</b>	<b>945,146</b>	<b>761,636</b>
<b>ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:</b>		
საკორესპონდენტო ანგარიშები	207,108	155,369
ერთდღიანი დეპოზიტები	185,000	230,483
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>392,108</b>	<b>385,852</b>

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 925,451 ლარის და 817,024 ლარის ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც აღემატება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 15 პროცენტს.

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10 პროცენტს და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 15 პროცენტს.

სავალდებულო რეზერვებზე 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში და ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 5.25 და 6.75, ხოლო აშშ დოლარში და ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 0 და 0.25 პროცენტს.

**19. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ**

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ უცხოურ ვალუტაში:</b>		
მიმდინარე ანგარიშები	202,630	183,938
შეზღუდული დეპოზიტები აკრედიტივების დასაფარად	6,598	995
<b>სულ ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ უცხოურ ვალუტაში</b>	<b>209,228</b>	<b>184,933</b>
<b>ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ ეროვნულ ვალუტაში:</b>		
მიმდინარე ანგარიშები	744,628	573,629
შეზღუდული დეპოზიტები აკრედიტივების დასაფარად	-	189
<b>სულ ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>744,628</b>	<b>573,818</b>

**20. მიმოქცევაში გაშვებული ფული**

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მიმოქცევაში გაშვებული ფულის ანგარიშზე მოძრაობა არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
<b>ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>1,753,584</b>	<b>1,618,180</b>
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	1,531,520	1,252,682
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	18,791	13,053
გამოკლებული: ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	(65)	(12,193)
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(1,372,906)	(1,111,819)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(12,865)	(6,319)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,918,059</b>	<b>1,753,584</b>

**21. ვალდებულებები კლიენტების მიმართ**

კლიენტების მიმართ ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	1,166	618
სხვა	2	3
<b>სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>1,168</b>	<b>621</b>

**22. ბამოშვებული სავალო შასიანი ქაღალდები**

	<b>წლიური საპროცენტო განაკვეთი</b>	<b>დაფარვის ვადა</b>	<b>ნომინალური ღირებულება</b>	<b>საბალანსო ღირებულება</b>
სადეპოზიტო სერტიფიკატები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5.82%-6.34%	3 იანვარი -23 ივნისი 2013	570,000	562,844
სადეპოზიტო სერტიფიკატები 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6.95%-8.85%	5 იანვარი - 28 ივნისი 2012	450,000	442,128

**23. კაპიტალი**

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი შეიცავს ბანკის საწესდებო კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

**საწესდებო კაპიტალი**

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ლარს.

**სარეზერვო ფონდი**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 1 დეკემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად (№2186) ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების გამოკლებით. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ. საერთო სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდის განაწილებაზე. სარეზერვო ფონდის შექმნის შემდგომ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

**უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი**

კანონის 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება გადაფასების შესაბამის სპეციალურ რეზერვში, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მომავალი გადაფასების წმინდა ზარალის საკომპენსაციოდ.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა გადაიტანა 4,309 ლარის ოდენობის წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში.

**გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების რეზერვი**

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს გასაყიდად არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას.

## 24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარესაბაღანსო ვალდებულებებით. ბანკი გარესაბაღანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბაღანსო ოპერაციებში.

### ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

### საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ხელმძღვანელობს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში. მოსალოდნელია რომ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების აღნიშნული ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ფინანსური თუ ეკონომიკური ზომების ეფექტურობაზე.

### ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი სალიზინგო ვალდებულებები.

### სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობს აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაუზრციხავი ზარალი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

### საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები შესაბამისად შედგებოდა გამოშვებული აკრედიტივებისგან 6,598 და 1,184 ლარის ოდენობით.

### დაზღვევა

ბანკს ამჟამად არ გააჩნია დაუდევრობით ან შეცდომით გამოწვეული ვალდებულებების დაზღვევის სქემა.

**25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ აქციონერები, აფილირებული საწარმოები, ბანკთან საერთო მფლობელობის და კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა.

თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის ტიპის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ბანკის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
<b>ფინანსური მდგომარეობის ანბარიშვება</b>				
<b>აქტივები</b>				
გასაყიდად არსებული ინვესტიციები				
ეროვნულ ვალუტაში				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	8,159	8,159	124,997	124,997
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები				
ეროვნულ ვალუტაში				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	522,321	522,321	562,361	562,361
თანამშრომლებზე გაცემული სესხები				
ეროვნულ ვალუტაში				
<i>უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა</i>	322	2,063	422	2,670
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ უცხოურ ვალუტაში				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	209,228	209,228	184,933	184,933
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ ეროვნულ ვალუტაში				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	744,628	744,628	573,818	573,818
<b>საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები</b>				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	6,598	6,598	1,184	1,184
	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
<b>უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:</b>				
- თანამშრომლების მოკლევადიანი ანაზღაურება	2,121	11,317	1,872	10,262
<b>სულ</b>	<b>2,121</b>	<b>11,317</b>	<b>1,872</b>	<b>10,262</b>

	2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუსხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებული მხარეებთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუსხლის მიხედვით
მომხმარებლის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება				
საპროცენტო შემოსავალი ინვესტიციებიდან <i>საქართველოს მთავრობა</i>	41,003	65,108	50,242	74,623
საპროცენტო შემოსავალი სხვა ოპერაციებიდან <i>უმალესი რანგის ხელმძღვანელობა</i>	29	536	37	1,780
ზარალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან <i>საქართველოს მთავრობა</i>	1,273	1,454	273	349
საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებასთან დაკავშირებული ხარჯები <i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>	1,233	1,233	1,267	1,267

## 26. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს ოპერაციის შედეგად გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის და არა ლიკვიდაციის შედეგად ან იძულებით. წარმოდგენილი დაშვებები შესაძლებელია არ ასახავდეს იმ თანხებს, რომელსაც ბანკი მიიღებდა მისი ფინანსური ინსტრუმენტების რეალიზაციის შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი საბალანსო და რეალური ღირებულებების მიხედვით.

	31 დეკემბერი 2012		31 დეკემბერი 2011	
	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
<b>ფინანსური აქტივები:</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,474,372	1,474,372	1,690,301	1,690,301
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	391,431	391,431	14,719	14,719
SDR-ის ანგარიშში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	366,645	366,645	373,034	373,034
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	533,764	534,019	573,854	450,275
სხვა ფინანსური აქტივები	2,633	2,633	2,419	2,419
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>				
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,337,254	1,337,254	1,147,488	1,147,488
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	953,856	953,856	758,751	758,751
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	957,585	957,585	1,350,738	1,350,738
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,168	1,168	621	621
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	562,844	562,844	442,128	442,128
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,194	9,194	5,115	5,115

## აქტივები რომელთა რეალური ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა (3 თვეზე ნაკლები). ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომლებსაც არ გააჩნიათ დაფარვის ვადა.

## გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები მოიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ადგილობრივ ვალუტაში გამოშვებულ სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებს. ვინაიდან 2012 და 2011 წლებში არ განხორციელებულა გარიგება, რომელიც იქნებოდა სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ამსახველი, რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირების მეთოდი. არაკოტირებული, გასაყიდად არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე არსებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს შესაბამისად 7.45 და 9.14 პროცენტს.

## ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარებით მათ მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებთან. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების მიმდინარე რეალური ღირებულება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მოქმედი ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით სესხებისათვის, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკები და ვადიანობა. კოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისათვის რეალური ღირებულება გამოითვლება კოტირებული საბაზრო ფასით. როდესაც კოტირებული საბაზრო ფასის განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი, რომელიც ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის გრაფიკს დარჩენილი ვადის შესაბამისად.

## რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დონე 1) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე. ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი განსჯის საგანს;
- ტექნიკა, რომლის ყველა შემავალი მონაცემი არის მიღებული საბაზრო მონაცემებიდან (დონე 2) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ შემავალ მონაცემზე დაყრდნობით, რომლებიც არის ხელმისაწვდომი, პირდაპირ ან არაპირდაპირ, და ბაზარი საიდანაც მოპოვებულია დაკვირვებადი მონაცემები არ არის მინეული აქტიურად;
- ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (დონე 3) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ შემავალ მონაცემზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს.

წინამდებარე ცხრილი ასახავს ბანკის შეფასების მიდგომას და რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გარკვეული არსებითი ჯგუფებისთვის:

31 დეკემბერი 2012				
	აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დონე 1)	შეფასების ტექნიკა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით (დონე 2)	შეფასების ტექნიკა, რომელიც საბაზრო მონაცემების გარდა სხვა ინფორმაციას იყენებს (დონე 3)	სულ
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	186	-	-	186
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	166,500	-	-	166,500
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	2,740,671	8,159	-	2,748,830

31 დეკემბერი 2011				
	აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დონე 1)	შეფასების ტექნიკა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით (დონე 2)	შეფასების ტექნიკა, რომელიც საბაზრო მონაცემების გარდა სხვა ინფორმაციას იყენებს (დონე 3)	სულ
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	151,269	-	-	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	2,481,219	124,997	-	2,606,216

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების გამოთვლის აღწერა, რომლებიც აღრიცხულია რეალური ღირებულების შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ეს გულისხმობს ბანკის მიერ იმ დაშვებების შეფასებას, რომელსაც საბაზრო გარიგების მონაწილე გააკეთებს ინსტრუმენტების შეფასებისას.

#### სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და გასაყიდად არსებული ინვესტიციები

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და გასაყიდად არსებული ინვესტიციები შეფასებულია შეფასების ტექნიკისა და საფასო მოდელის გამოყენებით ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალისა და სავალლო ფასიანი ქაღალდებისგან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები არის შეფასებული ისეთი მოდელის გამოყენებით, რომლებშიც გამოიყენება ან მხოლოდ ბაზარზე ხელმისაწვდომი მონაცემები, ან როგორც ბაზარზე არსებული ისე არარსებული მონაცემები. არადაკვირვებადი მონაცემები შეიცავს დაშვებებს მომავალი ფინანსური მდგომარეობისა ან რისკის შესახებ, და ეკონომიკურ დაშვებებს ინდუსტრიისა და გეოგრაფიული იურისდიქციის შესახებ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს იმის მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

	31 დეკემბერი 2012			31 დეკემბერი 2011		
	ერთი წლის მანძილზე	ერთ წელზე მეტი	სულ	ერთი წლის მანძილზე	ერთ წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები:</b>						
ფული და ფულის ექვივალენტები	1,474,372	-	1,474,372	1,690,301	-	1,690,301
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	391,431	-	391,431	14,719	-	14,719
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	366,645	-	366,645	373,034	-	373,034
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	186	-	186	-	-	-
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	166,500	-	166,500	151,269	-	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	1,372,150	1,376,680	2,748,830	1,981,820	624,396	2,606,216
დაფარვის ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები	522,321	11,443	533,764	562,361	11,493	573,854
სხვა ფინანსური აქტივები	2,317	316	2,633	2148	271	2419
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>4,295,922</b>	<b>1,388,439</b>	<b>5,684,361</b>	<b>4,775,652</b>	<b>636,160</b>	<b>5,411,812</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,337,254	-	1,337,254	1,147,488	-	1,147,488
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	953,856	-	953,856	758,751	-	758,751
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	766,334	191,251	957,585	698,589	652,149	1,350,738
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,168	-	1,168	621	-	621
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	562,844	-	562,844	442,128	-	442,128
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8,545	649	9,194	4,481	634	5,115
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>3,630,001</b>	<b>191,900</b>	<b>3,821,901</b>	<b>3,052,058</b>	<b>652,783</b>	<b>3,704,841</b>
<b>წმინდა ფინანსური პოზიციის</b>	<b>665,921</b>	<b>1,196,539</b>	<b>1,862,460</b>	<b>1,723,594</b>	<b>(16,623)</b>	<b>1,706,971</b>

სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი მოგება და ზარალი მიღებულია გასაყიდად არსებული ინვესტიციებიდან და ასახულია, როგორც გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასების შედეგად მიღებული რეზერვის სხვაობა.

## 27. რისკის მართვა

### შესავალი

რისკი ბანკის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, რისკების მართვა წარმოადგენს ბანკის საქმიანობის არსებით კომპონენტს. რისკის მართვა შესაძლებელია მუდმივი იდენტიფიცირების, შეფასებისა და ყოველდღიური მონიტორინგის გზით. ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკის გამჟღავნებაზე. ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობისა და საბაზრო რისკები. ბანკი აგრეთვე დგას საოპერაციო რისკის წინაშე.

ბანკის საბჭო მაქსიმალურად არის პასუხისმგებელი რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლზე, თუმცა არსებობს ცალკეული ბიზნეს ერთეულები, რომლებიც პასუხს აგებენ სხვადასხვა რისკების მართვასა და მონიტორინგზე.

### საბჭო

ბანკის საბჭოს გააჩნია მთლიანი პასუხისმგებლობა ზედამხედველობა გაუწიოს რისკების მართვის სტრუქტურას, აკონტროლოს ძირითადი რისკების მართვა და გადახედოს რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს.

### რეზერვების მართვის კომიტეტი

ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია რისკების შემცირებისათვის განხორციელებული ზომებისა და შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელებაზე. კომიტეტმა აგრეთვე უნდა მიიღოს რწმუნება იმისა, რომ მთლიანად ბანკის საქმიანობა ხდება რისკების დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას, სტრატეგიული ცვლილებების საბჭოში წარდგენამდე დამოწმებას და აქტივების გადაანაწილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

### რისკების მართვისა და კონტროლის განყოფილება

ბანკის რისკების მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე. განყოფილებამ უნდა უზრუნველყოს რისკების ამოცნობის, შეფასების, მართვისა და ანგარიშებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავება. განყოფილების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბანკის წინაშე მუდმივი რისკების ამოცნობა, ანალიზი და მართვა, შესაბამისი რისკის ზღვარისა და კონტროლის მექანიზმების დადგენა და რისკების დონისა და ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი. განყოფილება აგრეთვე ატარებს “ბენჩმარკინგსა” და “სტრეს ტესტს”. განყოფილება ყოველთვიურად ანგარიშვალდებულია რეზერვების მართვის კომიტეტის წინაშე.

### შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის მიერ ყოველწლიურად ხდება ბანკის რისკების მართვის პროცესების აუდიტი. შედეგად შიდა აუდიტი ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე ბანკის საქმიანობის შესაბამისობას აღნიშნულ პროცედურებთან. შიდა აუდიტი ხელმძღვანელობასთან განიხილავს შეფასების შედეგებს და საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს მის აღმოჩენებსა და რეკომენდაციებს.

## **რისკების შეფასებისა და ანგარიშგების სისტემები**

ოპერაციების სტრუქტურულიდან გამომდინარე, ბანკში რისკების მართვა ხორციელდება ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული მეთოდით. ფინანსური რისკის მართვა ხორციელდება ცენტრალიზებულად, მაშინ, როდესაც საოპერაციო რისკის მართვის პროცესი არ არის ცენტრალიზებული.

რისკების მართვა პირდაპირ ხორციელდება სხვადასხვა განყოფილებების მიერ. ბანკში არსებობს ასევე სპეციალური კომიტეტები და კომისიები ოპერაციებისა და კონტროლის განხორციელებისათვის, როგორებიცაა რეზერვების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი, და ა.შ.

მნიშვნელოვანია ბანკის რისკი უცხოურ ვალუტაში არსებულ აქტივებთან მიმართებაში. რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცედურების, მოვალეობებისა და ანგარიშვალდებულების განაწილებას არეგულირებს „საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვის პრინციპები და სტრატეგია“.

### **ჭარბი რისკის კონცენტრაცია**

რისკის კონცენტრაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კონტრაგენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმთავვე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიცირებული პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს.

### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის დანაკარგი, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას კონტრაგენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბანკი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკებს საინვესტიციო აქტივების სათანადოდ შერჩევით, ამავე აქტივების საკრედიტო ხარისხით და საინვესტიციო აქტივზე ინვესტიციის მოცულობის ლიმიტების დაწესებით. ბანკში შემუშავებულია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები პორტფელის კონცენტრაციის ინსტრუქციების ჩათვლით. რეზერვების მართვის კომიტეტი ახორციელებს ბანკის საკრედიტო რისკის მუდმივ მონიტორინგს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მიმოხილვა და დამტკიცება ხდება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ.

იმისათვის, რომ შეიზღუდოს საკრედიტო რისკის მიმართ დაუცველობა უცხოურ ვალუტაში, რისკების მართვის განყოფილების მიერ შედგენილ იქნა სანდო პარტნიორთა სია, რომელთაც აქვთ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's, Moody's and Fitch) მიერ დადგენილი მაღალი გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი. აღნიშნული სია დამოწმებულ იქნა რეზერვების მართვის კომიტეტის მიერ.

პარტნიორის შერჩევისას მხედველობაში მიიღება მისი საკრედიტო რეიტინგი, ქვეყანა, სადაც პარტნიორი ორგანიზაცია მდებარეობს, მისი აქტივებისა და კაპიტალის მოცულობა, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილება და მომხმარებელთათვის შეთავაზებული მომსახურების სპექტრი. ბანკის კონტრაგენტისათვის მინიჭებულ სააგენტოთა მიერ გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის ჩამოკვეთების შემთხვევაში, კონტრაგენტი ამოღებულ იქნება სიიდან. საკრედიტო რეიტინგი უნდა იყოს სულ მცირე:

- 1 კატეგორია: საკრედიტო რეიტინგი უნდა იყოს სულ მცირე AA და უნდა იყოს მინიჭებული სამიდან სულ მცირე ორი საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ.
- 2 კატეგორია: საკრედიტო რეიტინგი უნდა იყოს სულ მცირე AA და უნდა იყოს მინიჭებული სამიდან სულ მცირე ერთი საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ, და A მინიჭებული დანარჩენი ორის მიერ.

- 3 კატეგორია: საკრედიტო რეიტინგი უნდა იყოს სულ მცირე A და უნდა იყოს მინიჭებული სამივე საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ.

მიმდინარე ანგარიშებთან და კომერციულ მიზნებთან მიმართებაში ბანკის საკრედიტო რისკი შედარებით დაბალია და შესაბამისად, მინიმალური მოთხოვნა არის გრძელვადიანი რეიტინგი A და უმაღლესი მოკლევადიანი რეიტინგი, რომელიც მინიჭებული უნდა იყოს სამიდან სულ მცირე ორი საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ.

ბანკს გააჩნია ლიმიტები ინდივიდუალური კონტრაგენტებისათვის, კონტრაგენტი რისკის ჯგუფებისათვის (1, 2 და 3 კატეგორიები) და აგრეთვე სუვერენული ლიმიტები. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური საკრედიტო რისკი ნაჩვენებია გაუფასურების რეზერვის შექმნამდე და ურთიერთობის და უზრუნველყოფის გათვალისწინებამდე.

	შენიშვნა	მაქსიმალური რისკი	მაქსიმალური რისკი
		31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011
ფული და ფულის ექვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	1,236,642	1,542,384
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	391,431	14,719
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	366,645	373,034
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	186	-
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	11	166,500	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	2,748,830	2,606,216
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	13	533,764	573,854
სხვა ფინანსური აქტივები	17		2,419
		<u>5,446,631</u>	<u>5,263,895</u>
საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები	24	<u>6,598</u>	<u>1,184</u>
<b>სულ საკრედიტო რისკი</b>		<b><u>5,453,229</u></b>	<b><u>5,265,079</u></b>

როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია რეალური ღირებულებებით, ზემოთ ნაჩვენები თანხა წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკს, მაგრამ ეს არ არის მაქსიმალური რისკი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სამომავლოდ ღირებულების ცვლილებების შედეგად. ფინანსური ინსტრუმენტის თითოეული ტიპისათვის მაქსიმალური საკრედიტო რისკის თაობაზე მითითებები წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ შენიშვნებში. ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის მიერ უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტების ემიტენტი ორგანიზაციების საკრედიტო რეიტინგის ცხრილი.

ცხრილი მოიცავს ისეთი საერთაშორისო სააგენტოების საკრედიტო რეიტინგს როგორებიცაა: Standard & Poors, Fitch and Moody's. როდესაც სააგენტოების მიერ აქტივისთვის ხდება განსხვავებული საკრედიტო რეიტინგის მინიჭება, აღნიშნული აქტივის წარმოდგენისთვის გამოიყენება უმცირესი საკრედიტო რეიტინგი.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	AAA	AA+	AA	AA-	A+	A	A-	B	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	288,015	318,988	10,920	132,580	100,781	263,111	122,247	-	-	1,236,642
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	-	-	355	-	-	388,875	2,201	391,431
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	366,645	-	-	-	-	-	-	-	-	366,645
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	-	186	-	-	-	-	-	-	-	186
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	27,485	137,260	-	1,755	-	-	-	-	-	166,500
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	1,039,784	1,686,906	-	13,982	-	-	-	8,158	-	2,748,830
დაფარვის ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები	11,443	-	-	-	-	-	-	522,321	-	533,764
სხვა ფინანსური აქტივები	248	-	-	-	-	-	-	935	1,450	2,633

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	AAA	AA+	AA	AA-	A+	A	A-	B	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	265,702	471,025	21,620	234,507	282,720	266,810	-	-	-	1,542,384
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	-	-	1,025	189	-	5,502	8,003	14,719
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	73,034	-	-	-	-	-	-	-	-	373,034
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	151,269	-	-	-	-	-	-	-	-	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	1,187,651	1,293,568	-	-	-	-	-	124,997	-	2,606,216
დაფარვის ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები	11,493	-	-	-	-	-	-	562,361	-	573,854
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	2,419	2,419

**საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპის მიხედვით**

როგორც ცენტრალური ბანკი, ბანკი უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობას ლიკვიდობის პრობლემის მქონე ბანკებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემით. ქვემოთ მოყვანილია ბანკის საკრედიტო რეიტინგის სისტემაზე დაყრდნობით შედგენილი სასესხო აქტივების საკრედიტო ხარისხი.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
შენიშვნა	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული AAA რეიტინგი	AA რეიტინგი	B რეიტინგი	სულ
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	391,431	-	391,431
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	2,740,671	8,159	2,748,830
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	13	11,443	522,321	533,764
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	17	-	-	2,063
<b>სულ</b>		<b>3,143,545</b>	<b>530,480</b>	<b>3,676,088</b>

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
შენიშვნა	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული AAA რეიტინგი	AA რეიტინგი	B რეიტინგი	სულ
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	1,214	13,505	14,719
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	12	2,481,219	124,997	2,606,216
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	13	11,493	562,361	573,854
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	17	-	-	2,670
<b>სულ</b>		<b>2,493,926</b>	<b>700,863</b>	<b>3,197,459</b>

ბანკის მიერ მისი სასესხო აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად:

AAA რეიტინგი – კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

AA რეიტინგი – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლის მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

A რეიტინგი – დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლის მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

B რეიტინგი – დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

პოლიტიკის შესაბამისად, ბანკმა საკრედიტო პორტფელის მიზნებისათვის სათანადოდ უნდა აწარმოოს რისკის რეიტინგები. დააკავშირებული რისკების რეიტინგების შეფასება და განახლება ხდება რეგულარულად.

**გაუფასურების შეფასება**

სესხის გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ ძირითადი თანხის ან პროცენტის ოთხმოცდაათ დღეზე მეტად ვადაგადაცილებას, კონტრაგენტის ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ პრობლემებს, საკრედიტო რეიტინგის შემცირებას და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევას. ბანკი გაუფასურების შეფასებას ახდენს ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

**ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები**

ბანკი თითოეული სესხისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრავს რეზერვს. რეზერვის თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კონტრაგენტის ბიზნეს გეგმა, მისი უნარი გაუმკლავდეს ფინანსურ სირთულეებს ასეთის წარმოშობის შემთხვევაში, გაკოტრების შემთხვევაში დაგეგმილი ქმედებები, სხვა ფინანსური სესხების არსებობა, უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულება და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების პერიოდულობა. გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით, თუ გაუთვალისწინებელი მოვლენები სხვაგვარად არ მოითხოვს.

**ჯგუფურად შეფასებული რეზერვები**

რეზერვების ჯგუფურად შეფასება ხდება იმ სესხებიდან წარმოშობილი დანაკარგებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის არსებითი, და იმ სესხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, მაგრამ რომელთათვისაც არ არსებობს ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. რეზერვების შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით ყველა ცალკეული პორტფელისათვის.

**თანამშრომლებზე გაცემული სესხები**

ბანკის თანამშრომლებს უფლება აქვთ ბანკში მუშაობის პერიოდში აიღონ სესხი ბანკიდან. თანამშრომლის გათავისუფლების შემთხვევაში დასაფარი სესხისათვის იქმნება 100 პროცენტის რეზერვი. სესხის ჩამოწერა ხდება ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

**კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხები**

იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი დროულად ვერ დაფარავს სესხს, ორგანული კანონის 64-ე მუხლის თანახმად ბანკს უფლება აქვს ამოიღოს დასაფარი თანხა სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციიდან, ხოლო არასაკმარისი თანხის შემთხვევაში კომერციული ბანკის ნებისმიერი აქტივიდან.

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია  
შემდეგია:

	31 დეკემბერი 2012			31 დეკემბერი 2011		
	საქართველო	გეთო	სულ	საქართველო	გეთო	სულ
<b>ფინანსური აქტივები:</b>						
ფული და ფულის ექვივალენტები	237,730	1,236,642	1,474,372	147,917	1,542,384	1,690,301
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	391,076	355	391,431	13,505	1,214	14,719
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	-	366,645	366,645	-	373,034	373,034
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	-	186	186	-	-	-
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	-	166,500	166,500	-	151,269	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	8,159	2,740,671	2,748,830	124,997	2,481,219	2,606,216
დაფარვის ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები	522,321	11,443	533,764	562,361	11,493	573,854
სხვა ფინანსური აქტივები	1,858	775	2,633	2,313	106	2,419
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>1,161,144</b>	<b>4,523,217</b>	<b>5,684,361</b>	<b>851,093</b>	<b>4,560,719</b>	<b>5,411,812</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,337,254	-	1,337,254	1,147,488	-	1,147,488
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	953,856		953,856	758,751	-	758,751
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	2	1,166	1,168	2	619	621
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	-	957,585	957,585	-	1,350,738	1,350,738
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	562,844	-	562,844	442,128	-	442,128
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,194	-	9,194	3,785	1,330	5,115
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,863,150</b>	<b>958,751</b>	<b>3,821,901</b>	<b>2,352,154</b>	<b>1,352,687</b>	<b>3,704,841</b>
<b>წმინდა ფინანსური პოზიცია</b>	<b>(1,702,006)</b>	<b>3,564,466</b>	<b>1,862,460</b>	<b>(1,501,061)</b>	<b>3,208,032</b>	<b>1,706,971</b>

## ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ბანკი ვერ დაფარავს ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს ვადის დადგომიდან ჩვეულებრივ თუ რთულ ვითარებაში. ბანკის მიერ ლიკვიდობის რისკის მართვა ეფუძნება ლიკვიდობის საჭირო დონის უზრუნველყოფას ბანკის მიმართ არსებული მოთხოვნების ნებისმიერ ვითარებაში დაკმაყოფილების მიზნით.

ფასების სტაბილურობასთან და სავალუტო პოლიტიკის კონტროლთან დაკავშირებული ძირითადი მიზნების მისაღწევად, ბანკი ფლობს საოპერაციო აქტივებს უცხოურ ვალუტაში, რომლებიც წარმოადგენს ლიკვიდური აქტივების ჯგუფს და რომელთა გამოყენებაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში. ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს ლიკვიდური აქტივების ამოცნობასა და მინიმალური ლიკვიდობის ლიმიტების დადგენას უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივებისათვის.

ბანკის ფულად-საკრედიტო და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები ადგენს იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ბიზნეს ერთეულებიდან ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ჭრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ. შემდგომ, დეპარტამენტი უზრუნველყოფს ადეკვატური პორტფელის მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების არსებობას, მეტწილად გამოხატულს მოკლევადიან ფინანსურ ფასიან ქაღალდებში, ბანკებზე გაცემულ სესხებსა და სხვა ბანკთაშორის ოპერაციებში.

ყოველდღიურად ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგი ხორციელდება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა სცენარების „სტრეს ტესტინგ“-ით, რომელიც მოიცავს ნორმალური და სხვა უფრო მკაცრი საბაზრო პირობების გათვალისწინებას. ნორმალური საბაზრო პირობების გათვალისწინებით მომზადებული ლიკვიდობის მოხსენებები ყოველკვირეულად წარედგინება ხელმძღვანელობას. ბანკის ლიკვიდობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი და ნერგავს ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი.

### *ფინანსური ვალდებულებების ანალიზი ნარჩენი საკონტრაქტო ვადების მიხედვით*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები დაფუძნებული სავარაუდო სახელშეკრულებო ვადიანობაზე 2012 და 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაფარვებისათვის, რომლებიც ექვემდებარება ნებისმიერ დროს მოთხოვნას, იგულისხმება დაფარვის მოთხოვნის მყისიერი მიღება. თუმცა, ბანკის ვარაუდით ამ რაოდენობის კონტრაგენტები არ მოითხოვენ ვალდებულებების დაფარვას ყველაზე ადრეული შესაძლო თარიღით და შედეგად ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2012</b>					
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,337,254	-	-	-	1,337,254
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	953,856	-	-	-	953,856
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,168	-	-	-	1,168
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	360,000	210,000	-	-	570,000
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	371,087	402,253	191,251	-	964,591
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8,537	8	488	161	9,194
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>3,031,902</b>	<b>612,261</b>	<b>191,739</b>	<b>161</b>	<b>3,836,063</b>
<b>31 დეკემბერი 2011</b>					
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,147,488	-	-	-	1,147,488
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	757,757	527	467	-	758,751
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	621	-	-	-	621
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	275,000	175,000	-	-	450,000
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	381,869	328,559	641,379	10,770	1,362,577
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,477	4	385	249	5,115
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,567,212</b>	<b>504,090</b>	<b>642,231</b>	<b>11,019</b>	<b>3,724,552</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით.

	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2012</b>	6,468	-	130	-	6,598
<b>31 დეკემბერი 2011</b>	189	995	-	-	1,184

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის ცვალებადობით. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური რეგულაციებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისაგან.

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. წინამდებარე ცხრილი აღწერს საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტის ცვლილების გავლენას, სხვა თანაბარ პირობებში, ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

სრული შემოსავლის ანგარიშგების მგრძობელობის ანალიზი აღწერს საპროცენტო განაკვეთის სავარაუდო ცვლილების ეფექტს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის განმავლობაში, რაც ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ცვალებად განაკვეთთან არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტა	2012		2011	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა
აშშ დოლარი	1%	20,139	1%	22,162
SDR	1%	(5,960)	1%	(9,863)
ევრო	1%	8,885	1%	9,551
ავსტრალიური დოლარი	1%	3,123	1%	2,165
ლარი	1%	1,667	1%	109
სხვა	1%	31	1%	42

ვალუტა	2012		2011	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა
აშშ დოლარი	(1%)	(20,139)	(1%)	(22,162)
SDR	(1%)	5,960	(1%)	9,863
ევრო	(1%)	(8,885)	(1%)	(9,551)
ავსტრალიური დოლარი	(1%)	(3,123)	(1%)	(2,165)
ლარი	(1%)	(1,667)	(1%)	(109)
სხვა	(1%)	(31)	(1%)	(42)

კაპიტალის მგრძობელობა გამოთვლილია 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრისათვის გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით მიღებული საპროცენტო განაკვეთის 0.1 პროცენტიანი ცვლილების გათვალისწინებით.

ვალუტა	2012		2011	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძობელობა
აშშ დოლარი	0.10%	1,494	0.10%	1,474
ევრო	0.10%	900	0.10%	758
ავსტრალიური დოლარი	0.10%	286	0.10%	208
ლარი	0.10%	8	0.10%	117

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს სავალუტო კურსების ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს. აქტივების სავალუტო სტრუქტურიდან გამომდინარე ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილებების რისკი.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ძირითად ვალუტებს 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის არასავაჭრო ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან და საპროცენტო ფულად ნაკადებთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად გამოითვლება ლართან მიმართებაში სავალუტო კურსების დასაშვები ცვლილებების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა თანაბარ პირობებში. უარყოფითი ნაშთები ცხრილში ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პოტენციურ წმინდა კლებას, ხოლო დადებითი ნაშთები ასახავს პოტენციურ წმინდა მატებას.

31 დეკემბერი 2012

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	SDR	აგსტრალიური დოლარი	სხვა	სულ
<b>ფინანსური აქტივები:</b>							
ფული და ფულის ექვივალენტები	-	1,281,318	163,707	-	26,373	2,974	1,474,372
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	391,076	224	-	-	-	131	391,431
SDR-ის ანგარიშში საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	-	-	-	366,645	-	-	366,645
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	-	166,500	-	-	-	-	166,500
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	8,158	1,515,069	934,218	-	291,385	-	2,748,830
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	522,321	-	11,443	-	-	-	533,764
სხვა ფინანსური აქტივები	1,854	2	529	248	-	-	2,633
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>923,409</b>	<b>2,963,299</b>	<b>1,109,897</b>	<b>366,893</b>	<b>317,758</b>	<b>3,105</b>	<b>5,684,361</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>							
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	392,097	795,697	149,460	-	-	-	1,337,254
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	744,628	120,383	88,592	-	-	253	953,856
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	973	-	-	956,612	-	-	957,585
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,168	-	-	-	-	-	1,168
გამოსვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	562,844	-	-	-	-	-	562,844
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8,514	309	346	21	-	4	9,194
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,710,224</b>	<b>916,389</b>	<b>238,398</b>	<b>956,633</b>	<b>-</b>	<b>257</b>	<b>3,821,901</b>
<b>წმინდა ფინანსური პოზიცია</b>	<b>(786,815)</b>	<b>2,046,910</b>	<b>871,499</b>	<b>(589,740)</b>	<b>317,758</b>	<b>2,848</b>	<b>1,862,460</b>

31 დეკემბერი 2011

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	SDR	აგსტრა-ლიური დოლარი	სხვა	სულ
<b>ფინანსური აქტივები:</b>							
ფული და ფულის ექვივალენტები	-	1,329,186	348,363	-	8,576	4,176	1,690,301
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ SDR-ის ანგარიში	13,505	990	189	-	-	35	14,719
საერთაშორისო საგალუტო ფონდში წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	-	-	-	373,034	-	-	373,034
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	-	151,269	-	-	-	-	151,269
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	124,997	1,486,537	784,407	-	210,275	-	2,606,216
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	562,361	-	11,493	-	-	-	573,854
სხვა ფინანსური აქტივები	2,313	-	106	-	-	-	2,419
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>703,176</b>	<b>2,967,982</b>	<b>1,144,558</b>	<b>373,034</b>	<b>218,851</b>	<b>4,211</b>	<b>5,411,812</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები:</b>							
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	385,852	636,288	125,314	-	-	34	1,147,488
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	573,818	82,509	101,910	-	-	514	758,751
ვალდებულებები საერთაშორისო საგალუტო ფონდის მიმართ	-	-	-	1,350,738	-	-	1,350,738
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	621	-	-	-	-	-	621
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	442,128	-	-	-	-	-	442,128
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,615	298	1,202	-	-	-	5,115
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,406,034</b>	<b>719,095</b>	<b>228,426</b>	<b>1,350,738</b>	<b>-</b>	<b>548</b>	<b>3,704,841</b>
<b>წმინდა ფინანსური პოზიციის</b>	<b>(702,858)</b>	<b>2,248,887</b>	<b>916,132</b>	<b>(977,704)</b>	<b>218,851</b>	<b>3,663</b>	<b>1,706,971</b>

**ეფექტი მოგებაზე 2012 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისათვის**

	<b>აშშ დოლარი</b>	<b>ევრო</b>	<b>SDR</b>	<b>აგსტრა- ლიური დოლარი</b>	<b>სხვა</b>	<b>სულ</b>
სავალუტო კურსის ზრდა 1%	20,469	8,715	(5,897)	3,178	28	<b>26,493</b>
სავალუტო კურსის ზრდა 5%	102,346	43,575	(29,487)	15,888	142	<b>132,464</b>
სავალუტო კურსის ზრდა 10%	204,691	87,150	(58,974)	31,776	285	<b>264,928</b>
სავალუტო კურსის კლება 1%	(20,469)	(8,715)	5,897	(3,178)	(28)	<b>(26,493)</b>
სავალუტო კურსის კლება 5%	(102,346)	(43,575)	29,487	(15,888)	(142)	<b>(132,464)</b>
სავალუტო კურსის კლება 10%	(204,691)	(87,150)	58,974	(31,776)	(285)	<b>(264,928)</b>

**ეფექტი მოგებაზე 2011 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისათვის**

	<b>აშშ დოლარი</b>	<b>ევრო</b>	<b>SDR</b>	<b>აგსტრა- ლიური დოლარი</b>	<b>სხვა</b>	<b>სულ</b>
სავალუტო კურსის ზრდა 1%	22,489	9,161	(9,777)	2,189	37	<b>24,099</b>
სავალუტო კურსის ზრდა 5%	112,444	45,807	(48,885)	10,943	183	<b>120,492</b>
სავალუტო კურსის ზრდა 10%	224,889	91,613	(97,770)	21,885	366	<b>240,983</b>
სავალუტო კურსის კლება 1%	(22,489)	(9,161)	9,777	(2,189)	(37)	<b>(24,099)</b>
სავალუტო კურსის კლება 5%	(112,444)	(45,807)	48,885	(10,943)	(183)	<b>(120,492)</b>
სავალუტო კურსის კლება 10%	(224,889)	(91,613)	97,770	(21,885)	(366)	<b>(240,983)</b>

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც გამოწვეულია სისტემების მწყობრიდან გამოსვლით, შეცდომებით, თაღლითობით თუ სხვა გარე მოვლენებით. როდესაც კონტროლები არასათანადოდ ფუნქციონირებს, საოპერაციო რისკმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეპუტაციაზე, გამოიწვიოს საკანონმდებლო დარღვევები ან ფინანსური ზარალი. შეუძლებელია ბანკის მიერ ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა, თუმცა ბანკი მართავს ამ რისკებს კონტროლის სისტემის, პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების მეშვეობით. კონტროლები მოიცავს მოვალეობათა სათანადოდ განაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და გადამოწმების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლებისა და შეფასების პროცესებს, ამასთანავე შიდა აუდიტის გამოყენებას.



საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2  
ტელ.: (995 32) 240 6488; ფაქსი: (995 32) 240 6577; ცხელი ხაზი: (995 32) 240 6406  
ელ-ფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge); [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)